

**ზაურ თავიდაშვილი**

**ვარიაციები გალალაიპის  
თემაზე**

**თბილისი  
გამოცემლობა „ს. ვ. კ.“  
2013**

7A8.0

75.575

σ.017

რედაქტორი: ფილოსოფიის დოქტორი,  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კულტუროლოგიის მიმართულების  
პროფესორი **ლალი გვასალია**

ISBN 978-9941-0-5163-0

© ზ. თავიდაშვილი, 2013 წ.

## Записки бездельника Ники

იმ ხანად, ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ხშირად მიხდებოდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მივლინებით ყოფნა. ზედმეტად მივიჩნევ მოვუთხრო მკითხველს რუსეთში ჩემი საქმიანობის შესახებ. უმჯობესია პირდაპირ მივადგე საკითხს, რამაც განსაზღვრა კიდეც ბედი ნაწარმოებებისა, რომელსაც სათაურად „ვარიაციები ბალალაიკის თემაზე“ შევურჩიე. სათაური უდავოდ მიანიშნებს მკითხველს, რომ იგი რუსული ყოფის თემაზეა შექმნილი.

წინამდებარე კრებულთან სრულიად შემთხვევით მომიხდა შეხება და აი, რა ვითარებაში:

ერთ-ერთი მორიგი მივლინების შემდეგ, ლენინგრადიდან ქუთაისში ვბრუნდებოდი. ამჯერად, თვითმფრინავს მატარებლით მგზავრობა ვარჩიე. მაშინ ლენინგრადიდან თბილისის მიმართულებით ორ სამგზავრო ვაგონს აბამდნენ „ლენინგრადი-სოჭის“ მატარებელს, რომელსაც „სევერნაია პალმირა“ ერქვა.

ორადგილიან კუპეში გამოკვეთილი ქართული გარეგნობის მამაკაცი დამხვდა. მგზავრს მივესალმე და ქართულად ვკითხე:

– ქართველი ბრძანდებით?

გაელიმა და რუსულად მომიგო:

– მე თქვენი კითხვა ვერ გავიგე! ქართული არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, მივხვდი რაც მკითხეთ. როგორ გითხრათ, გვარი ქართული მაქვს, გუნია. მამაჩემი ქართველი იყო, თუმცა საქართველოსთან არავითარი შეხება არ მქონია, ვიდრე მამა გარდაიცვლებოდა. მამა ოციოდე დღის წინ წავიდა ამ ქვეყნიდან. მე საქართველოში, მამის სოფელში მომიხდა ყოფნა. ასე რომ, თბილისამდე რუსულად მოგვიხდება საუბარი.

– ე.ი. რიონამდე, მე ქუთაისში მივემგზავრები. – დავა-ზუსტე გარუსებული ახალგაზრდის ნათქვამი.

მატარებელში მგზავრები ადვილად უახლოვდებიან ერთ-მანეთს. ხშირად ინტიმურ, გულითად საუბარსაც გააბამენ ხოლმე. არც ეს მგზავრობა აღმოჩნდა გამონაკლისი. მალე სუ-ფრა გავშალეთ. ლენინგრადიდან გადარჩენილი ორი ბოთლი კონიაკი „ენისელიც“ დავდგი მაგიდაზე და ორიოდე სასმისის შემდეგ ჩემმა თანამგზავრმა, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, ენა ამოიდგა. მომითხრო თავისი, უფრო სწორად, მისი ოჯახის თავგადასავალი.

– 1942 წლის ზაფხულის მძიმე დღეები იდგა თურმე; – დაინყო ნიკოლაიმ (ჩემ თანამგზავრს ნიკოლოზი ერქვა, მაგრამ მას ნიკოლაის, და ზოგჯერ ნიკასაც ეძახდნენ), – გერმანელები სწრაფად მოიწევდნენ აღმოსავლეთისაკენ. ჩვენი ჯარები თავქუდმოგლეჯილები გამორბოდნენ და „სტრატეგიული მოსაზრებებით“ (მაშინ თურმე ძალიან პოპულარული იყო ეს გამოთქმა) სტოვებდნენ ქალაქებს, სოფლებს და დასახლებულ პუნქტებს. ყველგან პანიკა და უნესრიგობა სუფევდა. სოფელი, სადაც ნიკოლაის დედა, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 15 წლის გოგონა დარია მიხაილოვნა და მისი დიდედა ცხოვრობდნენ, მოსახლეობამ ერთიანად მიატოვა. დარია წინა წელს ჩამოსულა დიდედასთან არდადეგებზე. დარიას მშობლები საზღვრისპირა დასახლებაში ცხოვრობდნენ. მამა მაღალი ჩინის სამხედრო ექიმი გახლდათ, დედა მათემატიკის მასწავლებელი. როგორც მოგეხსენებათ, ომი მოულოდნელად დაინყო და დარია მთელი წელი ამაოდ ელოდა მშობლების გამოჩენას, ან მათ შემოხმიანებას. ბოლოს გერმანელებიც მოახლოვდნენ და სოფლის მცხოვრებლებმა პანიკურად მიატოვეს სახლ-კარი. მთელ სოფელში დარჩნენ მხოლოდ დარია და მისი დიდედა, რომელიც მძიმედ გახლდათ ავად. დღე-დღეზე მოსალოდნე-

ლი იყო მისი ამ სოფლიდან იმ სოფელში გადაბარგება. დარია მოხუცის ლოგინს არ შორდებოდა, თავს ევლებოდა ბებოს, მაგრამ იგი სოფლის ევაკუაციის მეორე დღეს გარდაიცვალა.

წარმოიდგინეთ დედაჩემის მდგომარეობა, – განაგრძო ნიკოლაიმ, – სრულიად უმწეო, თითქმის ბავშვი, დაცარიელებულ სოფელში მიცვალებულ ბებიასთან ერთად...

– ჭკუაზე თუ არ შევიშლებოდი, არ მეგონა. – ამბობდა თურმე ამის გახსენებაზე, შემდგომში, ნიკოლაის დედა.

ამ ტრაგიკულ მომენტში ვიღაცამ ეზოდან დაიძახა:

– არის აქ ვინმე?

ატირებული გოგონა გარეთ გავარდა. ჭიშკართან, საბარგო მანქანასთან იდგა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ახალგაზრდა. გოგონა მას მიეჭრა და შეევედრა:

– მიშველე... ჯარისკაცო, მიშველე!

ჯარისკაცი მოეფერა გოგონას, ოდნავ დაამშვიდა და როდესაც გაიგო, დარიას სახლში მიცვალებული ბებია ესვენა, იქვე, ეზოში გაჭრა საფლავი, მოხუცი ძველი კამოდისგან შეჭედილ ყუთში ჩაასვენა და დაკრძალა.

ჯარისკაცს ნიკა, ანუ ნიკოლოზი ერქვა. მას თურმე საწვავი შემოელია. დარიამ მიასწავლა ნიკას, სად შეიძლებოდა სოფელში ბენზინის შოვნა. ალმოჩნდა, რომ საწვავი მიტოვებულ სოფელში ბლომად ინახებოდა. ნიკამ შეავსო მანქანის ავზი, ორი ორასკილოგრამიანი რკინის კასრიც მოიმარაგა და მეორე დილით, დარიასთან ერთად, კურსი ალმოსავლეთისაკენ აიღო. ნიკალაის ავტომანქანით ბანკის ფული გადაჰქონდა თურმე ზურგში.

ახალგაზრდები (ნიკა 19 წლის იყო) ორი დღე და ღამე გზაში იყვნენ. ერთად იტანდნენ გასაჭირს. რამდენჯერმე გადაურჩნენ მტრის მოთარეშე თვითმფრინავების შემოტევას. ერთად სადილობდნენ, ერთად ვახშმობდნენ და, რა დასამალია, ერთად ეძინათ მანქანაში.

თქვენ მიხვდით ალბათ, – განაგრძო ნიკოლაიმ, – ეს ახალ-გაზრდები ჩემი მშობლები იყვნენ და ჩემს შექმნასაც, სწორედ ამ მგზავრობისას ჩაეყარა საფუძველი. – გაიღიმა მან. არც ის არის ძნელი მისახვედრი, რომ სახელიც მისი საყვარელი ადამიანის პატივსაცემად დამარქვა დედამ. აქვე დავსძენ, ახალგაზრდებს თავდავიწყებით შეუყვარდათ ერთმანეთი. ეს სიყვარული მამას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. დედაზე კი არც ღირს ლაპარაკი. იგი ამ სიყვარულს საფლავში ჩაიტანს. ეს ასეა, მიუხედავად იმისა, რომ ბედმა ისინი თითქმის ოცი წლით გაყარა ერთმანეთს.

შემდგომ მოვლენები ასე განვითარდა: მამა გადამღობ-მა რაზმა ერთ-ერთ სამხედრო ნაწილს მიამაგრა, დედა კი ევაკუაციის პუნქტში გაგზავნეს. ყველაფერი ისე სწრა-ფად მოხდა, რომ მამას ძლივს მოუსწრია დარიასათვის საქართველოში მცხოვრები მშობლების მისამართი ეთქვა. იმ არეულობაში, დედას დავიწყებია მამის დანაბარები. გოგო-ნა შუა აზიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში ჩაუყვანიათ. აქ მას, სრულიად შემთხვევით, მამამისის უახლოესი მეგობარი, სამხე-დრო ექიმი შეხვედრია, რომელიც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. ამ კეთილ კაცს დარია თავის სახლში მიუყვანია, სადაც მისი მეუღლე, უშვილო ეკატერინა მატვეევნა დარიას დედობას უწევდა. სწორედ მათ სახლში დავბადებულვარ მე. აქვე დაუმთავრებია დარიას საშუალო სკოლაც და უმაღლე-სი სასწავლებელიც. დარიას კომკავშირული კარიერაც სტუ-დენტობის წლებიდან დაწყებულა.

მალე დედა პარტიულ ასპარეზზე გამოდის სამოღვაწეოდ. 1954 წელს, როდესაც ყირიმი უკრაინას შეუერთეს, დედა ყირი-მის ერთ-ერთი რაიკომის მდივნად გადაიყვანეს სამუშაოდ.

მე საშუალო სკოლა წარჩინებით – ოქროს მედალზე და-ვამთავრე. სწავლა განვაგრძე მოსკოვის ბაჟმანის სახელობის

უმაღლეს საინჟინრო სასწავლებელში. სწორედ ამ დროს გავი-ცანი მამა, რომლის შესახებაც არც მე და არც დედამ მანამდე არაფერი ვიცოდით.

მეორე კურსზე გადავედი. არდადაგებს დედასთან ვა-ტარებდი. ტრაპახში არ ჩამომართვათ და გოგონებისგან განებივრებული ვიყავი, რაც ძალიან არ მოსწონდა დარია მიხაილოვნას. საქმე იქამდე მივიდა, რომ თუ დრო ჰქონდა, დარია პლატზე დამყვებოდა თავის დედისერთა ვაჟს გოგონე-ბის შემოტევის მოსაგერიებლად.

დედა საუცხოოდ ცურავდა. მე სიამოვნებით შევყურებ-დი ზღვაში დედის ილეთების კასკადს. დედა თავისი 35 წლის ასაკშიც ულამაზეს ქალად გამოიყურებოდა. მის თავდაჭერ-ილობაზე, ქალურ თუ სამსახურებრივ პატიოსნებაზე ანეკ-დოტებსაც ყვებოდნენ მისი მეგობრები.

იმ დღესაც მე და დარია მიხაილოვნა ერთად წავედით ზღვაზე. სწრაფად გავიხადე და გადავეშვი წყალში. დედა სა-ბანაო კოსტუმში ნაპირზე დავტოვე. ცოტა ხნის შემდეგ, როცა ნაპირისკენ შემოვბრუნდი, თვალებს არ დავუჯერე. დედა ვი-ლაც საცურაო ტრუსებში გამოწყობილ წარმოსადეგ მამაკაცს ეხვეოდა და გაცხარებით უკოცნიდა სახეს. სასწრაფოდ გამოვ-ცურე. შორიახლოს დავდექი. არ ვიცოდი რა მექნა. ვხედავდი, როგორ ტიროდა დედა და გულში ეკვროდა უცნობ მამაკაცს. პლატზე მყოფი გაკვირვებით შესცქეროდნენ უკვე ახალგაზ-რდობის ასაკიდან გამოსულ წყვილს, რომლებიც ყურადღებას არ აქცევდნენ ირგვლივ მყოფთ და არც თავიანთი გრძნობე-ბის დემონსტრირებას ერიდებოდნენ. მიუხედავად დედისადმი უაღრესი მოკრძალებისა, მივუახლოვდი მათ. დედამ დამინახა თუ არა, ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებულმა დამიყვირა:

– ნიკა, აი, შენი მამა!..

მის გვერდით მდგომ მამაკაცს ქვითინით მოეხვია:

– ნიკა, ნახე რამოდენა ვაჟი გყავს!..

დავბარბაცდი...

მამა ჩემთან მოიჭრა, გულში ჩამიკრა და აკანკალებული ხმით რამდენჯერმე გაიმეორა:

– შვილო... შვილო... შვილო!..

სიხარულისგან არ იხოცებიან.

მამა თურმე შვებულებას ყირიმში ატარებდა. ბედნიერმა შემთხვევამ იგი კვლავ შეყარა საყვარელ არსებას.

მამას შემდგომში არაერთხელ უთქვამს:

– გულის სილრმეში ყოველთვის მწამდა, რომ დარიას კვლავ შევხვდებოდი...

სწორედ ამიტომ მას ოჯახი არ შეუქმნია. რაც შეეხება დედაჩემს, მისი გული დახურული იყო ყველასათვის, მიუხედავად იმისა, რომ თაყვანისმცემლები არასდროს აკლდა.

ჩემმა მშობლებმა სასწრაფოდ გააფორმეს ქორწინება მმაჩის ბიუროში. მალე მამა სამუშაოდ ყირიმში გადმოვიდა და სამეურნეო ხელმძღვანელად მრავალი წლის განმავლობაში დიდი წარმატებით მოღვაწეობდა. ბოლო 19 წელი ჩემმა მშობლებმა ბედნიერებაში გაატარეს. მაჩუქეს ერთი დაიკოც – ნატაშა, რომელსაც თექვსმეტი წელი ერთ თვეში შეუსრულდება. ნატაშა მამის სიხარული იყო... მე კი... მე მამის დარდი ვიყავი. – თავი ჩაღუნა ნიკოლაიმ.

მამა მოულოდნელად გარდაიცვალა ავტოკატასტროფაში. იგი ახალგაზრდად გამოიყურებოდა, ჯერ სამოცი წელიც არ ჰქონდა შესრულებული. არ ვიცოდი, დედა და ნატაშა როგორ გადაიტანდნენ უძვირფასესი ადამიანის დაკარგვას... სანამ მოსკოვში წამოვიდოდი, თავზარი დამცა დედასთან საუბარმა. იგი ღრმად რელიგიური გახდა, რაც ადრე მისთვის არასდროს შემიმჩნევია. მე ვუთხარი დედას:

– აი შენ, ათეისტი ღმერთს არ დაუსჯიხარ! მამა, ასე თუ ისე, სარწმუნოებას პატივს მაინც სცემდა, მაგრამ უაზროდ დაიღუპა.

იცით, რა მიპასუხა დედამ?

– „შვილო! დასჯით ღმერთმა მე, ცოდვილი დამსაჯა. როდესაც ღმერთი სჯის ვინმეს, მას საყვარელ ადამიანს წართმევს. მამაშენმა სიკვდილის წინ მითხრა, „დარია, მე შენთან ბედნიერი ვიყავი, გმადლობ ყველაფრისათვის!“ ამ სიტყვებს რა დამავიწყებს. ან მამა-შვილის – ნატაშას და მამამისის გამომშვიდობება ამოვა ოდესმე ჩემი გონებიდან? საავადმყოფოში აქვითინებული ნატაშა მამას ჩაეკონა, – „ნუთუ შეგიძლია მე და დედა დაგვტოვო?..“ მე ახლაც თვალწინ მიდგას მამაჩემის გაკვირვებული და ცრემლიანი თვალები. მან ნატაშას უთხრა, „არა შვილო, მე შენ არასოდეს მიგატოვებ! იცოდე, ჩემი სული მარად შენთან იქნება! მე იმედი მაქვს, შენი საქციელით ჩემს სულს არასოდეს მიაყენებ ტანჯვას“.

მამაშენის სული ჩემი რელიგიურობის ქვაკუთხედია. მე მწამს, რომ იმქვეყნად მე და მამაშენი განუყრელად ვიქნებით... ღმერთო შემინდე, ამიტომ არ ვიკლავ თავს“... – დაასრულა დედამ.

ჩემი უცნობო მეგობარო! – მომმართა ნიკოლაიმ, – არ ვიცი როგორ გავუძლო ჩემი სინდისის ქნაშენას მამის ხსოვნის წინაშე. სულ უფრო და უფრო ვრნმუნდები იმაში, რომ მამის წინაშე მართალი არ ვიყავი. მე მამას სწორად ვერ აღვიქვამდი. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მამა გულ-წრფელი არ იყო. მეგონა იგი მსახიობობდა, მოხერხებულად მალავდა თავის ნამდვილ სახეს. სინამდვილეში, რასაც მე გაზვიადებულ, შელამაზებულ ნიღბად მივიჩნევდი, მამის ნამდვილი სახე ყოფილა. ახლა კი ვიცი, ვცდებოდი. ეს შეცდომა მაშორებდა მამას.

იყო ასეთი მომენტი. ინსტიტუტი ახალი დამთავრებული მქონდა. ჩემს მეორე თუ მესამე შვებულებას, დედის ხათრით, მშობლებთან ვატარებდი. მამამ თხოვა დედას, ერთი კვირით როგორმე გაეთავისუფლებინა თავი სამუშაოდან და როდესაც დედა დაითანხმა, იმ დილით სადღაც გაქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ სახლში დაბრუნდა საბარგო მანქანით, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და დედას გამოუცხადა, – „წავალთ ამ მანქანით იმ სოფელში, სადაც ერთმანეთი გავიცანით. შენს დიდედას სასაფლაოზე გადმოვასვენებთ, პანაშვიდს გადავუხდით და ქელებზე სოფელს დავპატიჟებთ. ამის შემდეგ გამოვბრუნდებით იმ გზით, რომელითაც გერმანელებს გამოვექეცით!“

დედამ სულ გიუ უძახა მამას, თანაც კატეგორიულად განაცხადა უარი საბარგო მანქანით მგზავრობაზე. მამას ბევრი არ უფიქრია, მიეჭრა მეუღლეს, ხელში აიტაცა, მე მიბრძანა მანქანის კარების გაღება და დედა, რომელიც მუშტებს უბრაგუნებდა მამას გულზე, მანქანაში ჩასვა.

ბოლოს დედას სიცილი აუტყდა და ითხოვა ტანსაცმლის გამოცვლის ნება მაინც მიეცათ მისთვის. დედამ ჩაიცვა ჯინსის კაბა, რომელიც მაშინ ჩვენში იშვიათობას წარმოადგენდა და მე გავშტერდი: დედა სულ ახალგაზრდულად გამოიყურებოდა ახალ მოდურ ტანსაცმელში, რომელიც მას საოცრად უხდებოდა. მე ვტკბებოდი დედის სილამაზით და ვბრაზობდი მამის „თავხედობაზე“.

იმ მომენტში ჩემი მშობლები ბედნიერები იყვნენ. მეხუთე დღეს ისინი დაბრუნდნენ მოგზაურობიდან. მამას დედაჩემის დიდედა გადაუსვენებია სოფლის სასაფლაოზე, ქრისტიანულად წესიც აუგია მისთვის და თითქმის მთელი სოფელი მოუწვევია მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად გამართულ ქელებზე. დედა ყოველივე ამას აღფრთოვანებით უამბობდა

თავის მეგობრებს. მე მამის ეს საქციელიც არტისტობად მიმაჩნდა. დედას არ გამოპარვია ჩემი ცივი დამოკიდებულება მამისადმი. მას ერთხელ უკითხავს მეუღლისათვის, რატომ ვერ მონახა მამა-შვილმა საერთო ენა. მამას ასეთი პასუხი გაუცია: „შენ ნიკა ეგოისტი გაზარდე! იგი ვერ მპატიობს, რომ მე მას შენი სიყვარული გავუყავი. დარია, უნდა მოიცადო, დრო გავა და ნიკა შეგვიყვარებს მეც და ნატაშასაც!“ რა ცუდია, რომ მამა ვერ მოესწრო მისი სიტყვების ასრულებას.

ახლა ვიხსენებ მშობლების ურთიერთდამოკიდებულების ნიუანსებს, იუმორით რომ იყო გაჯერებული. დედა ხანდა-ხან მამას შეუტევდა, „აი, შე უსაქმურო!“ უსაქმურს ეძახდა იმიტომ, რომ მამა სახლში არაფერს აკეთებდა. ამბობდა, მომეცით მამაკაცის საქმე და განახებთ უსაქმური ვარ თუ არაო; ჭურჭლების ან იატაკის რეცხვა რა კაცის საქმეაო. თან დედას გაკენწლავდა, „ახლა მეძახი უსაქმურს“ ბებია რომ დაგისაფლავე, შენც გერმანელების ტყვეობას გადაგარჩინე, ორი დღე და ღამე გაჭმევდი, გასმევდი, ნიავს არ გაკარებდი, მაშინ ხომ კარგი ბიჭი ვიყავი? გულში მეხუტებოდი, არ დამტოვო ჯარისკაცო, დაივიწყე?“ დედა ღიმილით პასუხობდა, – ლოგინში რომ ჩამიწვინე არასრულწლოვანი და ამაზე პასუხი არ გაგებინე, არ ჩაგსვი ციხეში ათი წლით, ამაზე რას იტყვიო.

– რას ვიტყვი და... – ჩაფიქრდებოდა მამა, – იმას ვიტყვი, რომ მაშინ უბედნიერესი კაცი ვიყავი.

– ახლა? ახლა არა ხარ ბედნიერი? – შეეპასუხებოდა დედა და ხელს მოხვევდა.

– რა თქმა უნდა, ახლაც არანაკლებ ბედნიერი ვარ, მაგრამ შენზე მაინც მტკივა გული! გახსოვს რეკომენდაცია რომ არ მომეცი სასაფლაოების არტელის უფროსად დანიშვნაზე (მამა ეხუმრებოდა დედას, რაკი რაიკომმა დიდი ხნის განმავლობაში სასაფლაოს დირექტორის კანდიდატურა ვერ შეარჩია,

მოდი, მე გამიშვი მაგ თანამდებობაზე, შემოსავლიანი ადგილიაო). უარი რად მითხარი, შენ ხომ კარგად იცოდი, მაგ საქმეში დიდი გამოცდილება მქონდაო... ახლა დაგსჯი და ათჯერ გაკოცებ! – და ერთმანეთს ჩაეწვეოდნენ.

მე, ამის შემსწრეს მიკვირდა დედაზე რომ არ ვპრაზობდი. მამის საქციელი კი არ მომწონდა... მამაზე გული მომდიოდა...

როგორც გითხარით, მამის დასაფლავების დროს პირველად ვიყავი საქართველოში. არ დაგიმალავთ, დაკრძალვის ცერემონიალიც და ქელეხიც თეატრალურ დადგმად აღვიქვი.

– სადაც თქვენც მონაწილეობდით! – ჩავერთე ნიკას მონოლოგში.

– ეს როგორ? – იკითხა გაკვირვებულმა ნიკამ, – ამ „სპექტაკლში“ დედაც და ჩემი დაც მონაწილეობდნენ, აქტიურადაც, მაგრამ მე?!.. არავითარ შემთხვევაში!..

– თუ თქვენ „სპექტაკლს“ უწოდებთ იმას, რაც მამის დაკრძალვაზე ხდებოდა, უნდა აღიაროთ ისიც, რომ „სპექტაკლს“ რეჟისორიც ეყოლებოდა, შემსრულებელიც და მაყურებლებიც.

ნიკამ ამოიხსრა. შევხედე, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. იგი თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა:

რა დიდი ბუნების ყოფილა მამა. როგორ მაკლია მე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მამასთან გაუტარებელი ცხრამეტი წელი. ბევრი რამ დამრჩა მისგან სასწავლი... ვნანობ, რომ არ ვიცნობ მშობლიურ ქვეყანას – საქართველოს, მის ხალხს, მათი ცხოვრების წესებს, ისტორიას, კულტურას... ნატაშასგან განსხვავებით, არ ვიცი ქართული... მამას სისტემატურად დაჰყავდა არდადაგებზე საქართველოში არა მარტო ნატაშა, არამედ მისი სკოლის მეგობრებიც... მე ბევრი რამ გადავაფასე ამ ოცი დღის განმავლობაში... მამა მაშინაც მართალი ყოფილა, როდესაც ჩემი ცოლი არ მოეწონა. გამაფრთხილა: „შვილო, მას შენ კი არა, შენი მდგომარეობა

უყვარს. გაფრთხილდი, ასეთი ქალები ადვილად ღალატობენ ქმრებს...“ მე ცოლს ვეყრები... მამა ამ შემთხვევაშიც მართალი აღმოჩნდა. მაგრამ... მგონი გადაგლალეთ ჩემი ოჯახის ირგვლივ საუბრით. გთხოვთ, მომიტევოთ!

– რას პრძანებთ, – მიუუგე, – თქვენ ძალიან საინტერესოდ მიამბეთ თქვენი ოჯახის ისტორია... მაგრამ ახლა ნამდვილად გვიანია. სოჭამდე შორსაა, ხოლო სოჭში ათი საათი მაინც მოვგინებს ლოდინი, ვიდრე ჩვენს ვაგონს „სოჭი – თბილისის“ მატარებელს მიაბამენ. სასაუბროდ ორი დღე გვაქვს წინ. – ვთქვი და დასაძინებლად მოვემზადე.

დილით მე და ნიკოლაიმ ვაგონ-რესტორანში ვისაუზმეთ. ახალი გაზეთები ვიყიდეთ და კუპეში დავბრუნდით. ნიკოლაი გაზეთებს ათვალიერებდა, როდესაც მე, გუშინდელი ამბის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა, უნებურად წამოვიწყე:

– ნიკა, თქვენ გუშინ ბევრი ისაუბრეთ მამაზე. კიდევ რას გაიხსენებდით თქვენი მამის შესახებ?

ნიკოლაიმ გაზეთი გადადო და ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მითხრა:

– მოგიყვებით ერთ შემთხვევას. ერთხელ მთელი ოჯახი – მამა, დედა, ნატაშა და მე პლაზზე ვიყავით. მე და მამა რაღაცაზე წავლაპარაკდით და ნახევრად ხუმრობით ვუთხარი: „მოდი ვიჭიდავოთ!“ მამამ გაკვირვებით შემომხედა და მითხრა: „შენ გსურს ვიჭიდავოთ? – ძალიან კარგი!“ და დედას მიმართა, შენ იქნები ჩვენი ორთაბრძოლის არბიტრი. დედა დიდი „ენთუზიაზმით“ ჩაერთო საქმეში. პლაზზე მყოფთ განუცხადა: „თქვენ ახლა ნახავთ მამა-შვილის შერკინებას ჭიდაობაში. ჩემგან მარჯვნივ დგას ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ახალგაზრდა, რომელსაც რძე არ შეშრობია პირზე, ხოლო მარცხნივ ჩემი ბებერი მეუღლე, რომელსაც განუზრახავს საკუთარი შვილის დაჩაგვრა“.

ჭიდაობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მამამ ჩამიტარა ჩემთვის უცნობი რაღაც ილეთი და სილაზე ბეჭებით მოვა-დინე ზღართანი. მაყურებელმა ტაში დასცხო. ნატაშა მივიდა მამასთან და უთხრა, მოუხდება მაგასო. მაგრამ დედამ, „მთა-ვარმა არბიტრმა“, მეუღლის გამარჯვება არ დააფიქსირა და მეორედ შევეჭიდეთ ერთმანეთს. მამას არც ამჯერად გასჭირ-ვებია ჩემი სილაზე გაკოტრიალება. ეს იმდენად იყო ჩემთვის მოულოდნელი, რამდენადაც მე ინსტიტუტში თავისუფალი ჭიდაობის სექციაში ვვარჯიშობდი და საკმაო წარმატებითაც ვიცავდი ინსტიტუტის ლირსებას ნახევრად მძიმე წონაში, სტუდენტთა სპარტაკიადებზეც. დედაც გაკვირვებული იდგა.

– ჭკუას ისწავლი! ცხოვრებაში გამოგადგება გაკვეთი-ლად! იცოდე, ვიდრე ვინმეს შეებრძოლები, კარგად უნდა შეა-ფასო მოწინააღმდეგის შესაძლებლობები. აი, ჩემი რჩევა! – მითხრა მამამ.

ერთ ამბავს კიდევ მოვყვები მამის ხასიათის შესახებ. პა-ნაშვილზე მე და დედას გავვეცნო მამის ფრონტელი მეგობა-რი, რომელიც ბოლო სამი წელი მამასთან ერთად იპრძოდა (მამამ ომი ბატალიონის მეთაურის პოსტზე მაიორის ჩინით დაამთავრა). მან გვითხრა, რომ მამაჩემი ორჯერ ყოფილა წარდგენილი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე, მაგრამ ორ-ჯერვე მოულოდნელ შემთხვევებს შეუშლიათ მისთვის ხელი. პირველად იგი გმირობაზე წარუდგენიათ მაშინ, როდესაც მამას ოცეულს დნეპრი გადაულახავს და წარმატებით შეუს-რულებია მასზე დაკისრებული ამოცანა; მაგრამ გერმანელებს დივიზიის შტაბი ისე დაუბომბავთ, რომ შტაბიდან არავინ და არაფერი გადარჩენილა; მეორედ – დრეზდენთან ჩატარებული ოპერაციის გამო. ამჯერად მამას კონფლიქტი მოსვლია „განსა-კუთრებული განყოფილების“ ოფიცერთან და აი, რატომ: მამა, მისი თანმხლები ჯარისკაცი და ის ოფიცერი ერთად წაწყდო-

მიან გერმანელი ქალებისა და ბავშვების ნაწამებ გვამებს. მა-  
მასთან მდგომ ჯარისკაცს თავი შეუბრუნებია და უთქვამს,  
ამას მხოლოდ არამზადები თუ ჩაიდენენო. „განსაკუთრებულ  
საქმეთა“ ოფიცერს ოქმი შეუდგენია და მამისთვის მიუმარ-  
თავს, რომ ოქმზე ხელი მოეწერა, რათა პატიმრობაში აეყვანათ  
ჯარისკაცი. მამას ოქმი დაუხევია. ოფიცერს ხმა აუწევია და  
ბატალიონის მეთაურს დამუქრებია. მამას იგი ისე გაულახავს,  
რომ სანიტარულ ნაწილში გადაუყვანიათ სამკურნალოდ. მა-  
მას პოლკის და დივიზიის მეთაურები გამოსარჩლებიან; არც  
„განსაკუთრებული ნაწილის“ უფროსს გამოუდია თავი თავისი  
მიბეჭილი თანამშრომლის დასაცავად, მაგრამ მამის გმირობას  
„ჩაილურის წყალი დაულევია“, რაზეც დიდად არც უნაღვლია  
მას. ამის შესახებ ჩვენ, ოჯახის წევრებმა არაფერი ვიცოდით;  
მამას არ უყვარდა თავისი ფრონტული ცხოვრების შესახებ  
საუბარი.

საქართველოში ასეთი წესი გქონიათ, დასაფლავების მე-  
სამე დღეს სასაფლაოზე გადიან. ამ დღეს მამის საფლავზე  
დედას გული ნაუვიდა. ძლივს მოგაბრუნეთ. სახლში დაბრუნე-  
ბულები კვლავ შეგვაშფოთა დედის ჯანმრთელობამ. იგი კვლავ  
ცუდად გახდა. მამაჩემის დის ქმარმა სასწრაფოდ ჩამოუყვანა  
დედას ქუთაისიდან ორი ექიმი. ერთ-ერთმა მირჩია, დედისთვის  
რაიმე საინტერესო საქმე მომეძებნა, რასაც იგი გულს გადაა-  
ყოლებდა, გამოიყვანდა ამ მდგომარეობიდან. ახლა თბილისში  
იმიტომ მივდივარ, რომ დედის დავალება შევასრულო, რაღაც  
საბუთები მოვიძიო მამაჩემზე. დედამ გადაწყვიტა მეუღლის  
გმირობის შესახებ მასალების შეგროვება. – დაამთავრა ნიკამ.

მე უკვე ვნანობდი, რომ ეს საუბარი წამოვიწყე. ჩემი თან-  
ამგზავრი მტკიცნეულად განიცდიდა მამის სახელის ხსენებას.  
მოხერხებულად შევცვალე საუბრის თემა და ვთქვი:

– ნახეთ! თბილისის „დინამომ“ ისევ მოიგო.

ნიკოლაი მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივარი აღ-  
მოჩნდა. დაძინებამდე ფეხბურთის ირგვლივ არ შეგვიწყვეტია  
გაცხარებული კამათი.

სოჭში მატარებელი დაგვიანებით ჩავიდა. ჩვენი ვაგონი  
სათადარიგო ლიანდაგზე გადაიყვანეს, სადაც იგი მანამ იქნე-  
ბოდა გაჩერებული, სანამ „სოჭი-თბილისის“ მატარებელს არ  
მიაბამდნენ. მე და ნიკოლაიმ ზღვის სანაპიროზე გავისეირნეთ.  
კარგი ამინდი იდგა. ნიკოლაიმ ზღვაში შეცურა, მე მოჭად-  
რაკეებს შევერიე.

საღამოს მე და ჩემმა თანამგზავრმა ვაგონში ადგილები  
დავიკავეთ. გაზეთებს ვათვალიერებდით. ნიკამ რაღაც მოკრ-  
ძალებული ხმით წამოიწყო:

– ბევრი ვიფიქრე... მინდა გთხოვოთ ერთი რამ!.. რატომ  
თქვენ და არა სხვას, თუნდაც მამიდაჩემს, ან ბაბუას, – ვერ  
გეტყვით! შეგიძლიათ მომისმინოთ?

ისეთი სახე მივიღე, რომ ნიკოლაიმ არ დააყოვნა:

– თან მაქვს მამაჩემის ნაწერები ქართულ ენაზე. რას წარ-  
მოადგენენ, ან რა ღირებულების არიან ეს ნაწერები, როგორც  
ჩემთვის, ასევე დედასთვისაც აუხსნელია. მამა ბოლო წლებში  
ხშირად ამბობდა, რომ ის ქართულად წერს ნოველებს და მისი  
სიკვდილის შემთხვევაში კარგი იქნება, თუ ვინმე მის ნაწერებს  
ქართველ მწერალს, ან კრიტიკოსს გადასცემს საბოლოო განა-  
ჩენის გამოსატანად.

მამის გარდაცვალების შემდეგ, სანამ მოსკოვში ჩავი-  
დოდი, ყირიმში ჩავთრინდი. სახლი მოვინახულე. გარკვეული  
თანხა ამოვიღე საწერი მაგიდის უჯრიდან და დედას გადა-  
ვუგზავნე ფოსტით. მამის ქართული ჩანაწერებიც წამოვიღე.  
დედა ხუმრობდა, ჩემს მეუღლეს უკვდავება მოუნდა; იცის,  
მისი სამსახურებრივი საქმიანობით ამას ვერ შესძლებს და ამ-

იტომ გადაწყვიტა ტურგენევს, ან ჩეხოვს დაუმშვენოს მხარი და უკვდავება გაინალდოსო.

– ჩემი ძვირფასო! – ეუბნებოდა იგი მამას, – მე შეგირჩევ ნაწარმოებების სათაურს – „უსაქმური ნიკას ჩანაწერები“, რას იტყვი? კარგად უდერს!.. – რაზეც მამა ეუბნებოდა:

– მე ჩემ ნაწარმოებებში აღვწერ, თუ როგორ შეუწექი გამვლელ ჯარისკაცს ლოგინში და მერე იტრაბახე შენი პატიოსნებით, ასე რომ მოგაქვს თავი.

– დაწერ თუ არა, ტყუილი იქნება, – იცინოდა დედა, – შენ რა ხარ, შენი მეუღლე რა იქნება... შე უსაქმური! მე შენ-ნაირებს ჩემ რაიონში არ ვაჭარნებ (მამის რეზიდენცია მეზობლად იყო დისლოცირებული. ოლქის მასშტაბით, ერთ-ერთ მოწინავე ტრესტად ითვლებოდა და რაიონის პარტიული ელიტაც უდიდეს პატივს მიაგებდა მის მმართველს).

– მამის ნაწერები მსურს თქვენ გადმოგცეთ, – თქვა ნიკამ, – თქვენთვის მომინდია მათი შემდგომი ბედი.

სახტად დავრჩი.

– მე რომ მწერალი არ ვარ... არც კრიტიკოსი?..

– არა უშავს... თქვენ კარგი მკითხველის შთაბეჭდილებას ტოვებთ!.. წაიკითხეთ! თუ იმსახურებს, თქვენ ადვილად უპოვით მათ გზას.

ამ სიტყვებით გადმომცა ნიკამ ხელჩანთა და თან დააყოლა:

– გახსენით, როცა დავშორდებით...

...თუ საუბარი სასიამოვნოა, დრო მალე გადის. არც კი გაგვიგია, ისე მივუახლოვდით რიონის სადგურს. შუალამე გადასული იყო. გულთბილად გამოვეთხოვე ჩემ თანამგზავრს, ვაგონიდან გადმოვედი და როდესაც მატარებელი დაიძრა, გამახსენდა, მე და ნიკოლაის მისამართები არ გაგვიცვლია. ჩემდა სამარცხვინოდ, ვალიარებ, არც ნიკოლაი, არც მისი

ქართველი ნათესავები არ მიძებნია. ხელჩანთაც დიდხანს ხე-  
ლუხლებლად იდო კარადაში.

ცოტა ხნის წინ კარადა ჩემმა გოგონამ დაალაგა და მკითხა:

– მამიკო, რა ჩანთაა ეს, ან რა ხელნაწერები აწყვია შიგ,  
ამიხსენი!

ნაწერები გადავათვალიერე. საქმიანობამ დამაინტერესა. არეულ-დარეული ფურცლები დავალაგე. რაღაც რედაქტირე-  
ბის მაგვარი მუშაობაც ჩავატარე. რაღაც გამოვაკელი, რაღაც  
ჩავამატე... ჩემი ფანქრით, ნაშრომი წესრიგში მოვიყვანე და  
მკითხველს წარვუდგენ მწერლობის მოყვარული კაცის შემოქ-  
მედებას რამდენიმე ნაწარმოებით. მისი შეფასება კი მკითხვე-  
ლისთვის მიმინდია.

## ალგათ...

მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“ მკვეთრად დაამუხრუჭეს. ავტომანქანიდან ქალი გადმოხტა და ყიუინით გამოექანა ჩემ-კენ:

– აი, შე უსინდისო, ჩვენს უნახავად აპირებდი წასვლას?!.. ვერ მოგართვეს... ნიკა, ძამიკო, როგორ მიხარია რომ გხედავ!

– ჩემი მეგობრის მეულლე მომეხვია...

– ოჲ, ბანდიტი!.. მოეფერე კი არა, ჩააფარე მაგას თავში... რა იშივე, ბიჭო, ამდენი, რომ ძმაკაცები დაივიწყე!.. არა ხარ კარგი კაცი, მაგრამ რა გიყო, მაინც ჩვენი ხარ! – ქოქოლას მაყრიდა ჩემი მეგობარი რეზო და ხელებგაშლილი ჩემკენ მო-აბიჯებდა.

– რა გინდათ ჩემგან? – ვიმართლებდი თავს, – სწორედ ახლა მოვდიოდი თქვენთან...

მოდიოდი თუ არა, ეგ საკითხავია, – ხელი გამიშვა რეზომ, – მაგრამ ახლა მანქანაში რომ ჩაგსვამ და როგორც პატიმარს, ისე წაგიყვან ჩემთან, ამას წყალი არ გაუვა!.. აბა, მაკა! – მი-მართა ცოლს, – ჩაავლე ხელი მაგ ნამუსგარეცხილს. სწრა-ფად, მანქანაში!

ხუთიოდე წუთის შემდეგ რეზოს ბინაში ვიყავით. მასპინძლის ქალიშვილები, – ოცდაერთი წლის ჩემი ნათლული ნათია და თვრამეტი წლის ლიკა მომეხვივნენ.

– ძია ნიკა, რა ხანია არ შეგხვედრივართ, როგორ ხართ?.. როგორ არის ბიცოლა დარია?.. ნატაშა ხომ არ ჩამოგიყვანი-ათ?.. გავიგეთ თქვენი ვაჟის წარმატებები, სადოქტორო დაუ-ცავს. – ერთმანეთს არ აცლიდნენ გოგონები.

ჩემი ვაჟის წარმატება რეზომაც და მაკამაც გულითადად მომილოცეს, საყვედურიც მითხრეს, შეგეტყობინებინა, მოს-კოვში აუცილებლად ჩამოვფრინდებოდით დაცვაზეო. შარშან

რეზომ ერთი თვე, ცოლ-შვილთან ერთად, ჩემთან გაატარა ყირიმში. ჩვენი მეუღლეები ძალიან დაუმეგობრდნენ ერთ-მანეთს. ნათიამ, ლიკამ და ჩემმა ნატაშამ, რომელიც მაშინ თორმეტი წლის გახლდათ, სწრაფად გამონახეს საერთო ენა. ნათიამ ჩემს გოგონას ქართული ანბანიც შეასწავლა და განცვიფრებული იყო ნატაშას ნიჭით. ამბობდა, სულ მალე ნატაშა ქართულად გამომიგზავნის წერილებსო.

ხელჩანთა გავხსენი. ამოვალაგე ჩემი ნათლულის საყვარელი მოსკოვური კანფეტები. მივეცი ნათიას:

- გაუყავი ლიკას, ორივეს გეყოფათ.
- მე დაგავიწყდი?.. – მკითხა მაკამ.
- არ დამვიწყებიხარ! აი, შენი საყვარელი „ტრიუფელი“. – კანფეტებით სავსე ქაღალდის პარკი გავუწოდე მაკას.
- ესე იგი მე დავრჩი უკანფეტოდ? – თქვა რეზომ, – ამას შენგან არ მოველოდი! კაცმა რომ გკითხოს, ჩემი მეგობარი ხარ და კვანტი კი გამომდე!

ამ დროს ზარის ხმა გაისმა. კარი ლიკამ გააღო და სიხა-რულით შეჰქივლა:

- ძია კოტე, კარგ დროს მოხვედი, ნახე, ჩვენთან ვინ არის!..

რეზომს ცოლისძმა ლიმილით მომესალმა:

- დიდი ხანია, არ მინახიხარ!..
- საუბარი გავაპით. ქალები გაიკრიფნენ, სუფრის განყობის თადარიგს შეუდგნენ. რეზომ ნარდი გამოიტანა და თამაში შემომთავაზა. რეზომს ვუთხარი:

- ნარდი შენს ცოლისძმას ეთამაშე, მე კი სიამოვნებით გადავიცლებდი ცივ წყალს, თუ ამის საშუალებაა.
- რაზეა საუბარი! შხაპი გინდ ცივი მიიღე, გინდ ცხელი!
- ამ სიტყვებით წამიძღვა მასპინძელი სააბაზანოსკენ. ჩართო ცხელი წყალი და დააყოლა:

– ა, ძამა, რამდენიც გინდა, იმდენი იბანავე, ოღონდ უსაფილოდ არ დაგვტოვო! პირსახოცებიც მანდვე აწყვია.

ვიბანავე. ცივი შხაპიც მივიღე. ტანი შევიმშრალე. მოვწესრიგდი და ოთახში გამოვედი. მონარდეებს მეზობლები შემომატებოდნენ – სამი მამაკაცი მეუღლებთან ერთად. კაცები ნარდს თამაშობდნენ. ქალები ერთმანეთში საუბრობდნენ. მე მივესალმე ახლად შემომატებულებს. დავინახე კოტე განმარტოებით იჯდა სავარძელში. ჩაფიქრებული იყო.

- მოხდა რამე? – ვკითხე კოტეს და გვერდზე მივუჯექი.
- რაც მოხდა, მოყვება მაგ ამხანაგი. ამბავი საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ ჯერ „დოზა“ მიიღოს...

სუფრას მივუსხედით. რეზომ ცოლი მიიწვია:

– დაჯექი, მხარი დამიმშვენე, მეტად გალალებული ვიქები! ნახე ჩვენი მეზობლები, როგორ უდგანან მეუღლეები ერთმანეთს მხარში...

მაკამ გაჯავრებული ხმით მიუგო:

შემწვარი ქათმები და კუპატი რომ გინდა!.. ცხელ ხაჭაპურებს ვინ დაგიცხობს, თუ შენ მოგიჯექი?

– ჰოო, – თქვა ოჯახის მამა-მარჩენალმა, – რაც შენ თქვი, ყველაფერი საჭიროა, ჩემო მაკა, მაგრამ დროა, ჩემო სიცოცხლევ, მაგ საქმეები ჩვენმა გოგოებმა ჩაიბარონ. გაართმევენ თავს ჩვენი შვილები ათვაციანი სუფრის გაწყობას. თანაც შენ აქედან უხელმძღვანელებ!

მაკამ ხელი აუქნია და სამზარეულოს მიაშურა.

მალე სუფრას, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც კი არ აკლდა. ღვინო იყო შესანიშნავი – რეზოს ხელით დაწურული.

– სულ ციცქა და ცოლიკაურია „ნატური“. – ამბობდა მასპინძელი ყოველ სასმისზე.

რამდენიმე სადლეგრძელოს შემდეგ, რეზომ მიმართა ცოლის ძმას:

– აბა, ჩემო კოტე, შეუდექი ცოდვების აღიარებას! ვინ გყავდა, ბიჭო, წუხელ სტუმრად ისეთი, რომ იქით ჩემი საყვარელი სიდედრი მოთქვამს და აქეთ შენმა დამ ჩამოუშვა ცხვირი მას შემდეგ, რაც ახლახან დედამისმა დაურეკა.

კოტემ მისი დისტვილი ლიკა მიიხუტა და თხრობას შეუდგა:

- მოდი, შორიდან დავიწყებ, უფრო გასაგები იქნება, თუ არ გეჩქარებათ! – სუფრის წევრებმა გადმომხედეს.
- ხვალ პირველ საათზე მივფრინავ, – ვთქვი არხეინად.
- კარგად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ ხვალამდე კოტეს ბლუკუნს ვუსმინეთ. – გაიცინა თამადამ.

არადა, კოტე სასიამოვნო მოსაუბრე იყო, სწორუპოვარი თამადაც გახლდათ, უკრავდა როიალზე, გიტარაზე. ქონდა ხავერდოვანი ბარიტონი. ახალგაზრდობაში სპორტს მისდევდა და ჩხუბშიც არავის უდებდა ტოლს. – ორ-სამ კაცს ისე წააქცევდა, რომ დამხმარე არ სჭირდებოდა. ქალები დღემდე ბუზებივით ეხვივნენ, მაგრამ ცოლის თხოვას ვერ უხსენებდი. კოტეს გაგიუებით უყვარდა დისტვილები. თავისუფალ დროს მეტნილად დის ოჯახში ატარებდა, სადაც ნათია და ლიკა კოტეს „ჩემო უცოლ-შვილო ბიძიას“ ეძახდნენ.

კოტე ჩაფიქრდა და ჩახლეჩილი ხმით დაიწყო:

– ეს ამბავი ჯერ არავისთვის მიამბნია. ჩემმა მაკამაც კი არაფერი იცის იმის შესახებ, რასაც ახლა მოგიყვებით. რომ ვთქვი შორიდან დავიწყებ-მეთქი, ტყუილად არ მითქვამს, ეს იყო ამ ოციოდე წლის წინ. შეიძლება არ იცოდეთ, ერთ დროს როგორ „შევიჭერი“ მეცნიერებაში.

– შე კაცო, მაგი რავა არ ვიცით! გადაგვჭამა თავი მაშინ შენმა მშობლებმა და გაუთხოვარმა მამიდებმა, „არიქა, კოტემ ასპირანტურაში ჩააბარა... გადაურევია კირიაკ სამსონიჩ ზავრიევიო“. – გაიცინა რეზომ, – სახლშიც დიდი უსიამოვნება

შემხვდა, – დედაჩემმა ერთი ამბავი დამანია, „თუ კოტემ შეძლო, შენ რა ლმერთი გიწყრება, შენ რატომ არ შედიხარ ასპირანტურაშიო...“ აგერ არის შენი და, თუ ასე არ იყო.

– მასე იქნებოდა, – თქვა კოტემ და განაგრძო, – ჩემი ხელმძღვანელი ენერგიული კაცი გახლდათ. ძალიან სურდა ასპირანტურაც დამემთავრებინა და დისერტაციაც დროულად დამეცვა.

ერთხელ, მოსკოვიდან დამირეკა და მითხრა, უფრო სწორად, მიბრძანა, სასწრაფოდ ჩავსულიყავი მოსკოვში სადისერტაციო მასალების მოსაძიებლად. მეორე თუ მესამე დღეს გადავფრინდი. ჩემმა მშობლებმა და მამიდებმა საუცხოო პურმარილი გამატანეს. მამამ სხვადასხვა დასახელების მაღალი ხარისხის ოცი ბოთლი კონიანი ოც ლიტრ ლვინოსთან ერთად ჩამიდოთ ვითმოფრინავში. დავბინავდი სასტუმრო „ლენინგრადსკაიას“ სამოთახიან ლუქსში. საქმეები ორ დღეში მოვილიერალიან დამეხმარა ჩატანილი პურ-მარილი, განსაკუთრებით სასმელები. მომიძებნეს საჭირო ლიტერატურა, მიშოვეს რეზერატები, დამუშავებული სამეცნიერო თემები და დარიგებებითაც ამავსეს. ორშაბათს ჩასულს, ხუთშაბათს მოსკოვში აღარაფერი მესაქმებოდა. სასტუმრო მომავალ ოთხშაბათამდე მქონდა დაქირავებული. გადავწყვიტე მესარგებლა სიტუაციით და მოსკოვი დამეთვალიერებინა. ბევრი ვიხეტიალე. ვნახენითელი მოედანიც, ტრეტიაკოვის გალერეაც... მიკვირდა როგორ გარბოდნენ და გამორბოდნენ მოსკოველები. მეტროში სასაცილო ამბავიც შემემთხვა: ვაგონიდან გადმოვედი და მეტროს სადგურს ნელი ნაბიჯით გავუყევი. უცებ ზურგში ქოლგის წვერი მატაკა ძლიერად ვიღაცამ, გაიარე, ნუ მიზოზინობ, ხელს ნუ გვიშლიო.

– ქალბატონო, არ მაქვს უფლება ნელა გავიარო? რატომ უნდა ვირბინო ისე, როგორც აქაურები დარბიხართ?

– მე შენ გიჩვენებ სირბილს! – მიკივლა რუსის ქალმა, – გაიარე, თუ არა მოვიდა ქოლგა!

– მაპატიეთ, მე არ ვიცი აქაური წესები, აქ სტუმრად ვარ... – შეშინებული სახე მივიღე და ისე გავალაჯე, ის ქალი რამდენიმე მეტრით ჩამოვიტოვე. უკან მოვიხედე. ქალი გულიანად იცინოდა.

პარასკევი სალამო იყო. ზაფხულობით გვიან ღამდება მოსკოვში. სასტუმროს ვესტიბიულში ვიდექი და ვფიქრობდი: „კიდევ ოთხი დღე აქ რა გამაჩერებს, ხვალვე გავუდგები გზას“.

მე თვითონ არ ვიცი, როგორ მივადექი „ბერიოზკას“ მაღაზიას. მსმენოდა, რომ ამ დასახელების მაღაზიებში მხოლოდ უცხოური ვალუტით ვაჭრობდნენ. ვალუტა სად მქონდა. რა დასამალია, დოლარიც არ მენახა არასოდეს. მაღაზიაში შევედი და მივუახლოვდი ლამაზ გამყიდველ გოგონას, რომელიც წიგნს კითხულობდა.

– მაპატიეთ! – წარმოვთქვი.

გოგონამ თავი ასწია და ლურჯი თვალები შემომანათა.

– რით შემიძლია გემსახუროთ?

– იცით რა? მე ორი თხოვნა მექნება.

ლამაზმა ქალმა გამიღიმა, – ბრძანეთ!

– პირველი თხოვნა ასეთია, არასოდეს დოლარი თვალით არ მინახავს. მანახეთ, თუ გაქვთ ამის შესაძლებლობა!

– ამ თხოვნას ახლავე შეგისრულებთ!

მან უჯრიდან ათდოლარიანი კუპიური ამოილო და გამომიწოდა.

– დაათვალიერეთ!

მე ხელში შევატრიალე მწვანე შეფერილობის ქაღალდის ფული და უკანვე დავუბრუნე.

– ჩათვალეთ, ერთიდან ას დოლარამდე ყველა კუპიური ნანახი გაქვთ, ისინი ერთმანეთს გვანან. ახლა თქვენი მეორე თხოვნა... გისმენთ!

– მეორე თხოვნა ასეთია, მე აქ პირველად ვარ, მსურს მოსკოვი დავათვალიერო და თქვენ იყოთ ჩემი მეგზური. მოსკოვის დათვალიერება მისი რესტორნებით მინდა დავიწყო. რესტორნები ყველაზე კარგად განსაზღვრავენ ქალაქის სახეს. დღეს, სამუშაო საათების შემდეგ, შეგიძლიათ მეგზურობა გამინიოთ? მანახეთ რესტორანი, რომელიც მოსკოვში ყველაზე პოპულარობით სარგებლობს!

გოგონამ გადაიკისკისა:

– არც მაგაზე გეტყვით უარს! თანაც ჩემი სამუშაო დღე ამოინურა. დამიცადეთ ვესტიბიულში, ახლავე გამოვალ!

ხუთი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ ახალგაზრდა ქალი ჩემთან მოვიდა, თვალებში ჩამხედა და მტკიცედ მითხრა:

– წურაფრის იმედი წუ გექნებათ! წამოსვლით კი წამოგვებით წებისმიერ რესტორანში.

მე მხრები ავიჩეჩე. მან გაიღიმა და მითხრა:

– მოდი, დავიწყოთ ჩვენი სასტუმროს რესტორნით. მშვენიერი დარბაზი აქვს, უკეთესი სამზარეულო... იცეკვე რამდენიც გინდა. ორკესტრი უკრავს თითქმის თორმეტ საათამდე...

წება თქვენია, ლამაზო ქალო, მაგრამ ჯერ გავეცნოთ ერთმანეთს. მე ხომ თქვენი სახელიც არ ვიცი.

– მარი დმიტრიევნა, ვსწავლობ უცხო ენებს, მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ, ქმარს გაშორებული. იმდენი წლის, რამდენსაც მომცემთ. დანარჩენი შემდეგ.

– კონსტანტინ სერგეევიჩი, ანუ კოტე. უცოლო. ვმუშაობ სამხრეთის ერთ-ერთ ქალაქში. დაუსწრებლად ვსწავლობ ას-პირანტურაში, პროფესიით ინჟინერ-მშენებელი. ძალიან მომზონხართ! დანარჩენი შემდეგ.

რესტორნის კარებთან ოფიციანტი შემოგვეგება, რომელმაც შინაურულად გაუბა ბაასი ჩემს თანმხლებ ქალს და მიგვაცილა მაგიდამდე.

- რას ინებებთ? – იკითხა ოფიციანტმა.
- გაორმაგებულს, რასაც მარი დმიტრიევნა შეგიკვეთ!
- ვთქვი და მარის მივმართე, – აბა, ვნახოთ, რა გემოვნების ბრძანდებით!..
  - ჩემმა გემოვნებამ რომ გადააჭარბოს თქვენს შესაძლებლობებს? – დამემუქრა ლამაზი ქალი.
  - გამორიცხულია, აქ თქვენ ვერ შემაშინებთ! – ვთქვი რიხით.
  - ვნახოთ!.. – მითხრა მარიმ.
  - ვნახოთ!!! – მივუგე და ვიგრძენი ქალი უფრო და უფრო მიზიდავდა.
- მარიმ სასმელები შეუკვეთა და ეშმაკურად შემომხედა. ოფიციანტმა განაცხადა, ასეთ სასმელებში ფულს წინასწარი ხდიანო.
- მოიტანეთ! თუ მომეწონა, გადაგიხდით!
- ოფიციანტი მალე მოვიდა. მას ორი ბოთლი შამპანური, ორი ბოთლი ღვინო და ორი ბოთლი კონიაკი ჰქონდა საგორავზე დაწყობილი.
- ფრანგული სასმელებია. – თქვა და საკმაოდ დიდი თანხა დაასახელა.
- მე იქვე გადავუხადე ფული ოფიციანტს და ვუთხარი:
- როგორც ხედავთ ფრანგულ სასმელებზე უარს არ ვამბობ, კერძები კი... იქნებ რამე ქართული ან კავკასიური მომიტანოთ! ჩემთან მყოფი გოგონა თავის არჩევანს თვითონ გააკეთებს.
- მარიმ ოფიციანტს შეკვეთა მისცა და მანაც დაგვტოვა. დარბაზს გადავხედე. ის შევსებული იყო. ორკესტრის წინ საცეკვაო მოედნისთვის ადგილი დაეტოვებინათ. ჩვენს ირგვლივ ყველა მაგიდა დაკავებული გახლდათ. მხოლოდ მე და მარი ვუსხედით ოთხ ადგილიან მაგიდას ორნი.

– რად გინდოდა ამდენი სასმელი? – მკითხა მარიმ და სიგარეტს მოუკიდა.

– განა შენ არ შეუკვეთე?

– მე თითო ბოთლი შევუკვეთე, მან კი ორ-ორი მოგვიტანა, „გაორმაგებული“ – გამომაჯავრა მარიმ, – და შენც დაიტოვე. ფულის ფანტვა გყვარებია, ეს მე არ მომწონს!

მარიმ სერიოზული სახე მიიღო.

– ლამაზო გოგონავ, მოდი შევთანხმდეთ, მე თქვენს გვერდით ფულს არ გავფანტავ, თქვენ კი, ვიდრე ჩემთან ხართ, სიგარეტს არ მოსწევთ! ახლა კი მომაწოდეთ თქვენი ხელჩანთა!

მარიმ საჩქაროდ ჩააქრო სიგარეტი და გაკვირვებულმა ხელჩანთა გადმომცა. მე ავიღე თითო ბოთლი შამპანური, ღვინო, კონიაკი და ჩავულაგე ხელჩანთაში.

– ჩემ წილს გჩუქნით, თქვენი წილი სასმელი დავლიოთ! – ამ სიტყვებით ჩანთა დავუბრუნე ქალს.

ორკესტრმა საცეკვაო დაუკრა. მეზობელი მაგიდიდან ვიღაც სამხედრო, მაიორის სამხრეებით მოგვიახლოვდა და მარი საცეკვაოდ გაიწვია. გოგონამ გადმომხედა. მე თავი დავუქნიე და იგი გაჰყვა მაიორს. სიგარეტს მოვუკიდე. მოცეკვავებს გადავხედე. მარიმ ხელი დამიქნია. „საინტერესო არაფერია“, – გავითიქრე.

მუსიკის ხმები შეწყდა. მაიორმა გოგონა მოაცილა და ხეპრულად განაცხადა:

– შემდეგაც ჩემთან იცეკვებ, მე ასე მინდა!

მაიორი აშკარად თავხედობდა. მარის სახეზე უკმაყოფილება ეხატა. სწრაფად წამოვდექი. სკამი გამოვწიე. გოგონამ ადგილი დაიკავა. მაიორს მივუბრუნდი და ვუთხარი:

– თქვენ თუ ფიქრობთ, ეს ლამაზი ქალი იმიტომ შემოვიყვანე აქ, რომ მთელი ღამე თქვენთან იცეკვოს, ცდებით მეგობარო! გთხოვთ თქვენს მაგიდასთან მიბრძანდეთ!

მაიორმა შეიგინა... ხელი მოვკიდე ხულიგანს ქეჩოში და მის მაგიდასთან მივიყვანე. იქ ორი ქალი და ერთი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი იჯდა. მაიორს ხელი შევუშვი და გავაფრთხილე:

– წონასწორობიდან არ გამომიყვანო, თორემ... ახლა კი ამ ქალბატონებს უმადლოდე!

– Ну, ладно... – ნაიბურტყუნა მაიორმა. მე თავი დავუკარი ქალებს და მაგიდას დავუბრუნდი. გოგონამ გამიღიმა. იგი გულდასმით მადევნებდა თვალს.

– თქვენ ჯენტლემენი ბრძანდებით! თქვენი მოქმედება უმაღლეს შეფასებას იმსახურებს. – ოდნავ დაცინვით მითხრა მარიმ.

ორკესტრმა ნელი ტანგო დაუკრა.

– ვიცეკვოთ? – ვკითხე გოგონას.

– სიამოვნებით.

ჩვენ პირველი წყვილი ვიყავით საცეკვაო მოედანზე. სტუდენტობის დროს, თბილისში სამეჯლისო ცეკვების წრეში დავდიოდი. ცეკვებს ვირტუოზები გვასწავლიდნენ. ჯგუფში მე ერთ-ერთ ნიჭიერ შეგირდად ვითვლებოდი. მარი საუცხოოდ ცეკვავდა. ყოველ ჩემს ილეთს ინსტინქტურად გრძნობდა და ჩემთან ერთად ლამაზი ფიგურები გამოჰყავდა. გოგონა ნელი ტანგოს საამურ მელოდიაზე გედივით დაცურავდა. დარბაზის ყურადღების ცენტრში მოვექმით. ვგრძნობდი ჩვენკენ მოპყრობილ მზერას.

ორკესტრი დადუმდა. დარბაზმა ტაში დაუკრა.

– ტაში ჩვენ გვეკუთვნის, – ჩაიცინა მარიმ – სასიამოვნო იყო თქვენი პარტნიორობა!..

იმ ღამით ყველაფერს ვაკეთებდი, რათა თანმხლები ლამაზი ქალის ყურადღება დამემსახურებინა. იგიც, როგორც პატარა ბავშვს, მეთამაშებოდა და მაქეზებდა კიდეც. ჩემი

„ოინბაზობის“ ზენიტი იყო, როდესაც მუსიკოსებს ფული მივე-ცი და ესტრადაზე ორკესტრთან ერთად „ოი, მარი“ შევას-რულე. დარბაზი ოვაციით შეხვდა ჩემ სიმღერას.

– მეყოფა სისულელები. ვხედავ, მე შენ თავს მაინც ვე-რაფრით მოგაწონებ! – ვუთხარი მარის.

– ცდებით, ძალიან ცდებით... მე თქვენ მომწონხართ, სამ-წუხაროა, რომ ხვალ ქალაქებარეთ მივდივარ დეიდასთან სოფელ-ში, ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით.

– არ შეიძლება წამიყვანოთ?

მან თვალებში შემომხედა:

– წამოხვალთ?

– რატომაც არა. საქმე მაინც არაფერი მაქვს. მინდა გავეცნო რუსულ სოფელს, რუსულ ჩვეულებებს. თანაც მსურს ამ დღეებში თქვენ ჩემი დედოფალი იყოთ.

– კოტე, მე ქმარს გაცილებული ქალი ვარ. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს გარყვნილი ვიყო. კიდევ ერთხელ გეუბნე-ბით, ნურაფრის იმედი ნუ გექნებათ, მაგრამ თუ მეგობრად მიმიღებთ, თუ ყოველგვარი ავი განზრახვის გარეშე გსურთ წამომყვეთ სოფელში, ახლა ადგებით და სუფრას დატოვებთ. მე თქვენ დილის ექვს საათზე გამოგივლით. კარგი?

– ნება თქვენია!

ოფიციანტს დავუძახე, ანგარიში გავუსწორე და მარის სახლში ტაქსით მიყვანა შევთავაზე.

– მე თქვენ არ დაგზოგავთ, იქნებ გადაიფიქროთ ჩემთან წამოსვლა! – ჩაიცინა გოგონამ.

– ხვალ რა იქნება, ამაზე ხვალემ იზრუნოს. დღეს კი, მე თქვენს ყოველგვარ სურვილს შევასრულებ!

– საინტერესო კავალერი ბრძანდებით! – მითხრა მარიმ.

გოგონა ტაქსით სახლში მივიყვანე. გამოვემშვიდობე და სასტუმროში დავბრუნდი. ფინანსები გადავამოწმე. სახლი-

დან წამოღებული თანხის მეხუთედი არ მქონდა დახარჯული. „ფული მეყოფა,“ – გავიფიქრე...

ლრმად ჩამძინებოდა. დილის ექვსის ნახევარი იქნებოდა, ტელეფონის ზარმა რომ გამომაღვიძა. ყურმილი ავიღე. მარი შემომეხმიანა. იგი იცინოდა.

- რა ქენი, გადაწყვეტილება არ შეგიცვლია? მოდიხარ?
- ეს თქვენზეა დამოკიდებული! – ჩავძახე ტელეფონში.
- მაშასადამე, მოდიხარ!.. ოც წუთში მანდ ვიქნები, ვესტი-ბიულში დამელოდე!

პირი დავიბანე. ხელჩანთაში პირსაპარსთან და პირსახოცთან ერთად გადარჩენილი ხუთი ბოთლი კონიაკი, რამდენიმე ფილა შოკოლადი ჩავაწყე და სასტუმროს შესასვლელთან გავჩერდი.

მალე მარი გამოჩნდა.

- წავედით? – იკითხა მან.
- წავედით, მაგრამ ამ დილაუთენია ყვავილებს სად ვიშოვით? მინდა თქვენს დეიდაშვილს დაბადების დღე ყვავილებით მივულოცო!

– იცით რა? – გააქნია თავი ლამაზმა გოგონამ, – სიტყვას ასრულება უნდა, თორემ მეც დავიწყებ სიგარეტის გაბოლებას. ყველაფერს აქვს საზღვარი, კმარა სისულელები, გეყოფულის ფლანგვა. ამ სამი დღის განმავლობაში მე, შენი დედოფალი – „თოვლის დედოფალი“ ვიქნები... ჭკუას გასწავლი!

მანქანაში ჩავჯექი. მარი ჩემკენ მოტრიალდა.

- მე თქვენ გუნებაზე მოგიყვანთ! მოდი, გაკოცებ! ვიცი, შენ ეს ძალიან გსურს, უფრო მეტად, ვიდრე დოლარის დანახვა გინდოდა.

მე ლოყა მივუშვირე.

- არა, გაკოცებ როგორც უახლოეს მეგობარს!

იგი ჩემს ტუჩებს დააკვდა.

– შენ მოუკვდი შენს პატრონს! – ჩაერთო მაკა ძმის მონოლოგში, – მოტეხე მაინც ხომ ის საცოდავი გოგო...

– მაკა, ხელს ნუ გვიშლი! – შენიშვნა მისცა თამადამცოლს. – რა ქნა და რა არა, ამას თვითონ მოგვიყვება, მაგრამ ჯერ ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვათ, თორემ გამიშრა ყელი. კოტე მერე გააგრძელებს.

სადღეგრძელო შეისვა. კოტემ განაგრძო:

– თავგზას ნუ ამირევ... – მარის უფროსი, – გთხოვ!

გოგონამ ჩაიცინა:

– აბა, მთელი სვლით წინ!

მარი თავზეხელალებული მძლოლი აღმოჩნდა. „მოსკვიჩი“ დიდი სისწრაფით გააქანა გზაზე. სიჩქარის მაჩვენებელს დავხედე, ასოცს გადააჭარბა. „მოსკვიჩისთვის“ ნამეტანია, მძლოლი ავტობულიგანია,“ – გავიფიქრე და მარიმაც თანდათან შეანელა სრბოლა.

– სულ არ შეგშინებია? – იკითხა ქალმა.

– მე შენს გვერდით ვერაფერი შემაშინებს. თანაც მძლოლთან სიჩქარეზე არ საუბრობენ. – ვთქვი მშვიდად.

ბოროდინოსთან შევჩერდით. მარიმ მითხრა:

– აქ იბრძოდა შენი თანამემამულე ბაგრატიონი...

– და გრაფი კუტაისოვიც. ორივენი გმირულად დაიღუპნენ რუსეთისათვის, – დავამთავრე მარის სიტყვები.

გზა განვაგრძეთ. კარგა ხნის შემდეგ მთავარი გზიდან გადავუხვიეთ. ოლრო-ჩოლრო სოფლის გზა პატარა მდინარეს მისდევდა. სოფელში შევედით. მარიმ მანქანა მშვენივრად შემორაგულ ეზოს მიაყენა. მანქანიდან გადმოვედით. მარიმ ჭიშკარი გააღო და თავისი „მოსკვიჩი“ ეზოში შეიყვანა. მასპინძლები მარის შემოეხვივნენ. მე ჭიშკართან ვიდექი. ჩემთან თვალებგაბრწყინებულმა ახალგაზრდა გოგონამ მოირბინა.

– თქვენ მარისთან ხართ, არა?

– თქვენ კატია იქნებით! – გოგონამ გაკვირვებით შემომხედა, – თქვენმა დეიდაშვილმა, თქვენი დაბადების დღის მოსალოცად წამომიყვანა!

ამ სიტყვებით მანქანასთან მივედი, ჩანთიდან ოთხი ფილა შოკოლადი და ერთი ბოთლი კონიანი „ენისელი“ ამოვილე. იქვე მინდვრის ყვავილი მოვწყვიტე და გოგონას გავუწოდე.

– გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან კეთილი გულით მოძღვნილი მცირე საჩუქარი!

კატიამ ერთი ხელით კონიაკი და შოკოლადები გულთან მიიკრა და გამიცინა.

– მე თქვენ ყვავილს წიგნში შევინახავ!.. – იქვე შემეკითხა,  
– დიდი ხანია იცნობთ მარის?

– მარის მე ვიცნობ მას შემდეგ, რაც ოცნება დავიწყე. იგი ჩემი ოცნების ქალიშვილია.

კატიამ გადაიკისკისა.

– მარი! მე შენი მშურს, ასეთებს აქ ვერ იპოვი...

მარიმ ჩემი თავი წარუდგინა დეიდას და ბიძას – დეიდის ქმარს. მეზობლებმაც თავაზიანად ჩამომართვეს ხელი.

მარის დეიდის ქმარმა, სოფლის ერთ-ერთმა თავკაცმა, მეფრინველეობის მეურნეობის დირექტორმა კირილ მატვეიჩიმა, როგორც კი დამიმარტოხელა, საუბარი გამიბა, თუ როგორ გამოაგზავნა პარტიამ აქ ჩამორჩენილი და ჩამკვდარი მეფრინველეობის დარგის აღსადგენად. დაწვრილებით მოყვა, თუ რა სიძნელეების გადალახვა მოუხდა. ერთხელ, პარტიიდანაც რიცხავდნენ და დაბატიმრებითაც ემუქრებოდნენ თურმე. მას მოწინავე მუშები იქროს საათებით დაუჯილდოვებია, რაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებად მიუჩნევიათ რევიზორებს. ეს მაშინ, როდესაც უწინ ზარალიანი ფერმა, ორასიათასი მანეთის მოგებას აძლევდა სახელმწიფოს.

ასე იყო, თუ ისე, კირილ მატვეიჩმა შესძლო მეფრინ-ველეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად გადაქცევა რაიონული მასშტაბით. „ძია კირილმა“ იმის თქმაც მოასწრო, რომ სახლი, რომელშიც ამჟამად მისი ოჯახი ცხოვრობდა, თავიდან სოფლის ბობოლას – კულაკს ეკუთვნოდა, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში მიუხვრეტიათ, მისი ოჯახი კი ციმბირში გადაუკარგავთ. სახლს სოფსაბჭოს თავმჯდომარე დაპატრონებია, მაგრამ 37 წლის რეპრესიების დროს თავმჯდომარეს და მის ოჯახს იგივე ბედი რგებიათ. ამის შემდეგ სახლში ფერ-მის გამგე შეუსახლებიათ, რომელსაც გაფლანგვისათვის 11 წლით ციმბირში უკრეს თავი და სახლი სოფლის მთავარი აგრონომისათვის გადაუციათ, რომელიც მალე გარყვნილობისა და ლოთობის გამო სოფლიდან გაუსახლებიათ. ბოლოს სახლში კირილ მატვეიჩი და მისი ოჯახი დასახლებულა. ბინის ახალ პატრონს შენობა კაპიტალურად შეუკეთებია, რამდენიმე ოთახი მიუშენებია, ეზო შემოურაგავს და მშვენიერი ბალიც გაუშენებია...

შუადღე იქნებოდა, სუფრა რომ გააწყეს. აქ იყვნენ სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები და კატიას მეგობრები. ჩემ გვერდით ერთ მხარეს, მარიმ დაიკავა ადგილი, მეორე მხრიდან კი – კატია მომიჯდა. კატია მშვენიერი გოგონა გახლდათ. უკრავდა გიტარაზე და რუსულ რომანსებს დიდი გატაცებით ასრულებდა.

სუფრის წევრები განურჩევლად სვამდნენ ყველაფერს, რაც სუფრაზე იდგა და რაც ხელში მოხვდებოდათ. მე გაკვირვებული შევყურებდი მათ მოქმედებას, რომელიც ჩვენებური სუფრის არავითარ წესებს არ ემორჩილებოდა.

მარიმ მთხოვა რამე მემღერა.

ავიღე გიტარა და წამოვიწყე:

„Ехали на троике с бубенцами...“

ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კატიამ მხარზე მომადო თავი და თავისი წერიალა ხმა აუწყო ჩემ სიმღერას. მშვენიერი დუეტი გამოგვივიდა. მთელმა სუფრამ აღტაცებით დაუკრა ტაში. მხოლოდ მარის არ გამოუხატავს აღფრთოვანება.

მეორე ბოთლ კონიაკს ვცლიდი. ვიგრძენი სასმელი მეკიდებოდა. მარი ცოტას სვამდა. კატიამ ცოტაზე მეტი დალია და, როგორც შესაძლებლობა მიეცემოდა, მთელი სხეულით მეტყებოდა. სუფრის წევრები დათვრნენ. მალე სუფრა ისე აირია, როგორც ჩვენში ამბობენ, „ძალი პატრონს რომ ვერ სცნობდა“.

— ადექი, მოგასვენებ! — მითხრა მარიმ.

მან უკანა ოთახში გამიყვანა, სადაც ფართო ტახტზე სამი ადამიანი მაინც დაეტეოდა. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი. გავიხადე, დავწექი და მაშინვე დამეძინა.

სიზმარში რაღაც კოშმარი ვიხილე. გამეღვიძა... ბურანში ვიყავი... არ ვიცოდი სად ვიმყოფებოდი. რომ გამოვფხილდი, ჩემ გვერდით მარის ეძინა. ქალი შიშველი იყო. მას ჩემ მხარზე მიედო თავი, მარჯვენა ხელი ჩემ მკერდზე ესვენა და ფეხი ჩემ ფეხზე ჰქონდა შემოდებული... ელვასავით დამიარა ურუანტელმა მთელ ტანში.

— ქალი კი არა, ქალღმერთია... — გავიფიქრე და ხელი მოვხვიე მძინარე მზეთუნახავს.

— შენ მოგხეხვია წელკავი და არ გადარჩენა! — წამოიძახა მაკამ და ქალიშვილებს მიმართა, — წადით ბავშვებო აქედან! ხომ ხედავთ, ბიძათქვენი გამოჩერჩეტდა, რას ბუუტურობს, თვითონაც არ იცის.

— მოიცა ქალო, მოგვასმენინე ბოლომდე! — შეუტია მეუღლეს რეზომ, — არსად წახვიდეთ ბავშვებო! „დეკამერონში“ რომ წერია, იმაზე უარესი ბიძათქვენს არაფერი უთქვამს. „დეკამერონი“ კი ხან ერთს გიკავიათ ხელში და ხან მეორეს.

– დამამთავრებინებთ ამბავს თუ არა? – იკითხა კოტემ.

– დაგამთავრებინებ რომელია... მაგრამ ერთი სადღეგრძელო დავლიოთ... ჩვენს შვილებს, ჩვენს ანგელოზებს გაუმარჯოს! – თქვა თამადამ და უშველებელი სასმისი ჩაიპირქვავა ხახაში, თანაც, აშენდა შენი დამწურავიო, – ჩაილაპარაკა.

სადღეგრძელო შევსვით. კოტემ განაგრძო:

– იმას ვამბობდი, მარი კოცნაზე კოცნით მპასუხობდა. ქალი თრთოდა ჩემს მკლავებში... ნეტარებისაგან რეტი მესხმოდა. მესმოდა ქალის ვნებიანი ბუტბუტი:

– მიყვარხარ... არ დაიჯერებ, ასეთი რამ არასდროს განმიცდია... ოჟ, შე საძაგელო, თავი შემაყვარე... რა მეშველება... ვიღუპები... კოტე, ძვირფასო, რამე მითხარი!..

სიამოვნებისაგან ძალა გამომელია, ქანცი გამძვრა...

გულალმა ვინექი. მარის თავი ჰქონდა ჩემს კისერზე მოდებული. მისი თმები გულზე მეფინა. ასე ვიყავი რამდენიმე ხანი გატრუნული. მარის გულის ფეთქვა მესმოდა... უცებ, ლია ფანჯრიდან ბალალაიკის ხმები შემოილვარა. შორს ვიღაცა რუსულ ხალხურ საკრავს აუღერებდა და ვერ გაარჩევდი, მღეროდა თუ ყვიროდა:

„Черкез молодой  
Купил поросёнка;  
Всю дорогу целовал,  
Думал, что девчёнка.“

– ძია საშკაა... ახლა პირველი საათი იქნება. ამ დროს ნამოუვლის ხოლმე ძია საშკას; ასე ამბობენ სოფელში.

– ჩერქეზთან შედარებით მე ათჯერ და შეიძლება ათასჯერ ბედნიერი ვარ! – მარის ხელები მოვხვიე და კოცნით დავუფარე შუბლი, ლოყები, ტუჩები, კისერი... ვნებით აღგზნებული, არ ვიცი, რას ჩავდიოდი. მესმოდა ექსტაზში შესული ქალის ხმა:

– გეყო... არა, ერთხელ კიდევ... ღმერთო, რა არის ეს?.. ოჰ, შე საძაგელო... მიყვარხარ... – და უცებ მარიმ გულზე მუშტები დამცხო, – საზიზლარო, კატია მოგეწონა? თქვი, ხომ მოგეწონა?..

მე დავიბენი.

– მარი, დაფიქრდი რას ლაპარაკობ!

– არა, მითხარი, ხომ მოგეწონა? – და უცებ ჩაისისინა,

– ჩვენ დილით, გათენებამდე, ხუთ საათზე წავალთ აქედან. გესმის, ხუთ საათზე მივდივართ.

– ხუთ საათამდე სამი საათია დარჩენილი, მე შენთან წუთსაც არ დავკარგავ! – ვთქვი და ტუჩებზე დავეკონე...

– შენ დაეკონე ჯანდაბას და ოხრობას... შე გათახსირებული! – აყვირდა მაკა.

– კარგი რა, დედა, აცალე ბიძიას! – ემუდარებოდნენ დედას გოგონები. სუფრის წევრებსაც, ეტყობოდათ, ნათიას და ლიკას მხარე ეკავათ.

– მე წავედი, არ შემიძლია ამ დამთხვეულის მოსმენა. – თქვა მაკამ და ოთახიდან გავიდა.

– ასე ჯობია, – თქვა თამადამ, – ხელის შემშლელი არავინ გვეყოლება... თანაც ერთი სადლეგრძელოთი წავინიოთ წინ.

სადლეგრძელოს შემდეგ კოტემ გააგრძელა თავისი თავ-გადასავალი:

– გარიურაჟამდე „სიგიურეში“ ვიყავით. დავიქანცე. არც მარის ადგა უკეთესი დღე. რუსეთში ზაფხულობით ადრე თენდება. ირიურაჟა თუ არა, მარიმ სასწრაფოდ გადაიცვა.

– რას უცდი! ჩაიცვი, ახლავე მივდივართ!

ტანზე გადავიცვი, თავი წესრიგში მოვიყვანე და მარის ვუთხარი:

– ორი ბოთლი კონიაკი და რამდენიმე ფილა შოკოლადი კიდევ დამრჩა... დავტოვოთ?

– თავი დაანებე სისულელეებს, მაგ კანფეტები და შოკოლადები მე მიმაქვს... კატიას არ დავუტოვებ!.. ჩემს თაყვანისმცემლებს გავასინჯებ... – შემომხედა, – ოჟ, შე არამზადავ, რატომ შემაყვარე თავი... კოტე ძვირფასო, რა მეშველება.

თავი მკერდზე მომადო და ატირდა. მე ხელები მოვხვიე ქალს და ჩუმად ვუთხარი:

– მე შენ არასოდეს, არასოდეს დაგივიწყებ, ძვირფასო!

მარიმ თავი ასწია და ცრემლიანი თვალები შემომანათა;

– მართალს მეუბნები?

თვალები დავუკოცნე.

– ვფიცავ სინდისს და ვფიცავ ამ ღამის ნეტარებას.

მარიმ ხელები მომხვია. სახლიდან გამოვედით. არავის გაუგია, არც არავის გამოვთხოვებივართ. მარიმ ჭიშკარი გააღო, მანქანა აამუშავა და ჭიშკარი არც მიუხურავს, ისე გავუდექით გზას. ქალი ჩაფიქრებული იჯდა საჭესთან, ხმას არ იღებდა. მთელი ღამის უძინარი, სოფლის ოლრო-ჩოლრო გზაზე არც თუ დამაჯერებლად მართავდა მანქანას. ერთ-ერთ მოსახვევში საჭე გაექცა. ორმოში ამოვყოფდით თავს, რომ დროზე არ მეტაცა ხელი საჭისათვის და მანქანა გზაზე არ დამეყენებინა. ქალს ვუყვირე:

– რას ჩადიხარ, მარი, გონს მოდი! ღამის ავარია მოახდინე!

მან მანქანა სავალი გზიდან გადაიყვანა. ბუჩქებს ამოვეფარეთ და მანქანა გააჩერა. ქალი მთელი ტანით ცახცახებდა და ჩურჩულებდა:

– სიკვდილი მინდა, არ მინდა სიცოცხლე!..

კაბა აიწია, მუხლს ზემოთ რამდენჯერმე მოისვა ხელი.

– გულ-ღვიძლი მეწვის, მიშველე კოსტია, ძვირფასო!

მივხვდი, ნერვებმა უმტყუნეს, ისტერიკა ეწყებოდა. სავარძლის ზურგი გადავშალე, ქალი საჭეს მოვაშორე და გულში ჩავიკარი. ვგრძნობდი გონებას ვკარგავდი.

რა ჩავიდინე, არ ვიცი... როდესაც გონზე მოვედი, მარი მეფერებოდა, მკოცნიდა.

— ჩემო კარგო, შენ ჩემზე უფრო გიჟი ყოფილხარ! ახლავე მილიციას დავუძახებ და გაუპატიურებისათვის პასუხს მოგთხოვ... ხუთი წლით ციხეში ჩაგსვამ! — იცინოდა ქალი, — ვითომ რაო, კაბა რომ გამიხიე, ესეც ნივთიერი მტკიცებაა, თუმცა ახლა კაბის ამოკერვა მომიწევს. გვერდზე გაიხედე, კაბა უნდა გავიხადო და გავკერო.

მე მარის ხელი ავიღე, სახეზე მივიდე და ასე ვიყავი რამდენიმე ხანი. ვგრძნობდი, როგორ ცახცახებდა მისი სხეული... მანქანიდან გადმოვედი, „მოსკვიჩს“ შემოვუარე, საჭესთან დავჯექი. დაველოდე, ვიდრე მარი კაბის კერვით იყო გართული და როდესაც ტანსაცმელი მოიწესრიგა, მანქანა ავამუშავე.

მალე მოსკოვისკენ მიმავალ ცენტრალურ მაგისტრალზე გამოვედით. „მოსკვიჩი“ დაბალი სიჩქარით მომყავდა. მარიმ თავი მხარზე მომადო და ჩაიძინა.

მოსკოვი რომ გამოჩნდა, ავტომობილი გზის ნაპირზე მივაყენე. მარის კვლავ ეძინა. ქალს თმებზე ვაკოცე. არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ასე. უეცრად ავტოინსპექტორმა ჩვენს გვერდით მანქანა გააჩერა, მანქანიდან გადმოვიდა, სალონში შემოიხედა და იკითხა:

— რა მოხდა?

— ხომ ხედავთ ქალს ძინავს, გთხოვთ ნუ გააღვიძებთ!

ინსპექტორმა თავისი მანქანა „მოსკვიჩის“ წინ გააჩერა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგა. ცოტა ხანში მარის გაეღვიძა.

— მძღოლო, მოსკოვში ვართ? — იკითხა ქალმა.

— არა, მოსკოვის მისადგომებთან ვიმყოფებით. ჩვენს წინ მოსკოვია! დროა საჭესთან დაიკავო ადგილი.

— აბა, მაკოცე ჩქარა! შენი „თოვლის დედოფალი“ არ გააბრაზო, თორემ... საყვარელო, მე ხომ შენი ოცნების ქალი-შვილი ვარ, ასე არ უთხარი კატიას?

მარის თავი მივიზიდე და თმებზე ვაკოცე.

— თმებზე კოცნა თუ ასე ტკბილი და ურუანტელის მომგვრელი იყო, ვერ წარმოვიდგენდი. კოტე, შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ. აი, რატომ შეგიყვარე!

მარი, ჩვენს წინ რომ მილიციონერია, კარგი კაცია! მან არ გაგაღვიძა. ჩვენს წინ დადგა, რომ არავის შევენუხებინეთ. რას იტყვი, ერთ ბოთლ კონიაკს არ იმსახურებს?

— კონიაკსაც იმსახურებს და ორ ფილა შოკოლადსაც... ეი, მილიციელო! — დაუძახა მარიმ ინსპექტორს. — გთხოვთ, ჩვენთან მობრძანდეთ!

ინსპექტორი მოგვიახლოვდა.

— იცით, ჩვენ დავადგინეთ, რომ თქვენ ძალიან კარგი კაცი ბრძანდებით. ამიტომ გაჯილდოვებთ ორი ფილა შოკოლადით და ერთი ბოთლი კონიაკით. ასეთი კონიაკი თქვენ გასინჯული არ გექნებათ! დახეთ, რა აწერია, „გრემი“, ე.ი. „Гремит“.

— ამ სიტყვებით გადასცა მარიმ ინსპექტორს კონიაკი და შოკოლადები. თან ჭუა დაარიგა:

— გირჩევთ, ცოლს მანქანა არ უყიდოთ, თორემ ცოლი თქვენს ნაყიდ მანქანაში აუცილებლად გიღალატებთ. ამას ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით! აი, ჩემი ქმარი გალახვას მიპირებდა, რადგან ვუღალატე. გმადლობთ, რომ გადამარჩინეთ, თორემ თქვენ არ იცით, როგორი მკაცრია ჩემი მეუღლე... ამას ვენაცვალე, ძალიან მიყვარს ეს საზიზლარი. — ხელი მომხვია და ლოყა ლოყაზე მომადო, — რას იტყვი, ლირ-სია ჩემი სიყვარულის?

მილიციონერმა ხელი ქუდთან მიიტანა.

— დარტყმულია, — მითხრა, — ღმერთმა გაძლება მოგცეს  
მაგის ხელში!

სასწრაფოდ ჩაჯდა მანქანაში, ხელი დაგვიქნია და გაგვე-  
ცალა. გულიანად გავიცინეთ.

მარი საჭეს მიუჯდა და სასტუმროსთან მიმიყვანა. მანქა-  
ნიდან გადმოვედი.

— მე შენთან ოთხ საათზე ვიქნები. — მითხრა და მანქანა  
დასძრა. შემდეგ მკვეთრად დაამუხრუჭა, „მოსკვიჩიდან“ გად-  
მოხტა, ჩემთან მოირბინა, მომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა:

— უფრო ადრე მოვალ, ვიდრე შეგპირდი! ჩემზე იფიქრე!

ნომერში შევედი. შხაპი მივიღე და შორტები ჩავიცვი.  
ყელზე ოქროს ძენკვზე ჩამოკიდებული ოქროსავე ჯვარი ჩა-  
მოვიკიდე.

დავფიქრდი. თვალწინ დამიდგა მარისთან გატარებული  
წუთები.

„მარი შენი ბედნიერებაა“, ჩამძახოდა ვიღაც... გონება  
მკარნახობდა: „ამ ქალს არ შეუძლია ბედნიერება მოგიტა-  
ნოს, იგი მხოლოდ სიტკბოების წყაროა და მეტი არაფერი...“  
ვიგრძენი, რომ მარი თავდავიზყებით მიყვარდა. ჩემი გონება  
ჩემს გრძნობებს ვეღარ იმორჩილებდა...

ჩამძინებოდა... ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. საათს  
დავხედე, შვიდი საათი სრულდებოდა. ყურმილი ავიღე და  
მარის შეშფოთებული ხმა მომესმა:

— საზიზლარო, არ მინდოდა მოსვლა, მაგრამ მაინც მოვ-  
დივარ. გეხვეწები არსად წახვიდე, დამხვდი... მაპატიე, რომ  
გალოდინე!

— გელოდები. — მოკლედ ვუპასუხე და ყურმილი დავდე.

ოცი წუთი არ იქნებოდა გასული, მარი ჩემთან გაჩნდა,  
ნომერში შემოვიდა. გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

— მდიდრულად ცხოვრობ! — მითხრა მან, სული რომ  
მოითქვა და დაწყნარდა.

- მდიდრული ცხოვრება კარგია, მაგრამ ძვირი ჯდება...
- საიდან ამდენი?

- დაკითხვაა? კარგი გეტყვი! მე ვმუშაობ, ამავე დროს ჩემთვის აგრეთვე მუშაობენ ჩემი გაუთხოვარი მამიდები. მათი შემოსავალი თვეში ათასრვაასიდან ორი ათასამდე მერყეობს. ჩემს მამიდებს თვეში ხუთას-ექვსას მანეთზე მეტი არ სჭირდებათ. დანარჩენს ვფანტავ მე. გაკმაყოფილებს ჩემი პასუხი?

- სავსებით...

მე საწოლზე ვიყავი წამოწოლილი.

- მაპატიე, რომ ასეთი ჩაცმულობით მიგიღე, აღარც მოგელოდი!

- არაუშავს... შენი ოქროს ჯვარი მეტად საინტერესო ნაკეთობაა.

მარი გვერდით მომიჯდა და თავზე დამადო ხელი.

- კოტე, გიყვარვარ?

ქალს ცრემლებით ევსებოდა თვალები.

- მიყვარხარ თავდავიწყებით, მთელი არსებით, მიყვარხარ ისე ძლიერ, რომ ახლა, ამ წუთში ვნანობ, რომ გაგიცანი. კარგად მესმის, ჩვენ მალე დავშორდებით, ჩვენი გზები გაიყრებიან...

- შენ მარჩიელობით შეგიძლია ირჩინო თავი. - მითხრა დაცინვით მარიმ და თავი გულზე დამადო. - შენს გულისცემას ვისმენ, ნეტავ, ასე მესმოდეს შენი გულისნადები.

- მარი, უნდა შემისრულო ერთი თხოვნაც, - შუბლზე ვაკოცე ქალს, - ამჯერად, ალბათ უკანასკნელი...

ქალს ჩემი მკერდიდან თავი არ აულია, გაკვირვებული თვალებით ამომხედა.

- ახლა შენი ხელით მომხსნი ოქროს ჯვარს ძენკვიანად და ატარებ, ვიდრე გემახსოვრები!

მარი ატირდა.

– ძვირფასო, მე არა ვარ შენი სიყვარულის ღირსი... მე ვთხოვდები. ჩემი საქმრო ხვალ ჩამოდის გერმანიდან, სადაც მივლინებაში იმყოფება. ოთხი საათის წინ მელაპარაკა... აეროპორტში, შერემეტიევოზე უნდა დავხვდე ათ საათზე... ჩემი საქმრო ოცი წლით მაინც იქნება ჩემზე უფროსი. მაღალი თანამდებობის პირია, დამსახურებული, პატივცემული პერსონა... – გულზე მუშტები დამცხო. რატომ, რატომ შემახვედრა ღმერთმა შენი თავი. ოჲ, როგორ ვიტანჯები ეს ორი დღეა... – შემდეგ ქალი თვალებში ჩამაშტერდა, – კიდევ გსურს ოქროს ჯვარი მოგხსნა?

– მინდა ჩემო სულელო გოგო, მინდა მომავალში შენს ცხოვრებაში რაღაც პატარა ადგილი მაინც მეკავოს. ამას ეს ჯვარი გააკეთებს!

– მე მთელი ლამე შენთან დავრჩები!..

არ არის საჭირო გითხრათ, როგორ გავატარეთ ის ლამე...

– რატომ არ არის? – აღშფოთდა რეზო, – მოყევი, მაკამ ხომ უკვე დაგვტოვა.

– მაკა კარგა ხანია გვერდით გიზის, შე უჯიშო! – შეეპასუხა მაკა ქმარს.

– ქალო, ვითომ რატომ ვარ უჯიშო? ნახე, რა ქალიშვილები მყავს! რა ჯიშიანი. ჩემს ნათიას და ლიკას რომელი ბრიჯიტ ბარდო ან ლუჩია ბოსე დაუდგებათ წინ, ენაცვალოს ამათ მამა! კიდევ იტყვი, რომ უჯიშო ვარ?.. ჩემო კოტე, სანამ გააგრძელებ შენს ამბავს, ერთი სასმისიც ჩავსვათ შენს ალსარებაში, ასე აჯობებს.

სადღეგრძელო შევსვით და კოტემ განაგრძო:

შუა ლამე იყო, როცა მარიმ სიცილით მკითხა:

– თუ მიხვდები, რატომ წამოგიყვანე დეიდაჩემის სახლი-დან გათენებამდე?

– რა ვიცი, ავტოინსპექტორმა ხომ დაგისვა დიაგნოზი... ალბათ იმიტომ.

– არაფერიც! ოთახში რომ დაგაწვინე და დაგაძინე, სუ-ფრას დავუბრუნდი. ცოტა ხნის შემდეგ კატია დამეკარგა თვალთახედვიდან. ძუ ვეფხივით წამოვარდი. გულმა მიგრძნო, სადაც იქნებოდა... შენთან შემოვედი. ტახტზე შენს გვერდით დამჯდარა ქალბატონი, გეფერებოდა, გკოცნიდა... კინ-ნის კვრით გამოვაგდე, ოთახი ჩავკეტე, გავიხადე, სრულიად გავშიშვლდი და ისე მოგიწექი. რამდენი გეფერე, რამდენჯერ გაკოცე... არაფერი გაგიგია, მკვდარივით გეძინა. აღარ გა-გაღვიძე... ჩაგეხუტე და ჩამძინებია. როდესაც ალერსი დამი-წყე, უბედნიერესი ქალი ვიყავი. იცი? შენ ხარ ჩემი პირველი მამაკაცი... პირველი მამაკაცი... ის რაც შენთან განვიცადე, პირველი იყო. პირველად შენთან ვიგრძენი, რა ბედნიერებაა იყო ქალი...

დილით რვა საათზე წამოვდექი. მარის ეძინა. დავხედე შიშველ ქალს და გავიფიქრე, – აი, ალბათ ასეთი იყო ტყის ლამაზი ალი, რომელზეც ბაბუა მიყვებოდა ბავშვობაში, ვა-ჟუაცების წახდენა შეეძლოო... ვაჟუაცს ლამაზი ქალი თუ წაახდენსო...

ლოყაზე ვაკოცე შიშველ მშვენიერებას, იგი შეიშმუშნა.

– დროა გაიღვიძო! – ვუთხარი მას.

მარიმ ამოიკვნესა:

– ცუდია, რომ ღმერთი ბედნიერების წუთებს არ ახანგრძლივებს.

ჩაცმული რომ დამინახა, მკითხა:

– შენ საით? შენ ხომ ხვალ თუ ზეგ მიფრინავ!

– არა, მე დღეს მივემგზავრები. როგორმე მოვახერხებ ქუთაისის, თბილისის, ბათუმის ან სოხუმის მიმართულებით ერთი ბილეთის შოვნას. მარი, გმადლობ ყველაფრისათვის!

ვერ წარმოვიდგენდი, რომ თქვენს სისტემაში ანგელოზებიც ერივნენ.

ქალს ხმა აუკანკალდა.

– კოტე, რა შუაშია ჩემი სამსახური. მე ხომ შენ მიყვარ-სარ!

– დარწმუნებული ვარ, რომ გიყვარვარ, ჩემო გოგონავ! მინდა ჩემმა სიყვარულმა შენ ბოროტებისაგან დაგიფაროს. კიდევ... დიდხანს, დიდხანს გახსოვდე!

სასტუმროდან გამოვედით. იქვე ტაქსი დავიქირავე.

– არავითარი ზედმეტი მგზავრი, – ვუთხარი ტაქსისტს, – გადაგიხდი რაც საჭიროა. შერემეტიევო, შემდეგ ვწუკოვო.

მძღოლმა გაკვირვებით შემომხედა და მანქანა დაძრა.

შერემეტიევოზე მარი ცივად გამომემშვიდობა. ვიდრე მანქანაში იჯდა, მისი ხელჩანთა ავიღე და რამდენიმე კუპიური ჩავუდე – მას ფული არ ჰქონდა, ალბათ სიჩქარეში დაავიწყდა.

– შეიძლება დაგჭირდეს!

მან სახეზე ხელი აიფარა და როგორც კი ტაქსი გაჩერდა, მანქანიდან გადახტა. მე ტაქსიდან არ გადმოვსულვარ. ხელი დამიქნია. ტაქსი ადგილიდან დაიძრა, უკან მოვიხედე. მარი იქვე იდგა, სადაც დავტოვე და იმავე წუთს იგი თვალთახედ-ვას მიეფარა, მანქანამ მოუხვია.

– არც ახლა შეიძლება მგზავრის აყვანა? – მკითხა ტაქსის მძღოლმა.

– არც ახლა შეიძლება! – მივუგე და ფული წინ დავუყარე, – უნდა გეყოს!

– მეყოფა რომელია... ღმერთმა ჯანმრთელობა მოგცეთ.

...როგორ დამთავრდა ჩემი „მეცნიერული მოღვაწეობა“, ყველამ კარგად იცით. არც ასპირანტურა დამიმთავრებია და არც ხარისხი დამიცავს. მოსკოვში არ ვყოფილვარ ათ წელზე მეტი.

ამ ბოლო დროს, სამსახურის გამო ხშირად მიხდება მოსკოვში და ლენინგრადში მივლინებით ყოფნა. ერთ-ერთი ასეთი მივლინების დროს სასტუმრო „ლენინგრადსკაიას“ ვესტიბიულში მოვხვდი. „ბერიოზკას“ მაღაზია იმავე ადგილზე იყო, სადაც ადრე. სიგარეტის ყიდვა გადავწყვიტე. მაღაზიაში შევედი. ამჯერად დოლარებიც მქონდა და გერმანული მარკებიც. ახალგაზრდა გამყიდველ ქალს „მალბოროს“ კოლოფი გამოვართვი და ვთხოვე, დამატებით ერთი შეკვრა – ათი კოლოფი „მალბოროც“ მოეცა. ფული გადავუხადე და ვიდრე სიგარეტების შეკვრას მომცემდა, ვკითხე:

– აქ რამდენიმე წლის წინ, ერთი გოგონა მუშაობდა – მარი დმიტრიევნა ლეონტიევა. შემთხვევით, ხომ არაფერი იცით მის შესახებ?

გამყიდველი შეკრთა, დამაშტერდა, მარცხენა ხელზე სვირინგი შეათვალიერა. შემდეგ ჩუმად ჩაილაპარაკა:

– თქვენ კონსტანტინ სერგეევიჩი ბრძანდებით?  
– დიახ, კოტე! – წარმოვთქვი დაბნეულად.  
– ო! – თქვა მწუხარედ ახალგაზრდა ქალმა, – მარი დმიტრიევნა სამი თვე იქნება რაც გარდაიცვალა. – შემდეგ დაბალი ხმით ჩაილაპარაკა, – მე ვიცი თქვენი საიდუმლო. ეს საიდუმლო ჩემს მეტმა უკვე აღარავინ იცის. არც თქვენ იცით!

– რა იცით, არ მეტყვით, კეთილო ქალბატონო?  
– ამ საიდუმლოს მარის საფლავზე გაგიმხელთ. წამოხვალთ სასაფლაოზე? ნახავთ მარის საფლავს?

– როდის გეცლებათ? მე ამ ღამით ლენინგრადში მივემგზავრები, ბილეთი ნაყიდი მაქვს... – რას ვლაპარაკობდი მე თვითონ არ ვიცოდი.

– ნახევარ საათში ვამთავრებ სამუშაოს, დამიცადეთ.

ნახევარ საათში ქალი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– თქვენ სიგარეტები დაგრჩათ, აიღეთ!

– ტაქსს დავიქირავებ. – ვთქვი.

არ არის საჭირო, მანქანით ვარ. – მითხრა მან.

გზაზე ყვავილები ვიყიდე. ვაგანკოვის სასაფლაოსთან ქალმა „უიგული“ გააჩერა. მარის საფლავზე წითელი ვარდების თაიგული დავდე. იქვე ქვის მოაჯირს მივეყრდენი და ფიქრებში გავეხვიე.

– მე ლარისა მქვია, ვიცნობდეთ ერთმანეთს. – მითხრა ქალმა, – საიდუმლო კი ის არის, რომ თქვენ მარისთან შვილი გყავთ – ვაჟიმვილი.

მე გაოცებული თვალებით შევხედე ჩემს მეგზურს.

– თქვენი ვაჟიმვილი მარის ქმრის გვარს ატარებს, მაგრამ სახელი მამათქვენის ჰქვია – სერგეი. თქვენი შვილი ოდესმე გინახულებთ, მარის ბიჭი დედის ანდერძს უსათუოდ აასრულებს, მაგრამ თქვენ ხომ არ ისურვებდით შვილის ნახვას? მე შემიძლია მოგიწყოთ მასთან შეხვედრა.

ჩავთიქრდი. შემდეგ ქალს ხელზე ვაკოცე და ვუთხარი:

– არ შეიძლება პატარას, იგი ალბათ თოთხმეტი წლისაც არ იქნება, გული ვატკინოთ, გზა გავუმრუდოთ. დაე, ატაროს მან მარის ქმრის გვარი. როდესაც გაიზრდება, ვნახოთ... მადლობელი ვარ ყველაფრისათვის, ჩემო კარგო... მე წავედი.

– მიგიყვანთ სადაც გნებავთ! – მეხვეწებოდა, მაგრამ მე მარტოობა მინდოდა. იქვე იღბლად ტაქსიც დავლანდე. ლარისას ერთხელ კიდევ გადავუხადე მადლობა და ტაქსში ჩავჯექი...

ამის შემდეგ, რამდენიმე წელი გავიდა.

გუშინ სამსახურში პირადი მდივანი შემოვიდა და მითხრა:

– ვიღაც ახალგაზრდა კაცს თქვენი ნახვა სურს, ხომ არ მიიღებთ?

შესვენება იწყებოდა.

– შემოვიდეს. – ვთქვი.

კაბინეტში ახოვანი ახალგაზრდა შემოვიდა. მომესალმა და თქვა:

– ბატონო ჩემო, მე ვასრულებ დედის ანდერძს, მას სურდა მე თქვენ მენახეთ. ვინ იყო დედაჩემი ამ ჯვარმა უნდა გაგა-სენოთ! – ყელიდან მოიხსნა ოქროს ძენკვი ჯვართან ერთად და დამიდო წინ.

სუნთქვა შემეკრა.

– გთხოვთ, არ ინერვიულოთ! მე თან მაქვს დედაჩემის წერილი, რომელიც თქვენთან ერთად უნდა გავხსნა. წერილი ალბათ ბევრ რამეს მოჰყენს ნათელს.

– წერილს მომცემთ? – ვიკითხე აკანკალებული ხმით.

– წერილს გადმოგცემთ მას შემდეგ, როდესაც წაგიკითხავთ. დედას ასე სურდა, ასე დამიბარა სიკვდილის წინ.

ახალგაზრდამ გახსნა კონვერტი და შეუდგა კითხვას. აი, ეს წერილიც.

კოტემ გულისჯიბიდან ამოილო დაკეცილი ბარათი და წაგვიკითხა:

„კოტე, ძვირფასო! შენს წინ შენი შვილი, შენი ვაჟიშვილი დგას და გადმოგცემს ჩემ ალსარებას, ჩემ გულის ნადებს...“

– ვაი, შენს მამიდას, – დაიკვენესა მაკამ, – კოტე, ეს რა ქენი, შვილი რატომ არ გვანახე, შე უგულო, უგულო!..

ბრაზით გადახედა ძმას მაკამ და კოტეს სახე რომ დაინახა, წამოიძახა:

– ვაიმე, ძმაო! რა ცეცხლი ტრიალებს შენს გულში....

– მოიცა, ქალო, დაამთავროს! – სუფრის თამადის ხმაში ბზარი გაჩნდა, – მაკა, გენაცვალოს ჩემი თავი, დაამთავროს კოტემ თავისი ამბავი, ხელს ნუ შევუშლით!

ამჯერად რეზოს ახალი სადღეგრძელო აღარ გახსენებია. კოტემ წერილის კითხვა განაგრძო:

„ჩვენი შეხვედრა იყო ღვთისგან ბოძებული ბედნიერება. ღვთის ამ საჩუქარზე არც ერთს გვითქვამს უარი. ამ ბედნიერების ნაყოფი ახლა შენს წინ დგას და არ იცის რა ქნას – დედამ იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. ჩვენი შვილი შენი მამის სახელს ატარებს. მას მე სერგეი დავორქვი. მე მსურს სერგეიმ იცოდეს მისი ნამდვილი მამის სახეც და სახელიც.

მე მივდივარ ამ ქვეყნიდან ბედნიერი. ბედნიერი ვარ იმით, რომ შენთან მთელი ორი დღე ვიცხოვრე, რომელიც ათჯერ გადაწონიდა წლებს, რაც მე ოდესმე გამიტარებია ამ ქვეყნად.

ძვირფასო, ჩემი გათხოვება შეცდომა იყო, თუმცა ამ შეცდომაში შენც მიგიძლვის ბრალი. ერთი სიტყვა შენგან საკმარისი იყო და მე არ გავთხოვდებოდი, დაგიცდიდი სიკვდილამდე. მთელი ლამე ველოდი ამ სიტყვას, შენ ის არ თქვი. არ თქვი იმიტომ, რომ საოცრად კეთილი ხარ... ღმერთო, რა ღრმად შევიცანი ორიოდ დღეში შენი შინაგანი სამყარო...

შენი და შენი შვილის ურთიერთობაზე არ ვწუხვარ. ვიცი ისე იქნება, როგორც მარის გაეხარდება იმ ქვეყნად...

გაიხსენე, მე შენ გითხარი, შენ ჩემი პირველი მამაკაცი ხარ. სიკვდილის წინ გეუბნები, პირველი და უკანასკნელიც შენ იყავი... მშვიდობით ძვირფასო! მარი“

– ეს როგორ, – წარმოსთქვა ჩემმა შვილმა, – ღმერთო, ეს რა მკაცრი გამოცდა მომინყო დედამ.

სერგეის თვალებზე ცრემლი შევნიშნე.

ორივენი ვსდეუმდით კარგა ხანს. რა მეთქვა არ ვიცოდი. დაბნეულობამ რომ გამიარა, სერგეის ვუთხარი:

– დედაშენს ჩემს გულში ისეთი ადგილი ეკავა, რომლის შეცვლა ვერც ერთმა ქალმა ვერ შესძლო. აი, ამიტომ დავრჩი უოჯახოდ, ეული... ჩემო ძვირფასო, შვილს ვერ გეძახი, მე ხომ შენთვის არავითარი ამაგი არ გამიწევია... დედაშენმა არა მარტო შენ, არამედ მეც ულმობელი გამოცდა მომინყო. ჩვენ

უნდა შევძლოთ ამ გამოცდის ჩაბარება. შენ წამოხვალ ჩემთან, სახლში...

– მე ვიყავი თქვენთან, სწორედ იქ მიმასწავლეს სად შეიძლებოდა თქვენი ნახვა! – ხვალ მივთრინავ.

– შენი ნებაა, მაგრამ ამ ღამეს ჩემთან გაათევ, – ვუთხარი ჩემს ბიჭს, – ვისაუბრებთ დედაშენზე და ყველაფერზე, რაც მას შეეხება.

მთელი ღამე თითქმის არ დაგვიძინია. სერიოზამ ბევრი რამ გაიხსენა დედამისზე. ყმანვილი გრძნობდა, რომ დედას ის განსაკუთრებული, გამორჩეული, გიუური სიყვარულით უყვარდა და მის უმცროს ქალიშვილს საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას. ამას სერიოზა მისი პირველი შვილობით და ვაჟიშვილობით ხსნიდა. ახლა სერგეი ერთ თვეში მიემგზავრებოდა ინგლისში, ორი წლით, სასწავლებლად. ეს მის მაღალი თანამდებობის „მამას“ მოუგვარებია.

შევთანხმდით, რომ სერგეისთვის დრო იყო საჭირო, რათა გარკვეულიყო ვითარებაში.

– თქვენ იცით, რომ მე მყავს მამა, მე იგი მიყვარს, დიდ პატივს ვცემ. – მითხრა ჩემმა შვილმა, – მომეცით დრო, რათა ჩამოვყალიბდე.

შენს საყვარელ სიდედრს, დედაჩემს, ჩემო რეზო, ძნელად თუ რამეს გამოაპარებ. იგი მთელი ღამის განმავლობაში ორჯერ შემოვიდა ჩვენთან.

დილით, როდესაც ჩაი და საუზმე მოგვიტანა, მითხრა:

– ეს ბიჭი შენც გგავს, მაგრამ გამოხოხებული ჩემი სერგიაა.

დედას მკაცრად შევუტიე:

– კარგი რა დედა, რას არ მოიგონებ! სად მამაჩემი და სად ეს ყმანვილი.

დედაჩემმა ოთახიდან გასვლისას ამოიკვნესა:

— ვაი, შენს დედას, შვილო!

სერგეის ვუთხარი:

— რადგან დრო არის საჭირო ჩვენი ურთიერთობების გასარკვევად, მე შენ არ წარგადგენ არც ბებიაშენთან, რომელიც უკვე რაღაცას ხვდება, არც მამიდაშენთან და ბიძასთან, რომლებიც დიდ საყვედურს მეტყვიან, რომ მე შენ მათ არ გაგაცანი, არც მამიდაშვილებთან — ანგელოზ გოგონებთან, რომლებიც როგორც ღვიძლ ძმას, ისე მიგიღებდნენ...

გამომშვიდობებისას ჩემმა ვაჟმა მითხრა:

— ჩემთვის თავზარდამცემი იყო ის, რაც გუშინ გავიგე, მაგრამ კმაყოფილებას განვიცდი, რომ გაგიცანით, ბედნიერი ვარ, რადგან გავიცანი მამაკაცი, რომელიც დედას ასე ძლიერ უყვარდა. უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ დედის ხსოვნას ასე სათუთად ინახავთ. რაც შეეხება ოქროს ჯვარს, იგი ჩემთან დარჩება, როგორც დედაჩემისა და თქვენი უდიდესი სიყვარულის სიმბოლო.

— ჯვარი შენია. იგი შენ გეკუთვნის, ჩემო შვილო, — თვალებზე ცრემლი მომადგა, მოვეხვიე ჩემს სისხლს და ხორცს, — თუ ოდესმე შესძლებ მომიტევო, უბედნიერესი ვიქნები!..

გამცილებლებმა მგზავრები თვითმფრინავის ტრაპისაკენ წაიყვანა. მე გაშეშებული ვიდეეი, ვიდრე მგზავრები სალონში სხდებოდნენ, ვიდრე არ მოსცილდა კიბე, ვიდრე სტარტზე არ გავიდა და არ აფრინდა თვითმფრინავი, რომელსაც ჩემი ვაჟი რუსეთისკენ მიჰყავდა. მანქანაში ჩავჯერი და მაშინ გამახსენდა, სერგეისთვის ფული არ მიმიცია...

აეროპორტიდან პირდაპირ ჩემს დისშვილებს მოვაშურე სულიერი ტრავმის დასაყუჩებლად.

აცრემლებული გოგონები ბიძას მოეხვივნენ. დიასახლისმა სახეზე ცხვირსახოცი მიიფარა და ოთახიდან გავიდა. რეზომ გადაკოცნა ცოლისძმა და თან წაიბურტყუნა:

– ვერაფერს გეტყვი... ეს რა მოგვიყევი, თუ ძმა ხარ!..

მეზობლები ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ. ქალები ცხვირ-სახოცით თვალებს იწმენდნენ. მე უხერხულობას ვგრძნობდი, არ ვიცოდი რა მეთქვა.

კოტემ ხელი მოხვია დისშვილებს. გოგონები ცრემლიანი ლოყებით მიეკვრნენ ბიძის ლოყებს.

– ზოგჯერ ნამდვილი ამბები დიდად აჭარბებენ ნები-სმიერი მწერლის ფანტაზიას, – მითხრა კოტემ, – რა... შენი თავგადასავალი ნაკლებად საინტერესოა? მაგრამ შენ ჩემზე ბედნიერი აღმოჩნდი. ალბათ ცხოვრებაც ეს არის.

– ალბათ...

## მესამე რაგის კაპიტანი

მოსკოვში, სასტუმრო „ლენინგრადსკაიადან“ რკინიგზის სადგურ „ლენინგრადსკაიამდე“. ათიოდე წუთის ფეხით სავალი გზა თუ იქნება.

დილით ლენინგრადის მიმართულებით სამგზავრო ბილეთი შევიძინე მოსკოვი-ლენინგრადის სამგზავრო მატარებელზე, რომელსაც „კრასნაია სტრელა“ ჰქვია, ალბათ იმიტომ, რომ ვაგონები წითლადაა შეღებილი.

მატარებლის გასვლამდე ოცდახუთი წუთით ადრე სასტუმროს სართულის მორიგეს დავუძახე და ნომრის ჩაბარება ვთხოვე. ახალგაზრდა გოგონა მთქნარებით წამომყვა და როდესაც დარწმუნდა, არაფერი მქონდა მოპარული, მითხრა:

– თავისუფალი ბრძანდებით!

სასტუმროს შენობა დავტოვე. ქუჩაში იანვრის ყინვა მძვინვარებდა. სადგურისკენ მოკლეზე მიმავალი გზა გადათხრილი იყო. ნათურებით განათებულ სამუშაო მოედანზე კომპრესორი გუგუნებდა, მუშები ირეოდნენ. ალბათ მიწისქვეშა სამუშაოები მიმდინარეობს, გავიფიქრე და ქუჩის მეორე მხარეს გადავედი, რათა შემოფარგლული სამუშაო ტერიტორიისათვის შემომევლო. ყინვაზე ფეხი ამიცურდა, დავეცი. იოლად გადავრჩი, არაფერი მტკენია. გულიანად შევიგინე და განვაგრძე გზა სადგურისაკენ. სადგურის გრძელი დარბაზი ჩქარი ნაბიჯებით გავიარე. ბაქანზე მდგომი მატარებლის მეათე ვაგონამდე მივედი, ტამბურში შევდგი ფეხი და მატარებელიც დაიძრა. კუპეში ქალი დამხვდა. მისალმებაზე მისალმებით მიპასუხა. მგზავრის გამოკვეთილი აქცენტი მიანიშნებდა, რომ ქალი რუსი არ იყო. ვაგონში საშინლად ცხელოდა. ქურთუკი გავიხადე, ხელჩანთა საბარგულში ჩავდე, პიჯაკიც გავიძრე. როგორც იტყვიან,

მოვშილიფდი. ფანჯარასთან მაგიდას მივუჯექი და წამოღებული გაზეთების თვალიერებას შევუდექი.

ქალი ყურადღებით უცქერდა ჩემ საქმიანობას და როცა გაზეთებს დავუწყე კირკიტი, ღიმილით მითხრა:

– ნუთუ არ გავიცნოთ ერთმანეთი? მე მარტა მქვია, ტურისტი ვარ აღმოსავლეთ გერმანიდან. ჩვენ ლენინგრადამდე, ე.ი. დილამდე ხომ ერთად მოგვიწევს კუპეში ყოფნა.

– დიდად სასიამოვნოა, – ვუთხარი ქალს, – მე ნიკოლაის მეძახიან.

ქალი შევათვალიერე. იგი ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული იყო, მაგრამ მაინც მომხიბვლელად გამოიყურებოდა.

– რა არის სასიამოვნო? – გაიღიმა ქალმა, – ის რომ მარტა მქვია, თუ დილამდე ერთად რომ ვიქწებით კუპეში?

– სასიამოვნოა მარტა რომ გქვიათ. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ჩემთან იქნებით მთელი ღამე, ეს ასე არ იქნება. მე უიღბლო გახლავართ ცხოვრებაში. თქვენ უთუოდ წაგიყვანენ აქედან! – ვთქვი ღიმილით.

ქალმა გულიანად გაიცინა. სიცილი დამთავრებული არ ქონდა, კუპის კარი სამხედრო-საზღვაო ფორმაში გამოწყობილმა, ხელჯოხიანმა ახალგაზრდა კაცმა რომ შემოალო. მას ვიღაც, ალბათ ტურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი შემოჰყვა, რომელმაც ქალს მიმართა:

– მარტა, ამ ჯენტლმენმა თავისი ადგილი დაგითმოთ. გადადით მეზობელ კუპეში ჰილდასთან!

აშკარა იყო, ტურისტული ჯგუფის უფროსი ზედმეტ მზრუნველობას იჩენდა მისი ქალი ტურისტის „უსაფრთხოებაზე“.

– თქვენ წინასწარმეტყველი ბრძანებულხართ! – მითხრა ქალმა და უცხო ენაზე საუბარი გაუბა ჯგუფის ხელმძღვანელს. ხელჯოხიანმა მეზღვაურმაც რაღაც გადაულაპარა-

კა ტურისტს. მათ გაიცინეს. მარტამ სწრაფად აკრიფა თავისი ბარგი, თავი დაგვიკრა და ჯგუფის ხელმძღვანელს გაჰყვა.

– მე არკადი სერგეევიჩი გახლავართ... ვიცნობდეთ ერთ-მანეთს! – წარმოსთქვა მეზღვაურმა.

– ნიკოლაი გეორგიევიჩს მეძახიან, – ვთქვი, – თუ ნიკას დამიძახებთ, არც ამით დაშავდება რამე.

– შეგიძლიათ თქვენც, ასევე უბრალოდ, არკადი დამიძახოთ! – თქვა ჩემმა თანამგზავრმა და საწოლის მოწესრიგებას შეუდგა.

– გთხოვთ ამიხსნათ, მაიორის სამხრეებს ფლოტში რას ეძახიან, მაპატიეთ, თუ კითხვა სწორად ვერ დავსვი... მაგრამ მგონი მიმიხვდით რაც შეგეკითხეთ!

– არა... რატომ?.. მე მივხვდი, თქვენ რისი გაგებაც გსურთ! მე ვარ მესამე რანგის კაპიტანი.

– პირველი რანგის კაპიტანი, ალბათ პოლკოვნიკის სამხრეებს ატარებს...

– ზუსტად ასეა (Так точно)... – მიპასუხა მეზღვაურმა.

– ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებით. ჭალარა და ხელ-ჯოხი ცოტა ნაადრევი ხომ არ არის თქვენი ასაკისათვის? – წარმოვთქვი.

– ოჟ, ეს მთელი ისტორიაა... თქვენ მართალი ბრძანდებით. მე ოცდათერთმეტი წელი სულ ახლახან შემისრულდა. ჩემი ჭალარაც და ხელჯოხიც მიუთითებს, რომ მე ბევრი რამ გადავიტანე ჩემი ცხოვრების ამ მოკლე მანძილზე. არ მსურს მახსოვდეს, რაც გადამხდა, მაგრამ რომ ვერც ვივინყებ. ეს ხომ ჩემი ცხოვრებაა და საკუთარ თავს ხომ ვერ გავექცევი?..

არკადი ჩაფიქრდა. მე ამოვალაგე ჩემი ხორაგი. ძეხვი, მოხარშული კვერცხები, პური, საწებლის ქილა, თავი ნიორი, რომელსაც მუდამ ვატარებდი მგზავრობის დროს. დავდგი სამი ბოთლი კონიაკი „თბილისი“.

გთხოვთ, შემოუერთდეთ ჩემ ტრაპეზის! არ დამძრახოთ, თუ ისე ვერ გაგიმასპინძლდით, როგორც მესამე რანგის კაპიტანს ეკადრება! – ვთქვი ღიმილით.

- სადაური კონიაკია? – იკითხა არკადიმ.
- ქართული, ვფიქრობ მოგეწონებათ. აბა გასინჯეთ!
- არკადიმ ჭიქა შეავსო, გადაჰკრა კონიაკი და წამოიძახა:
- ოჭ, ღმერთებს რომ შეეფერება, ისეთია!
- თქვენ, როგორც ჩანს, ერკვევით სასმელებში!
- მერე როგორ! მე დამიჭამნიკებია მსოფლიოს საუკეთესო ხარისხის კონიაკიც და ბრენდიც. თქვენი სასმელი საუკეთესოა მათ შორის, რაც მე ოდესმე გამისინჯავს.
- რადგან ეგრეა, შევუდგეთ საქმეს, – ვთქვი, – ჩვენ გაცნობას გაუმარჯოს!

სასმისები დავცალეთ.

- თქვენ ქართველი ბრძანდებით? – მკითხა არკადიმ. თავი დავუქნიე, მან განაგრძო, – მე დედის დედა მყავდა ქართველი, თავად ორბელიანის ქალი, სახელად ელენა კალისტრატოვნა, მრავალი უცხო ენის მცოდნე – პოლიგლოტი. მე მისი გაზრდილი ვარ. დედაჩემი ჩემს მშობიარობას გადაჰყვა. დედა თავისი მშობლების ერთადერთი შვილი იყო... მამა 1942 წელს ლენინგრადის დაცვის დროს დაიღუპა. „გმირულად დაღუპულა“ – ასე აცნობეს ოჯახს. მე მაშინ სამი წლის თუ ვიქნებოდი.

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

- ჩემი წინაპრების შესახებ ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ. – განაგრძო ჩემმა თანამგზავრმა, – მამის მხრიდან ჩემი ყველა წინაპარი, პეტრე პირველის დროიდან მოყოლებული, მეზღვაური იყო. ჩემმა ბაბუამ არც თუ მცირე როლი შეასრულა ბალტიის ფლოტის გადარჩენაში 1918 წელს. ბაბუა ფლოტის სარდლის ერთ-ერთი აქტიური თანამოაზრე გახლდათ. როგორც ცნობილია, მაშინ ტროცკის ბრძანებით სარდალი

დახვრიტეს. ბაბუა გადარჩა, თუმცა შემდეგ, კრონშტადტის ამბოხებისას, ბაბუა სიკვდილით დასაჯეს მიუხედავად იმისა, რომ მას ამბოხებაში მონაწილეობა არ მიუღია. ბებია დარდისგან მალე გარდაიცვალა. მამაჩემს მისი მამის მეგობრებმა უპატრონეს. მათი დახმარებით მამამ „ნითელ ფლოტში“ შესძლო სამსახური. იგი, როგორც გითხარით, 1942 წელს დაიღუპა ოცდაათი წლის ასაკში. დედის მხრიდან, ჩემი ბაბუის ოჯახი მეფის კართან დაახლოებული ოჯახების ნუსხაში იყო წარმოდგენილი. ამას ხელი არ შეუშლია ახალგაზრდა ბაბუისათვის, რომ იგი რევოლუციის სამსახურში ჩამდგარიყო. ბაბუაც და ბებიაც სახალხო კომისართა საბჭოში მიღებული, საჭირო „სპეცები“ გახლდნენ, განსაკუთრებით, საგარეო საქმეთა საკითხებში. ბაბუა და მისი ოჯახი 1937 წლის რეპრესიებსაც გადაურჩა. ბაბუა 1940 წელს გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალეს ალექსანდრე ნეველის სასაფლაოზე.

ჩემი აღზრდა დედის დედამ – ელენა კალისტრატოვნამ ითავა. მან მოისურვა ჩემი წინაპრების ტრადიციების დარღვევა. მისი პირადი ხელმძღვანელობით რამდენიმე უცხო ენა შევისწავლე... თავისუფლად შემეძლო საუნივერსიტეტო ასპარეზზე მეცადა ჩემი შესაძლებლობები. არაფერი გამომივიდა... გადამწყვეტ მომენტში წინაპართა ტრადიციებმა გადაძალეს – სამხედრო-საზღვაო აკადემია ავირჩიე. არც დიდედას გაჰკვირვებია ჩემი არჩევანი. მალე, ორ წელიწადში, ხარისხიც დავიცავი აქტუალურ თემაზე. ჩემი კარიერა აღმავლობით მიიწევდა. ამ დროს, გამომიძახეს საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც მაგრძნობინეს, რომ ჩემი შემდგომი საქმიანობა მათ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ.

გამგზავნეს ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის სამხედრო ატაშეს სამსახურში. მუშაობას დიდი მონდომებით შევუდევი. ჩემი შეფი კმაყოფილი იყო ჩემით. ნებისმიერ სამუშაოს

ვასრულებდი დროულად და უნაკლოდ. მუშაობაში დიდად მშველოდა უცხო ენების ცოდნა. ვლაპარაკობ ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად. ვიცი ესპანური და იტალიური. შემიძლია არაბულ ენაზე საუბარიც... რუსულიც ვიცი. – გაიღიმა მან.

– ცუდია, ელენა კალისტრატოვნამ ქართული რომ არ შემასწავლა, მაგრამ ვფიქრობ, თვითონაც არ იცოდა მშობლიური ენა. იგი გარუსებული ქართველი თავადის ოჯახიდან იყო. აი, აქ რომ ტურისტებმა ფრანგულად გააჩალეს საუბარი თქვენი და, მგონი ჩემი გაბითურების მიზნით, მე მათ ვუთხარი, იმდენი ენა ვიცი, რამდენიც არ ეცოდინებათ თქვენს ტურისტებს ერთად ალებულთ. გაფრთხილებთ, არ იჭორაოთ უცენზურო თემაზე ჩემი თანდასწრებით, რომელ ენაზეც უნდა იყოს, თორემ მოუწევს თქვენს ჰილდას ჩემთან ყოფნა მთელი დამე-მეთქი.

– როგორც მოგახსენეთ, ჩემი საზღვარგარეთული სამსახურის პირველი ნაბიჯები წარმატებული აღმოჩნდა. რაღაც სამ თვეში მე უკვე საიმედო, ნიჭიერი და დისციპლინირებული მუშაკის სახელი დავიმკვიდრე. ეს არც ისე იოლია დიპლომატიურ ასპარეზზე.

– თქვენ თქვით, რომ ექვს თუ შვიდ ენაზე საუბრობთ! ეს ბედნიერებაა. თქვენ, როგორც იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებულს დაგინყიათ ცხოვრების ასპარეზზე მოღვაწეობა. ამრიგად, თქვენი წარმატებები სრულიად არ უნდა ყოფილიყო საკვირველი! – ჩავერთე არკადის საუბარში.

– თქვენ მართალი იქნებოდით იმ შემთხვევაში, თუ სხვა ქვეყანაში წარმოვიდგენთ ცხოვრებას. ჩვენთან სხვა კრიტერიუმებია. აქ ვამბობთ: განა რუსეთზე არ სთქვა ლერმონტოვმა? „...ჩვენთან მთავარი ის კი არ არის, პირადად თქვენ რას წარმოადგენთ, არამედ მთავარია, ვინ გმფარველობთ!“ ვერც

ერთი რაიკომის თუ ქალაქეკომის მდივანი, ვერც ერთი მინისტრი თუ ელჩი, ერთ კვირასაც ვერ გასძლებს თანამდებობაზე, თუ მას მფარველი, მხარდამჭერი არა ჰყავს ზემო ეშელონებში. აქ მთავარი ის კი არ არის, როგორ ემსახურები ქვეყანას, არამედ მთავარია, როგორ ემსახურები შენს უფროსს, შენს ზემდგომს.

— თქვენ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით, ასეთ აზრებს რომ გამოთქვამთ! — ვთქვი.

— ჯერ ერთი, ეს სრულებით არ გახლავთ ჩემი აზრები. მე უბრალოდ ვიმეორებ „დისიდენტების“ მოსაზრებებს. მეორეც, საკუთარ თავზე იმდენი უსამართლობა გამოვცადე, რომ დავრწმუნდი, „სხვაგვარად მოაზროვნები“ არ ცდებიან. — თქვა არკადიმ.

თითო ჭიქა კონიაკი დავცალეთ და ჩემმა თანამგზავრმა განაგრძო:

— ჩემი საზღვარგარეთ ყოფნის მეოთხე თვე იწურებოდა, როდესაც ჩემმა უფროსმა საელჩოში წამიყვანა საპირველმაისო ბანკეტზე. ბანკეტს ესწრებოდნენ მაღალი ჩინოვნიკების ოჯახის წევრები. შეკრებამ მხიარულად ჩაიარა. თითოეული ჩვენთაგანის მიერ შესრულებულ იქნა მუსიკალური ნაწარმოები, მხატვრული კითხვა, თუ ნაწყვეტები თეატრალური წარმოდგენებიდან. გადაჭარბებაში არ ჩამითვალოთ, იმ საღამოს ვპირველობდი. დიდად გამომადგა ბებიაჩემის გაკვეთილები მუსიკაშიც, ცეკვაშიც და მხატვრულ კითხვაშიც. ჩემი პიროვნებით ელჩიც დაინტერესდა. მან მიმიხმო თავისთან და რამდენიმე თბილი სიტყვით გამამხნევა, შემაქო.

ბანკეტის დასასრულს, საელჩოს მდივნის მეუღლემ, რომელიც საზეიმო საღამოს ორგანიზატორი გახლდათ, ძალიან ლამაზმა, მომხიბვლელმა ქალბატონმა გალინა ტიმოფეევნამ მადლობა გადამიხადა ლონისძიებაში აქტიური

მონაწილეობისათვის და თავისთან მიმიწვია მეორე დღის პირველ ნახევარში. მე დიდი ყურადღება არ მიმიქცევია მიპატი-ჟებისათვის. დილიდანვე საქმეებს ჩავუჯექი. სამუშაო დღის დამთავრებამდე უფროსმა გამომიძახა. ვფიქრობდი, საქმეზე გვექნებოდა საუბარი. ჩემთა შეფრთხის, დამსახურებულმა ადმი-რალმა ინოკენტი ვასილევიჩმა შენიშვნა მომცა, მისაყვედურა, რატომ არ შევასრულე სიტყვა და სტუმრად რატომ არ ვეა-ხელი საელჩოს მდივნის მეუღლეს.

ჩემთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ არეულ-დარეულად დავიწყე თავის მართლება, რომ მომერიდა, საქმე იყო უამრავი... თუ რაღაც ამგვარი.

ინოკენტი ვასილევიჩმა გაიცინა:

– შენ არ იცი, რა ძალაუფლებას ფლობს საელჩოში გალინა ტიმოფეევნა. მისი სიტყვა კანონია საელჩოს ნებისმიერი რან-გის თანამშრომლისათვის; ელჩისთვისაც კი. თავის მართლე-ბას თავი დაანებე, მოწესრიგდი! ოც წუთში შენთან მოვლენ და წაგიყვანენ ყოვლის შემძლე ქალბატონთან.

რამდენიმე ხნის შემდეგ გალინა ტიმოფეევნასთან გა-მოვცხადდი. ჩემთვის გაუგებარი იყო, რა სურდა ჩემთან საელჩოს მდივნის მეუღლეს. წინა საღამოს გალინას უფრო-სი გოგონა კლარა, რომელიც იმ წელს ამთავრებდა კოლეჯს, გვერდიდან არ მშორდებოდა. კლარას სურდა სწავლა განე-გრძო ჰუმანიტარული განხრით, საზღვარგარეთის რომელიმე უნივერსიტეტში. გოგონა მოხიბლული იყო ჩემი ენების ცოდ-ნით. თვითონ ინგლისურად და მგონი გერმანულადაც ლაპა-რაკობდა და აშკარად ავლენდა ჩემს მიმართ სიმპათიებს.

– ალბათ ცუდად ვიქცეოდი, – ვფიქრობდი, – ალბათ მომხვდება საყვედური კლარას დედისაგან და ვემზადებოდი გალინა ტიმოფეევნას საყვედურების მოსასმენად.

გალინასთან სასტუმროში არავინ იყო. მან საძინებელ ოთახში მიმიწვია:

– სტუმრები ორმოც წუთში მოვლენ, მანამ მსურს დარიგება მოგცეთ! – თქვა ქალმა.

მე გავემზადე უსიამოვნო წუთებისათვის. „დარიგება“ კი აღმოჩნდა ის, რომ როგორც საწოლ ოთახში შევედით, გალინამ გულში ჩამიკრა, თავისი ხელით გამხადა, გამაშიშვლა და მიეცა თავდავიწყებას.

– ნუ გეშინია, ნახევარი საათი ჩვენ გვეკუთვნის. ახლა ჩემი ხარ, საყვარელო! – ბოდავდა ქალი...

– არავითარი დაბნეულობა... – მითხრა საელჩოს მდივნის მეუღლემ, როდესაც ვნება დაიცხრო. როგორც გავს, დაბნეული გამოვიყურებოდი. – ჩაიცვი, წყალი შეისხი პირზე! – მბრძანებლობდა იგი.

ტანსაცმელი ჩავიცვი, მოვწესრიგდი. გალინამ სუნამო მაპკურა და მითხრა:

– ჩემთან სტუმრად იქნებიან საელჩოს თანამშრომლების მეუღლეები შვილებთან ერთად. მე მსურს, მათ შენი თავი წარვუდგინო, როგორც ჩვენი წრის ახალი წევრის. ჩვენს წრეს ევალება საელჩოში საზეიმო საღამოების მოწყობის ორგანიზაცია. შემდეგ სიყვარულით ანთებული თვალებით შემომხედა და მითხრა, „შენ ჩემი ბედისწერა ხარ! შენ თავს არავის დავუთმობ! შენ სიყვარულს ჩემ ქალიშვილსაც კი არ გავუნაწილებ“.

ვფიქრობ, კლარას მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეყვანა ჩემმა გამოჩენამ განაპირობა – დედას უნდოდა ქალიშვილი თავიდან მოეცილებინა. ამ დღიდან დაიწყო ჩემი სამსახურებრივი უკან სვლა. გალინა ერთი წუთითაც არ მიშვებდა თვალთახედვიდან. ყველაზე და ყველაფერზე ეჭვიანობდა. მინყობდა ობსტრუქციას, თუ ქალს დაველაპარაკებოდი. ყველგან, სადაც კი ოდნავ შესაძლებელი იყო, ჩემკენ მოი-

წევდა... იგი, რამდენადაც ლამაზი, იმდენად აკხორცი ქალი იყო. მე მხლებლად გადამაქცია, ანუ როგორც საზღვარგარეთაა მიღებული – „ოჯახის მეგობრად“.

ვგრძნობდი, ეს არ შეიძლებოდა დიღხანს გაგრძელებულიყო. ჩვენი ურთიერთობის შესახებ უკვე ყველამ იცოდა. იცოდა მისმა ქმარმაც, მეტად პატივცემულმა პირმა, მაგრამ გალინას შიშით ხმას ვერ იღებდა. მე ხელი ჩავიქნიე. შევეგუე იმას, რომ კარგი არაფერი მელოდა. ეს მოლოდინი აუტანელი გახლდათ.

გალინამ დააჩქარა მოვლენების განვითარება. ელჩიან ვიყავით საახალწლოდ მიწვეულნი. იქ ელჩის ქალიშვილთან ვიცეკვე. გოგონა ამერიკის ერთ-ერთ პრესტიულ უნივერსიტეტს ამთავრებდა. იგი ერთი კვირით იყო ჩამოსული მშობლებთან. როგორც ჩანს, მისთვის ცნობილი იყო ჩემი და გალინას ურთიერთობა. გოგონამ ხუმრობით ჩამჩრჩულა:

– თქვენ მშიშარა არ ყოფილხართ, ჩემთან ცეკვა რომ გაბედეთ! მე გალინას რისხვისა მეშინია.

– ე.ი. თქვენ ფიქრობთ, რომ მე მონა ვარ! – ვუპასუხე ელჩის ქალიშვილს, – კეთილო გოგონავ, მონა რამდენადაც საზიზღარია, იმდენად საბრალოც!.. – იქვე ინგლისურად შექსპირის ერთ-ერთი სონეტი წამოვიწყე. ამ დროს გალინა მომვარდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და განრისხებულმა მიყვირა:

– შენ ძალიან გაერთე ამ ძუკნასთან საუბრით. აპა, ახლავე აიბარგე აქედან... სწრაფად!

მე იმ წამსვე გავეცალე იქაურობას. ეს უკვე სკანდალი იყო მაღალ დონეზე... იმ ღამეს სახლში არ მივსულვარ. თვალწინ მედგა ელჩის ქალიშვილის დამცავი მზერა და მესმოდა მის მიერ ნათქვამი „Poor boy!“ (საწყალი ბიჭი!).

...მეხუთე დღეს საელჩოში დამიბარეს და გამომიცხადეს, დაუყოვნებლივ უნდა წავსულიყავი მოსკოვში. ჩემი ბილეთი

უკვე გამზადებული იყო. მეორე დღეს, თერთმეტ საათზე მი-ფრინავდა ჩემი თვითმფრინავი.

სასწრაფოდ ჩავაბარე საქმეები. ინოკუნტი ვასილევიჩმა დანანებით გადააქნია თავი და ლვარძლიანად ჩაილაპარაკა:

– საზიზლრობა! ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთან შეიძლება მოხდეს.

მოსკოვში გავფრინდი. ვგრძნობდი, თვითმფრინავის ტრა-პამდე მითვალვალებდნენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროში ცივად მიმიღეს. გამომი-ცხადეს, რომ ჩემს შემდგომ ბედს სამხედრო-საზღვაო სამინი-სტრო გადაწყვეტდა, სადაც ჩემი პირადი საქმეები უკვე გა-დაეგზავნათ. ამრიგად, მაღალი ეშელონების კარები ჩემთვის გამოკეტილი ხდებოდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ჩემ მაშინ-დელ განცდებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მოღვაწეობა დიპლომატიურ არენაზე სრული კრახით დასრულდა, რაღაც სიხარულის მაგვარი გრძნობა დამეუფლა. მიხაროდა, რომ მოვშორდი, თავი დავაღწიე გალინას და თავისუფალ ადამი-ანად ვიქეცი. სრულიად არ მადარდებდა, როგორც შემხვდე-ბოდნენ სამხედრო-საზღვაო სამინისტროში. იქ გამომიცხადეს, რომ მეძლეოდა ერთი თვის შვებულება და განმწესებული ვი-ყავი ჩრდილოეთის ფლოტში. ეს გადასახლებას უდრიდა, მაგ-რამ ამ გადაწყვეტილებას შინაგანად კმაყოფილებით შევხვდი. იმ დღესვე ლენინგრადში გადაუფრინდი დიდედასთან. ელენა კალისტრატოვნას ცოდნია ჩემი თავგადასავალი. მას ინფორ-მაციის მოსაპოვებლად საკუთარი არხები გააჩნდა.

ბებიამ მითხრა:

– არლეკინ (იგი ხანდახან არლეკინს მეძახდა)! შენ ნიჭი-ერი ხარ, მაგრამ დაისაჯე იმიტომ, რომ ჩემი რჩევა-დარიგე-ბა დაივიწყე. გახსოვს, გითხარი: „სამსახურებრივი კარიერი-სათვის ქალები ყველაზე არასამედონი არიან. უნდა ერიდო

ძალაუფლების მქონე ქალთან ურთიერთობას! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაოჯახებული არა ხარ.“ არა უშავს... შენთვის სამი ან ოთხი წელი არც ისე დიდი უბედურებაა. სამაგიეროდ ჭკუას ისწავლი!

იმ წელიწადნახევრის შემდეგ, რაც მე არ მენახა, ელენა კალისტრატოვნა მოტეხილი მომეჩვენა.

ჩემდა გასაკვირად, ბებიამ თავისი საიდუმლო გამანდო. მანახა გადამალული საგვარეულო საგანძური – აუარებელი ოქროს მონეტა და უძვირფასესი სამკაულები, რომელთაც საიდუმლოდ ინახავდნენ ის და მისი კომუნისტებთან „საერთო ენის“ მომნახველი მეუღლე. ელენა კალისტრატოვნამ მითხრა: „ამ განძის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე შენ ხარ. განდი უზრუნველყოფს ეკონომიკურად და თავისუფლებასაც მოგანიჭებს; მაგრამ ფრთხილად იყავი, განძის შესახებ შენს გარდა, არავინ არაფერი უნდა იცოდეს. კომუნისტებს ასეთ საქმეებში ხუმრობა არ უყვართ. არლეკინ, ამის გარდა გიტოვებ ასორმოციათას მანეთს! იგი ჩემი მრავალწლიანი შრომით არის დაგროვილი. ამ თანხის ნახევარი ახლავე შეგიძლია მოიხმარო. ნახევარს, რომელიც ანაბარზე მაქვს, ჩემი გარდაცვალების შემდეგ მიიღებ, როცა ანდერძის თანახმად მემკვიდრეობას დაიმტკიცებ. უნდა ამისრულო აი, რა: ათიათასი მანეთი ალექსანდრე ნეველის ლავრას უნდა შესწირო ჩემი შვილის – შენი დედის, და ჩემი მეუღლის – შენი ბაბუის სულების მოსახსენიებლად. მეორე ათიათასი მანეთი უნდა გადასცელავრის სასულიერო პირებს, რათა ქართველი ბაგრატიონების სულები მოიხსენიონ, რომლებიც მანდ არიან დაკრძალულნი. ვწუხვარ, რომ მარტო რჩები. ოჯახი სიყვარულის გარეშე არ შექმნა. ეცადე შეირთო ის, ვისაც უყვარხარ!

მე გავეხუმრე:

– ელენა კალისტრატოვნა, თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდულად გამოიყურებით. თქვენ ჩემ შვილებს უცხო ენები

უნდა შეასწავლოთ ისე, როგორც მე მასწავლეთ! სიკვდილი მოიცდის...

ბებიამ შუბლზე მაკოცა:

– მე სიკვდილი არ მსურს, მაგრამ შენ ყველაფრისთვის უნდა იყო მზად!

ორი დღის შემდეგ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი – ჩემი ბებო ამ ქვეყნიდან წავიდა. იგი სავარძელში გარდაიცვალა მაშინ, როდესაც ჩა უნდა დაგველია... დავკრძალე ისე, როგორც დამიბარა, ქმრის გვერდით. ქელები სახლში გადავუხადე. იმ დღეებში ჩემ გვერდით ტრიალებდა ჩემი კარის მეზობელი გოგონა ოქსანა, რომელსაც პატარაობიდან ვიცნობდი. ვიცნობდი, როგორც ონავარას. ახლა იგი ცხრამეტი წლის მეტად მოხდენილი ქალიშვილი გახლდათ. ვგრძნობდი მის ყურადღებას ჩემდამი, რაც განსაკუთრებით ელენა კალისტრატოვნას გარდაცვალების დროს გამოიჩინა.

დაკრძალვის დღეს, ქელების შემდეგ, როდესაც მარტო დავრჩი, ოქსანამ მითხრა:

– არლეკინ, ბინის გასაღები მომეცი. მე გვიან მოვალ და ყველაფერს დაგილაგებ, შენ დალლილი ხარ, მოისვენე, არ გაგალვიძებ!

თავი დივანზე მივდე და ფიქრებში ჩავიძირე. როდის ჩამეძინა, არ გამიგია.

გამომაღვიძა ქალის თბილი ტუჩების შეხებამ. ოქსანა მკოცნიდა. გოგონა ჩავიხუტე. ოქსანა მთელი არსებით ჩემკენ მოილტვოდა... დილით ლოგინში ოქსანას ვკითხე, მისი მშობლები ჩვენი დაქორწინების წინააღმდეგები ხომ არ იქნებოდნენ. იგი მომეხვია და მითხრა:

– ჩვენ ერთმანეთს ვერაფერი დაგვაშორებს. მე შენ ხუთი წლიდან მიყვარხარ... გახსოვს, პატარა რომ ვიყავი და წავიქცი, ცხვირიდან სისხლი წამომივიდა. შენ ხელში ამიყვანე

და სახლში მიმიყვანე. აი, ამის შემდეგ ჩემთვის არავინ არსებობდა. შენა ხარ ჩემი პირველი და უკანასკნელი მამაკაცი!..

ერთ კვირაში ხელი მოვაწერეთ. იმ საღამოს, როდესაც ჩვენი ხელმოწერა შედგა, ოქსანას სახლში მშობლებმა სუფრა გააწყეს ჩვენი შეუღლების აღსანიშნავად. სუფრას უსხდნენ ოქსანას მშობლები, ორი ახლო მეზობელი, ოქსანას მეგობრები – ხუთი გოგონა და ერთი ვაჟი.

საღამო უღლაზათოდ ჩაივლიდა, რომ ოქსანას მამას, – ფედიას თავისი ბალალაიკით ხალისი არ შემოეტანა. ფედია დიდი ოსტატობით უკრავდა ბალალაიკაზე. მართალს ამბობდნენ, – ფედიას მამა ამ საქმის ნამდვილი ვირტუოზი იყოო.

მოწინავე მუშა რევოლუციონერი „ძია კოსტია“ 1920 წელს დაუწინაურებიათ – ჩეკაში გადაუყვანიათ სამუშაოდ. მასზე მისი ამხანაგები ხუმრობდნენ თურმე, დღისით ბალალაიკაზე უკრავს, ღამით კონტრას ანადგურებსო. ძია კოსტიამ ვერ გაუძლო მკაცრ სამსახურს – მას სისრულეში მოჰყავდა რევტრიბუნალის დადგენილებები და თითქმის ყოველ ღამე უხდებოდა ათეულობით რევოლუციის მტრის დახვრეტა. 1924 წელს მას თავში დაუხლია ტყვია.

ჩემ ბაბუას – ვალერი ანდრეიჩის დიდი დავიდარაბის გადატანა მოუხდა თურმე, რათა მეზობლის თვითმკვლელობა უბედურ შემთხვევად გაესაღებინა. ეს მე ბებიასაგან ვიცოდი. ნეკროლოგიც ბაბუას შეუდგენია, სადაც ეწერა: „მგზნებარებოლშევიკი, რომელიც თავზარს სცემდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს, მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენელი, რომლის გული რევოლუციისთვის ძგერდა, უბედურმა შემთხვევამ გამოაცალა ჩვენს რიგებს...“ ყოველ შემთხვევაში, ვალერი ანდრეევიჩს მოუხერხებია, ძია კოსტიას ოჯახი ბინიდან არ გამოესახლებინათ და პენსიაც დაენიშნა ქვრივისათვის.

ქორწილში კარგა ხანს წყნარად ვიჯექი. შემდეგ მივედი

როიალთან, რომელიც ოდესალაც ჩემი ბების მზითევს წარმოადგენდა (ძია კოსტიას რევოლუციამ არა მარტო ჩემი ბაბუის სახლის ნახევარი, არამედ ეს როიალიც გადასცა) და შევასრულე ბეთჰოვენის „პათეტიური სონატის“ მეორე ნაწილი, რაც განსაკუთრებით უყვარდა ელენა კალისტრატოვნას. დიდედას არაერთხელ უთქვამს ჩემთვის:

— გუგუნს, რაც ბეთჰოვენის სონატებში ჟღერს, ყველა როდი გაიგებს. ამისთვის მუსიკალური განათლებაა საჭირო.

იმ საღამოს ყველაზე კარგად ჩავწერდი ჩემი ბებოს სიტყვების აზრს — მე მესმოდა ბეთჰოვენის ღვთიური ჰანგების გუგუნი. ვეჭვობ, ეს ხმები იქ კიდევ ვინმესთვის თუ იყო მისაწვდომი. შემდეგ შტრაუსის ვალსები დაუკარი. იცეკვა ყველამ, მიუხედავად კავალრების ნაკლებობისა... ასე იყო თუ ისე, ქორწილი გახალისდა. სტუმრები გვიან, კმაყოფილნი დაიშალნენ.

ოქსანა ჩემთან გადმოსახლდა. დრომ მალე გაირბინა. შევუდექი სამსახურს. გამამწესეს ჩრდილოეთის ფლოტის ერთერთ წყალქვეშა გემზე. არ არის საჭირო მოგითხოვთ, რა საქმიანობას ასრულებდა ჩვენი ხომალდი. სამუშაო მძიმე იყო. ასე გავატარე ოთხი წელი. ვიცოდი, იმ ტექნიკური აღჭურვილობით, რაც ჩვენს წყალქვეშა ხომალდს გააჩნდა, ავარია ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მცირე ავარიებს, ასე თუ ისე, წარმატებით ვართმევდით თავს, მაგრამ გასულ წელს ჩვენმა გემმა სერიოზული დაზიანება მიიღო. ეკიპაჟთან ერთად, თითქმის ორმოცდარვა საათი ვიბრძოდით გემის გადასარჩენად. ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების ხელმძღვანელობა მე დამევალა. სამუშაოს თავი გავართვი. გემმა მიაღწია უახლოეს ნავსადგურს, მაგრამ მე ორივე ფეხის მოყინულობა მივიღე. მოსკოვში გადამაფრინეს. მარცხენა ფეხი კოჭთან მომჭრეს, მეორე ფეხი ჯერ-ჯერობით გადამირჩა, თუმცა ხანგრძლივ მკურნალობას საჭიროებს. ამ უბედურებას

დაერთო ის, რომ ჩემმა ცოლმა გამომიცხადა, – არ მსურს ინვალიდთან ცხოვრებაო და განქორწინება შემომთავაზა. იგი სასტიკად მომექცა. მითხრა, რომ მას რამდენიმე ხანია საყვარელი ჰყავს, რომელსაც სამუდამოდ უნდა დაუკავშიროს თავისი ბედი.

ოქსანას გავახსენე მისი ფიცი, რომ მისთვის პირველი და უკანასკნელი მამაკაცი ვიყავი და განქორწინებაზე დავთანხმდი. ვფიქრობ, ოქსანასნაირს ყველგან ვიშოვი.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ, აგერ ორი თვე იქნება, დავდივარ სამინისტროში, რათა ჩემი შემდგომი ბედი გავარკვიო. საპენსიო ასაკი შესრულებული არ მაქვს, სულ ცოტა, ოცდათხუთმეტი წელია საჭირო. მაიმედებენ, რომ ჩემს ყოფილ აკადემიაში მომიძებნიან ადგილს. მე ხომ ხარისხი მაქვს დაცული... ვნახოთ, რა იქნება...

მოსკოვში სასტუმრო „უკრაინაში“ ვიყავი დაბინავებული. დღეს, უფრო სწორად გუშინ, საღამოს ხუთ საათზე ავკრიფე ჩემი ბინის ტელეფონის ნომერი ლენინგრადში, რატომ?.. არ ვიცი!.. ჩემ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ყურ-მილი ოქსანამ აილო. ჩემ შეკითხვაზე, თუ რატომ იყო იგი ჩემ ბინაში, ატირდა და პატიების თხოვნა დამიწყო. განქორწინებაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. ოქსანას ვუთხარი:

– ჩემო მეუღლევ, თუ მეუღლედყოფილო, ეს საკითხი ტელეფონით არ გადაწყდება. ხვალ დილით მანდ ვიქნები. მოვილაპარაკოთ ჩვენი და ჩვენი შვილის მომავალი ურთიერთობების შესახებ.

ჩემ გოგონას უკვე ორი წელი შეუსრულდა.

– აი, მივემგზავრები ლენინგრადში, – ამოიოხრა არკადიმ (ჩვენ უკვე მესამე ბოთლი კონიაკი გავხსენით), – რა გადაწყვეტილება მივიღო, არ ვიცი. ეპატიება ოქსანას მისი საქციელი? მითხარით, სიამოვნებით მივიღებდი თქვენს რჩევას!

– რა უნდა გითხრათ, – ჩავილაპარაკე, – ქრისტე გვმოძლვრავს: „და მომიტევენ ჩუენ თანანადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა!“ მაინც ვფიქრობ, მეუღლესთან შეხვედრის შემდეგ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება. ანგარიშგასაწევია თქვენი პატარა გოგონას მომავალიც. როცა გულწრფელად ინანიებენ, ალბათ მიეტევებათ.

– ოჭ, რა ძნელია მარტოობა, – თქვა ჩემმა თანამგზავრმა, – მე ამ ქვეყნად სრულიად ეული, მარტოსული გახლავართ! არავის ვენაღვლები... როგორ მაკლია ჩემი ბებო. ამჯერად, პირველ რიგში ბებიას ანდერძი უნდა ავასრულო, ეკლესიას ფულს შევწირავ. მომიტევეთ, ძვირფასო, გადაგლალეთ ჩემი თავგადასავლით, მაგრამ თქვენთან საუბარმა შეება მომგვარა.

– ხვალ, უფრო სწორად, დღეს თქვენ დაძაბული შეხვედრა გელით მეუღლესთან. ლენინგრადამდე კიდევ ხუთი საათია დარჩენილი. უმჯობესია დაიძინოთ და ძალა მოკრიფოთ! – ამ სიტყვებით წამოვწექი საწოლზე. არ გამიგია როდის ჩამეძინა.

მატარებლის გაჩერებით გამოწვეულმა სიჩუმემ გამაღვიძა. საათი რვას უჩვენებდა. ჩემი თანამგზავრი გამზადებული იყო წასასვლელად. გაღვიძებული რომ მნახა, გამიღიმა.

– კარგი ადამიანი ყოფილხართ... გმადლობთ ყველაფრისათვის, მშვიდობით! – ამ სიტყვებით გააღო კუპის კარი. კართან შედგა, ჩემკენ შემობრუნდა და მითხრა:

– დარჩენილი კონიაკი მე შევსვი... იმედია, არ გამიჯავრდებით!

– ღმერთმა შეგარგოთ!

წამოვდექი. სასწრაფოდ მოვიყვანე თავი წესრიგში. ხელჩანთას ხელი დავავლე, ვაგონიდან გადმოვედი და ტაქსების გაჩერებისაკენ გავეშურე ჩქარი ნაბიჯებით.

ცაზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ლენინგრადში იანვრის თვეში გვიან თენდება.

## გალალაიკა

ლენინგრადის (მაშინ პეტერბურგს ლენინგრადი ერქვა) გარეუბან სააგარაკო დასახლება კ...ში ზაფხულის წყნარი გვიანი საღამო იდგა. თუმცა სიტყვა „საღამო“ თეთრი ღამეებისას პირობითად თუ აღიქმება.

ჩემი მასპინძელი – ლენინგრადის ერთ-ერთი დიდი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ივან გრიგორევიჩი, დასასვენებელი კოტეჯის აივნის მოაჯირზე შემომჯდარი, გაზეთს ათვალიერებდა. მე იქვე, ეზოში საქანელაზე მიწოლილი, ზოშჩენკოს მოთხოვნების კრებულს ვფურცლავდი. ივან გრიგორევიჩის მეუღლე, მომხიბლავი ქალბატონი ნადეჟდა ალექსეევნა სუფრას შლიდა აივანზე სავახშმოდ და ჩვენს მიმართ საყვედურს გამოთქვამდა. მე და ივან გრიგორევიჩი რეპინის სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ საუბარს შევყევით, დრო შეუმჩნევლად გამოგვეპარა, შინ მისვლა დავაგვიანეთ და ქალბატონ ნადეჟდას სამართლიანი გულისწყრომა დავიშახურეთ.

უცებ ბალალაიკის ჰანგებმა დაარღვია გარემოს სიმყუდროვე... სულ ახლოს, მეზობლად ვიღაც დიდი ოსტატობით უკრავდა ბალალაიკაზე. რუსული ხალხური, მარტივი მელოდია სასიამოვნოდ ეფინებოდა წყნარ საღამოს.

– დმიტრი პეტროვიჩია, ჩვენი კოტეჯების დარაჯი. – ამიხსნა ნადეჟდა ალექსეევნამ.

– მართლაც საუცხოოდ უკრავს ეს თქვენი დმიტრი. – წარმოვთქვი აღტაცებით.

– გინდა დავუძახო, გაგაცნო ჩვენი საუცხოო მუსიკოსი? – შემეკითხა ივან გრიგორევიჩი.

– მე ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ რუსულ ბალალაიკას ასეთი მუსიკალური შესაძლებლობები ჰქონდა.

– ვითომ რატომ? – შემაწყვეტინა მასპინძელმა, – გაიცანი ბალალაიკის დამკვრელი და შემდეგ ვილაპარაკოთ მის შესაძლებლობებზე. საინტერესო „მუჟიკია“! იცი? ხელში არ აიღებს თავის საყვარელ ინსტრუმენტს, თუ ხელები არ დაიბანა და სუფთა ხიფთანი არ ჩაიცვა. – თქვა ღიმილით გენერალურმა დირექტორმა და ხმამაღლა დაიძახა, – დმიტრი, ჰეი, დმიტრი პეტროვიჩ!

ბალალაიკის ხმები შეწყდა. იქვე, სულ ახლოდან მამაკაცის ხმა მოისმა:

– რას გვიბრძანებ, თქვენო კეთილშობილებავ?  
– მოდით ჩვენთან, თქვენო აღმატებულებავ, ინსტრუმენტი არ დაგავიწყდეთ! აბა, ჩქარა, ვახშამი გელოდებათ! – იგრძნობოდა, რომ გენერალური დირექტორი შეხუმრებული იყო დარაჯვთან.

ის-ის იყო სუფრას მივუსხედით, რომ ეზოში შემოაბიჯა ჭალარა, წარმოსადეგმა, სუფთა თეთრ პერანგში გამოწყობილმა სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცმა. სტუმარი კეთილად ილიმებოდა და მიპატიუების გარეშე დაიკავა სუფრასთან ადგილი.

– დმიტრი პეტროვიჩ, გაიცანი ჩვენი სტუმარი საქართველოდან. მას ძალიან მოეწონა ბალალაიკის ხმები. – წარმოსთქვა დიასახლისმა.

დმიტრი პეტროვიჩს თვალები გაუბრწყინდა, გამიღიმა და თავაზიანად დამიკრა თავი.

ბალალაიკაზე დამკვრელი მეტად საინტერესო მოსაუბრეალმოჩნდა. მას ორიგინალური მოსაზრებები გააჩნდა ამა თუ იმ საკითხზე, ამავე დროს აშკარად თანაუგრძნობდა „სხვაგვარად მოაზროვნებს“, რაც იმ პერიოდში სახიფათო გახლდათ, – ხელისუფლებამ მაშინ მთელი ფრონტით შეუტია „დისიდენტურ მოძრაობას“. დისიდენტების ნაწილი ქვეყნიდან გააძე-

ვა, უფრო მეტს კი ციხეებში, კოლონიებსა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ამოაყოფინა თავი.

საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე სტუმარი გამოგვეთხოვა, მშვიდობიანი ძილი გვისურვა, მასპინძლებს მაღლობა მოახსენა ვახშმისათვის და სუფრა დატოვა.

– Ну как?! – შემეკითხა ივან გრიგორევიჩი.

...იმ ხანებში ლენინგრადში ხშირად მიხდებოდა მივლინებაში ყოფნა. ქუთაისში ქარხანა შენდებოდა და პროექტირებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მოპოვება არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ნარმომედგინა. სიძნელეებს თავს ვეღარ გავართმევდი, გენერალურ დირექტორს თავის თავზე რომ არ აეღო საკვანძო საკითხების მოგვარება. სწორედ ამ დროს დავუახლოვდი ივან გრიგორევიჩს, რაც თანდათან პირად მეგობრულ ურთიერთობაში გადაიზარდა და მალე ოჯახის სასურველი სტუმარი შევიქენი.

გენერალური დირექტორი რამდენჯერმე ბრძანდებოდა საქართველოში. სხვათა შორის, იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრებითაც დაინტერესდა. მე საპატიო სტუმარს მეგზურობას ვუწევდი და ქართული არქიტექტურული ძეგლების ირგვლივ ბევრს ველაპარაკებოდი, რისთვისაც ივან გრიგორევიჩმა სახუმარო ექსპრომტიც მომიძღვნა:

„Устал измученный Заури,

Читать лекции Грузинской архитектуры.

Еще одна такая ночь,

И он не выдержит точь в точь.“

ერთ-ერთი მორიგი მივლინებისას ივან გრიგორევიჩს შევეხმიანე ტელეფონით და ვთხოვე:

– დღეს ჩემი დაბადების თარიღის აღსანიშნავად, ქუთაისიდან პურ-მარილი გამომიგზავნეს და თუ დრო გექნებათ, მეუღლესთან ერთად მობრძანდით ჩემთან სასტუმროში!

მოულოდნელად გენერალურმა დირექტორმა სახლში მი-  
მიპატიუა:

– ამ საღამოს ლრმად პატივსაცემი, მაღალი ჩინოსანი  
სტუმრები მყავს მოწვეული ბინაზე. სულზე მომისწარი, ვფიქ-  
რობ, შენი ქუთაისური სამზარეულო ჩემ სტუმრებს მოეწონე-  
ბათ და წარმატება გარანტირებული გვექნება. – იხუმრა მან.

ხუმრობას ხუმრობითვე ვუპასუხე:

– თქვენი სტუმრები ჩემ „ხვანჭკარას“ ბურახად დალევენ,  
რაც სამწუხაროა, მაგრამ არა უშავს, ჩვენ ხომ ვიცით „ხვან-  
ჭკარის“ ფასი.

ივან გრიგორევიჩის ბინაზე დროულად გამოვცხადდი ჩემი  
ხორაგით. სტუმრებიც მალე შეიკრიბნენ. სუფრას მივუსხედით.  
ჩემ გვერდით აღმოჩნდა ლენინგრადის ერთ-ერთი სამეცნიერო  
ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ვლადისლავ ერმოლაე-  
ვიჩი. დიასახლისმა გამაფრთხილა:

– თქვენი მეზობელი პიროვნების კულტის დიდი მოწი-  
ნააღმდეგა... ჩხუბი არ მოგივიდეთ!

მე გამეცინა. სტალინის თაყვანისმცემელი არ გახლდით,  
მაგრამ როდესაც პიროვნების კულტის კრიტიკას ქართვე-  
ლი ერის გასაქილიკებლად იყენებდნენ, თავს ვალდებულად  
ვთვლიდი, პასუხი გამეცა. ამჯერად, მტკიცედ გადავწყვიტე  
ჩემი მეზობლის პროვოკაციას არ ავყოლოდი... მაგრამ „კაცი  
ბჭობდა და ლმერთი იცინოდაო“, – ამბობენ ჩვენში.

სუფრა რუსული ტრადიციების მიხედვით წარიმართა.  
ვსვამდით ლვინოსაც, არაყსაც, შამპანურსაც და კონიაკ-  
საც. ერთ-ერთმა სტუმარმა ვისკის ბოთლიც კი ამოაცურა  
ჯიბიდან. რაც შეეხება ჩემ „ხვანჭკარას“, დიასახლისმა საპა-  
ტიო სტუმრების მოსვლამდე მტკიცედ განაცხადა, ამ ლვინოს  
არავის დავალევინებ, ჩემთვის მინდაო... „ხვანჭკარისა“ მათ  
რა გაეგებათო!..

რა გაეწყობოდა, ნადეუდა ალექსეევნასთან შეკამათებას აზრი არ ჰქონდა. იგი ოჯახში ნამდვილი „დიქტატორი“ გახლდათ.

მალე ჩემი მეზობელი პროფესორი მხიარულ გუნებაზე დადგა და შეუდგა საყვარელ საქმიანობას – სტალინის პიროვნების კრიტიკას. ვლადისლავ ერმოლაევიჩი, როგორც მაშინდელი პრესა, ლანძლავდა და მიწასთან ასწორებდა სტალინს. ამტკიცებდა, რომ სტალინი, როგორც სტრატეგი, სამხედრო თუ სახელმწიფო პოლიტიკური მოღვაწე, როგორც სახელმწიფოს მეთაური თუ საერთაშორისო პოლიტიკაში ჩახედული, რუსი ბალალაიკის დამკვრელი „მუჟიკის“ დონეზე იდგა. თანაც ღვარძლიან დასკვნებს აკეთებდა:

– აი, ასეთი გახლდათ, ჩემო ძვირფასო, ქართველი ხალხის სათაყვანო შვილი.

ბოლოს ბატონმა პროფესორმა, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, პირდაპირ გამომიწვია ასპარეზზე:

– აბა, რას იტყვი „დიდი“ ქართველის დასაცავად, ჩემო ახლად შეძენილო ქართველო მეგობარო?!

სუფრა ღიმილით უსმენდა პროფესორს. ხოლო ამ გამოწვევის შემდეგ ვიგრძენი, ყურადღების ცენტრში მოვექეცი. დუმილი აღარ შეიძლებოდა...

– ვლადისლავ ერმოლაევიჩ, ნუთუ სულ ეს არის, რაც თქვენ სტალინის, ანუ ჯუღაშვილის შესახებ იცით? – ვიკითხე მიამიტად.

– როგორ, თქვენ სხვა, დამატებითი ცნობები მოგეპოვებათ „დიდი ბელადის“ შესახებ? – თქვა მან დამცინავად.

– მე ვფიქრობ, ბატონო პროფესორო, თქვენ გამოგრჩათ გეთქვათ, რომ სტალინის მამა მეჩექმე, ხოლო დედა მრეცხავი იყო. ამით მე სტალინის მშობლების საქმიანობას კი არ ვამცირებ, არამედ ვაფიქსირებ, რომ ჯუღაშვილ-სტალინს

სახელმწიფო მაღალი თანამდებობანი თუ ზედნოდება მემკვიდრეობით არ მიუღია. თქვენ ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს ასეა.

— შეიძლება ასეც იყოს... ამით რისი თქმა გსურთ? — იკითხა პროფესორმა.

— შეიძლება კი არა, ეს ასეა. ამით კი იმის თქმა მსურს, ისეთი გაუნათლებელი პიროვნება, როგორც თქვენ და დღევანდელი პრესა წარმოგვიდგენთ სტალინს, მხოლოდ გაუნათლებელ ხალხს შეეძლო გაელმერთებინა. უკულტურო, უვიცი სტალინის აღზევება განათლებული, კულტურული საზოგადოების პირობებში წარმოუდგენელია. საფიქრებელია, რომ რუსი ხალხის გონებრივი პოტენციალი შეესაბამებოდა კიდეც სტალინის პიროვნებას. ამ პოტენციალს ხომ „დიდი ბელადი“ დიდად აფასებდა. სწორედ რუსეთმა და არა სხვამ შექმნა სტალინის პიროვნების კულტი. გასაკვირი სრულიად არ არის, როდესაც რუსეთი ქმნის კერპებს. კერპების გარეშე „დიდ რუს ხალხს“ არსებობა არ შეუძლია. აი, მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას სტალინის აღზევება. თქვენ, ბატონო ჩემო, როგორც თანამედროვე პრესას, გამოგრჩათ სტალინის დიდმპყრობელური შოვინიზმის აღიარება. ამის შესახებ იცოდა ლენინმაც და ბერდიავმაც. დღეს სტალინის რუსულ შოვინიზმზე არავინ არაფერს წერს. მე კი ვფიქრობ, ქართველი დიქტატორი იმდენად ასატანი იყო თქვენთვის, რამდენადაც იგი რუსული შოვინისტური იდეების პრაქტიკული გამტარებელი გახლდათ. არც ერთ დიდმპყრობელ რუსს არ შეეძლო ისე უხეშად და თანმიმდევრულად ეკეთებინა რუსული საქმე, როგორც ამას არარუსი სტალინი აკეთებდა. ვლადისლავ ერმოლაევიჩ, სტალინი რომ წარმოშობით ქართველი გახლდათ, ეს ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმიანობით „დიდი ქართველი“ ორგანულად არის ჩანარილი შოვინისტური იდეებით შეზავებულ

რუსულ პოლიტიკაში. ამ მხრივ ქართველი სტალინი, ვფიქრობ, ძალიან წააგავს კორსიკელ ბონაპარტს, იმ განსხვავებით, რომ ფრანგმა ხალხმა არ იკადრა ის, რასაც დღევანდელი რუსეთი კადრულობს. თუმცა არც შეიძლება რუსისგან მოვითხოვოთ ის, რაც ფრანგს მოეთხოვება. ფაქტია, „დიდი ბელადის“ მიერ დაკრული ბალალაიკაც, დმიტრი პეტროვიჩისაგან განსხვავებით, დიდმპყრობელურ ჰანგებს გამოსცემს, რასაც აქ, რუსეთის გარკვეულ წრეებში, დღესაც დიდი სიამოვნებით უსმენენ.

მე გავჩიმდი და ვიგრძენი, ჩემმა ბოლო წინადადებამ სუფრა გაამხიარულა. აღმოჩნდა, რომ კოტეჯების დარაჯს – დმიტრის, სუფრასთან მსხდომნი კარგად იცნობდნენ და თავისებურად ჰატივსაც სცემდნენ. დაძაბულობა განიმუხტა, რითაც ისარგებლა ივან გრიგორევიჩმა და განაცხადა:

– სჯობია აღნიშნულ საკითხზე კამათი შევწყვიტოთ, რადგან რამდენიც უნდა ვეცადოთ, ეს კამათი, საბოლოოდ, მაინც დმიტრი პეტროვიჩის ბალალაიკასთან მიგვიყვანს.

– ბატონებო! – წარმოსთქვა ერმოლაევიჩმა (ამჯერად, მის ხმაში კომპრომისული მოტივი გაუღერდა), – ჩემმა ქართველმა მეგობარმა მაიძულა ობიექტურობა დავიცვა სტალინთან მიმართებაში. მართლაც, თუ წაიკითხავ უკოვის, შტემენკოს, კონევის, იაკოვლევის, ვასილევსკის, გოლოვანოვის, თუ სხვა სტალინთან დაახლოებული პირების მოგონებებს, შეიძლება მასზე სხვაგვარი წარმოდგენა შეგექმნას. დავუშვათ, სტალინი მართლაც დიდი იყო და ამ სიდიდეს ახლოდან სწორად ვერ აღვიქვამდეთ: „Большое видится на расстояние“

– ამბობს ესენინი. მთავარი ეს არ არის იმაში, რაც ჰატივცემულმა ოპონენტმა განაცხადა. მთავარია ჩემი ახალგაზრდა მეგობრის მოსაზრებები რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ. ჩვენ, რუსებს ყოველთვის მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ჩვენთან შემოერთებულ ერებს ბედნიერება მოვუტანეთ.

მათ ჩვენ მოქალაქეობა მივეცით. ეს ხალხები, ქართველები პირველ რიგში, ჩვენგან თავის დაღწევას ცდილობენ. ჩვენი სიკეთე მათთან არ გადის, რაც იძულებულს გაგვხდის მათ მიმართ შევცვალოთ პოლიტიკა.

— ესე იგი, საჭიროა „ტუზემცებს“ უფრო მკაცრად მოექცეთ! – ჩავურთე ფრაზა.

— ტუზემცებს?!.. კარგი, მაგრე იყოს, მაგრამ მოკავშირე რესპუბლიკებს განა საერთო სახლს არ ვთავაზობთ?.. და ეს ცოტაა?

— საერთო სახლი იმ შემთხვევაში იქნებოდა მისალები, თუ ამ სახლში საკუთარი ბინები გვექნებოდა. თქვენ, რუსებს კი გსურთ, ჩვენ ყველანი „უხას“ მივირთმევდეთ და „ჩიკა-ჩიკას“ ვცეკვავდეთ... ქართველებს რაც სურდათ, როდესაც რუსეთზე აიღეს პოლიტიკური ორიენტაცია, „გეორგიევსკის ტრაქტატით“ იქნა გაცხადებული. იმპერიული რუსეთის მიზნები კი იმპერატორმა პავლემ, მისმა მამისმკვლელმა შვილმა ალექსანდრემ და გარუსებულმა ქართველებმა განახორციელეს. მე კარგად მესმის, თქვენთვის მისალებია გარუსებული ქართველი და მიუღებელია ქართველი, მაგრამ ეს ამ სუფრასთან გასარკვევი საკითხი არ გახლავთ. ამჯერად, აქ უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ თემაზე კამათს შევწყვეტდით.

ჩემთვის მოულოდნელი გახლდათ ის თბილი დამოკიდებულება, რაც ამ ინციდენტის შემდეგ დამყარდა ჩემსა და სუფრასთან მყოფ სტუმრებს შორის. ვლადისლავ ერმოლაევიჩმა ქათინაურებით შემამკო და სტალინის შესახებ მეტად საინტერესო, ორიგინალური მოსაზრებები გამოთქვა. მოგვიანებით, როცა სუფრა აიშალა, ბატონმა პროფესორმა მითხრა:

— ჩაინერეთ ჩემი ტელეფონის ნომერი. მე მსურს გაგაცნოთ მასალები, რაზეც ახალგაზრდობის წლებში ვმუშაობდი. მათი გამოქვეყნება, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. იგი შეეხება

საქართველოს სამეცნიეროს გაუქმებას და აგრეთვე, ამ საუკუნის ოციან წლებში საქართველოს რესპუბლიკის ანექსიას. თქვენ დაინახავთ, თუ რა მძიმე, გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვება ხოლმე საკუთარი ქვეყნის შვილების ღალატს. მე ვგულისხმობ რუსეთში მყოფ ქართველებს. „გეორგიევსკის ტრაქტატის“ იგნორირება კი პოლიტიკური შეცდომაა, რაც რუსეთს ოდესმე ძალიან ძვირად დაუჯდება. – პროფესორმა ხელი ჩამომართვა და დამემშვიდობა.

მას შემდეგ ვლადისლავ ერმოლაევიჩს აღარ შევხვედრივარ. არც მისი ტელეფონის ნომერი გამომიყენებია.

## თავგადასავლეპიანი ექსპურსია

დიდი დავიდარაბის შემდეგ, პროფეკავშირებმა ბოლოს და ბოლოს გაიღო სამგზავრო თანხა. პურ-მარილის საკითხი ჩვენ თვითონ მოვაგვარეთ და, როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ, „საქმე დაიძრა ადგილიდან“, – სოჭში ექსკურსიას მოება თავი.

დილის რვა საათის ნაცვლად, თითქმის თერთმეტი საათი იქნებოდა, ავტობუსმა სოჭისკენ რომ აიღო გეზი. გზაზე, ორი-ოდე საათი სოხუმთან ახლოს, ველზე სუფრის გაშლას და დანაყრებას მოვუნდით, რაც ინციდენტის გარეშე არ დამთავრებულა, – ყოველი მხრიდან შემოგვესივნენ გრძელდინგიანი ღორები და სუფრა გადაგვიჯეგეს.

ღორების შემოტევა მოვიგერიეთ. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო ყველამ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მძღოლმა, მაგრამ ჩვენი დანაკარგიც დასანანი გახლდათ: – შემწვარი გოჭის თითქმის ნახევარი, ორი მრგვალად მოხარშული დედალი, რამდენიმე ხაჭაპური, მჭადები, ორიოდე სულუგუნი – ყველაფერი ეს ღორებმა დაითრიეს, მაგრამ გრძელვადიანი ყაჩაღები, რაც მართალი მართალია, ღვინოს არ გაკარებიან. 40 ლიტრი ღვინო და ხორაგის დიდი ნაწილი შევინარჩუნეთ.

შებინდებული გახლდათ, სოჭში რომ ჩავალწიეთ. ერთი უსიამოვნება აქაც გველოდა, – სოჭელებმა ღამის გათევაზე, უკაცრავად პასუხია, ზრდილობიანი უარი გამოგვიცხადეს. მაინც მოვახერხეთ ქალებისათვის (8 თანამშრომელი გოგონა გვახლდა) ღამის გასათევი გვეშოვა. გოგონები დავაბინავეთ და ჩვენ – თოთხმეტმა მამაკაცმა მძღოლთან ერთად იქვე, სანაპიროსთან დავიდეთ ბინა. მთელი ღამის განმავლობაში არ დაგვიძინია. ვიგონებდით ღორებთან ბრძოლის პერიპეტიებს,

თან ლვინოს ვყლუპავდით... გავიტანჯეთ, მაგრამ ექსკურ-  
სიაზე ყველაფრისთვის უნდა იყო მზად.

ზაფხულში ადრე თენდება. 7 საათზე მზე კაიხელაზეა  
ამოსული.

ავტობუსიდან გადმოვედი. სანაპიროზე განლაგებულ  
ერთ-ერთ ძელსკამზე ჩამოვჯექი. წყნარი ზღვა ჩემ წინ ლივ-  
ლივებდა. სასიამოვნო გრილი ნიავი უბერავდა. პლაჟზე ჩვენი  
ექსკურსანტები – გოგონები და ბიჭები გამოფენილიყვნენ,  
ზღვაში ბანაობაც მოესწროთ და ახლა ბურთს დასდევდნენ  
სიცილ-კისკისით. სიამოვნებით შევცექროდი ლამაზ სანახა-  
ობას. „ნეტავ რამდენი ფიქრობს ამაზე –

ისევ თუ მოვალ ამ ქვეყანაზე,

რომ კვლავ ვიხილო ლურჯი ზღვა, ზეცა,

ენით უთქმელი ეს სილამაზე“, – გამახსენდა ჩემი მეგობ-  
რის ლექსის სტროფი და ვიგრძენი ძილ-ბურანში ვიძირებოდი.

სუნამოს მკვეთრმა სურნელებამ მაგრძნობინა: – ვიღაც  
მანდილოსანმა ჩემ გვერდით დაიკავა ადგილი.

– რაღა მე ამომირჩია... სკამების მეტი რა არის... ერთი  
წაძინება მთლად მირჩევნია ყველაფერს... სად მაქვს ახლა  
ქალთან ლაყბობის თავი? – ამერია თავში აზრები.

გადავწყვიტე, უცნობი ქალისთვის ყურადღება არ მიმექ-  
ცია... თვალი მაინც გამექცა მეზობლისაკენ... ჩემ გვერდით  
იჯდა ძალიან მომხიბვლელი ახალგაზრდა ქალი, რომელმაც  
არად ჩააგდო, რომ მას თითქოს არ ამჩნევდნენ და გამომწვე-  
ვად წარმოთქვა, – მდაა...

აშკარად საუბარში მიწვევს, – გავიფიქრე – ვერ მი-  
ართვეს!.. – თავი მოვიმძინარე. არც ამისთვის მიუქცევია  
ყურადღება ჩემ მეზობელს და ჩაიღულუნა – „Вишь, грузины  
шумят“ (დახე, ქართველები ხმაურობენ).

– ნაღდია, რუსი ვგონივარ, – გავიფიქრე. აქ ჩვენს მეტი არავინ იყო, ქალი აშკარად მიწვევდა სასაუბროდ. მას ძალიან ნაზი და ტკბილი ხმა ჰქონდა:

– ჩემთან, საბავშვო ბალში ორასამდე პატარა ამდენს არ ხმაურობს, რამდენსაც ეს ველურები ყიყინებენ! იქვე მიაყოლა – ძალიან ჩამორჩენილი, უკულტურო, არაცივილიზებული ხალხია ქართველობა... მე მათ ვერ ვიტან; რუსებს არ გვიყვარს ისინი! ეშმაკსაც წაულია მათი თავი (Пошли они к чёрту)!

ლამაზი გოგონას ეს გამოხტომები არ შეიძლებოდა უპასუხოდ დამეტოვებინა. გავართვი ძილს თავი და სიტყვა შევუბრუნე:

– ქალბატონო! თითოეული ხალხი სიტყვა „ცივილიზაციას“ სხვადასხვაგვარად აცნობიერებს, – ვიგრძენი, მეზობელი გულისყურით მისმენდა, – მაგალითად, რასაც ქართველები ცივილიზაციად მივიჩნევთ, თქვენთვის ის ველურობაა, უკულტურობაა! თქვენის მხრივ, მშვენიერო არსებავ, თქვენ უდაოდ მართალი ბრძანდებით! – არ შემიძლია არ დაგეთანხმოთ! ნაზი არსება სიამოვნებით გაიბადრა, – მაგრამ ის, რაც თქვენ, რუსებს ცივილიზაციად წარმოგიდგენიათ, მე მას ბოზობას ვეძახი! ეს ასეა! თქვენ დამეთანხმებით თუ არა, ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

ჩემი მეზობლის სახის მეტამორფოზმა გამაოგნა. არასდროს დამავიწყდება მისი გაფითრებული სახის მრისხანე გამომეტყველება და გაცეცხლებული თვალების ელვარება. „Ах ты шовинист, ах ты шовинист! Все грузины шовинисты... Все грузины негодяи!“ – გააბა კივილი... მე გამეცინა... ამის დანახვაზე ქალი მთლად გადაირია. ჩამესმოდა რაღაც „Ой“-ს მაგვარი... სიტყვებს ვეღარ ვარჩევდი.

– აი, ხათაბალა თუ გინდა!.. – გავიფიქრე, – თუმცა იკივ-

ლოს, რა ჩემი საქმეა... ასეთი უქნია, თავში ქვა უხლია. მე თვითონ მიკვირდა, თუ რა გულგრილად შევცქეროდი უცნობი ქალის ისტერიკას.

ჩვენმა გოგონებმა პირველებმა მოირბინეს ჩემთან.

– რა მოხდა? რა უთხარი ასეთი საშინელი, შე წყეულო, რომ ეს ანგელოზივით ქალი გადაგირევია? – მეკითხებოდნენ შეშფოთებულები.

– არაფერია, – ჩავილაპარაკე რუსულად, – ქალბატონმა მიიღო ის, რაც დაიმსახურა.

ჩემი სიტყვები თითქოს არც გაუგონია. გაანჩხლებული ქალი წამოხტა სკამიდან, თავი ამაყად ასწია და ჩქარი ნაბიჯით გაგვეცალა.

– ვაი შენს პატრონს!.. ასეთ ქალს კაცი დააფრთხობდა?.. თქვა ვიღაცამ ჩემი მისამართით.

თვალი გავაყოლე ჯეირანივით ლამაზ გოგონას...

– ეჰ! ყოველთვის როდია ლამაზ სხეულში ლამაზი სული...

## საჭადრაკო დეპატეპი

სანატორიუმის ექიმმა, სასიამოვნო გარეგნობის ხანშიშე-სულმა ქალბატონმა, გულდასმით მომისმინა და სანატორიუ-მის რეჟიმით გათვალისწინებული დილის გამამხნევებელი ვარ-ჯიშიდან გამათავისუფლა. ამავე დროს, ადმინისტრატორმა ერთადგილიანი პალატა მომიხერხა. უკეთესს ვერც ვინატრებ-დი – დილით ლოგინში კოტრიალი გავინალდე.

ორი დღე ოთახიდან თითქმის არ გამოვსულვარ, ძილით ვიჯერე გული. მესამე დღეს ზღვის სანაპიროზე გავისეირნე. სოჭში ზაფხულის სეზონის პიკი იდგა. უამრავი დამსვენებელი ირეოდა პლაჟზე. სანაპიროზე განლაგებულ დიდ საჭადრაკო მაგიდებთან მრავალ ჭადრაკის მოყვარულს მოეყარა თავი. ერთ-ერთ საჭადრაკო დაფასთან შევჩერდი. საინტერესო არაფერი იყო. დაბალი კლასის ორი მოჭადრაკე ერთმანეთს ეპაექრებოდა და დამცინავი რეპლიკებით უმასპინძლდებოდა. გამობრუნებას ვაპირებდი. ამ დროს ახალგაზრდა, ლამაზმა მანდილოსანმა მოკრძალებით მკითხა:

- თქვენ ჭადრაკს თამაშობთ?
- ვთამაშობ, – ვთქვი და იქვე დავუმატე, – ალბათ ძალიან სუსტად.
- არ შეიძლება ერთი პარტია ეთამაშოთ ჩემს მეუღლეს?.. გემუდარებით!.. – შემეხვენა უცნობი ქალი.
- კი, მაგრამ თქვენი მეუღლე სად ბრძანდება? სურს თა-მაში ჩემთან? დაე, მან გამომიწვიოს „დუელში“, მან მესრო-ლოს ხელთათმანი... სეკუნდანტი, ისიც ქალი, რა საჭიროა? – გავაბი ლაქლაქი.
- ბატონო ჩემო, წამობრძანდით და თავად ნახეთ, რატომ არ შეუძლია ჩემს მეუღლეს „ხელთათმანის სროლა“.

ამ სიტყვებით წამიძღვა უცნობი ქალბატონი ვიღაც კაცი-საკენ, რომელიც იქვე, ათიოდე მეტრის მოშორებით, ჩვენგან ზურგშექცევით საჭადრაკო დაფას ჩაჰატირკიტებდა, ხელში კი საჭადრაკო უურნალი ეჭირა.

— კუზმა კირილი! აი, მოგიყვანე პარტნიორი! ვთხოვე შენთან რამდენიმე საჭადრაკო პარტია ითამაშოს ბატონმა... აქ უცნობ ქალბატონს გაახსენდა, რომ მე არ მიცნობდა და არც ჩემი სახელი იცოდა. მან დარცხვენით შემომხედა. მე შევეშველე:

— გიორგიმ, ესე იგი, თქვენმა მონა-მორჩილმა მიიღო თქვენი გამოწვევა და აი, მე აქა ვარ! — გავიჯგიმე შვეიკივით.

— ახლა კი დროა, ვიდრე ჭადრაკის თამაშს შევუდგებოდე, მითხრათ თქვენი სახელი. დროა გავეცნოთ ერთმანეთს, ქალ-ბატონო! — წარმოვთქვი ლიმილით.

— ლენა, ელენა ანდრეევნა, — მიპასუხა ქალმა და ხელი გამომიწოდა.

— უფრო სწორად — ლენოჩა, — შეიტანა შესწორება კუზმამ თავისი მეუღლის განცხადებაში.

— ლენოჩა! მე სუსტად ვთამაშობ ჭადრაკს. თქვენი მეუღლე, როგორც ვხედავ, საჭადრაკო ლიტერატურითაც არის შეიარაღებული. ძალები არათანაბარია, მაგრამ შევეცდები თქვენთან თავი არ შევირცხვინო.

— გეყოფათ, გეყოფათ! — შემაწყვეტინა კუზმა კირილიჩმა, — ახლავე ვნახავთ, რას წარმოადგენს ლენოჩას მოყვანილი მოჭადრაკე. ადრე მას ჩემთან ნაგავი მოჰქონდა, ამ ბრძნული თამაშისა რომ არა გაეგებოდათ რა. ასეთებს ჭკუა უნდა ვას-წავლოთ. ისინი ჭადრაკის თამაშს ხომ ვერასდროს შეისწავლიან.

კუზმას ამ გამოხატულებამ გამაღიზიანა. სრულიად არ მსურდა ლენოჩას თვალში ნაგავი ვყოფილიყავი. ჭადრაკს მი-

ვუჯექი და თავზარი დამეცა. ჩემს მოწინაალმდეგეს ორივე ფეხი მუხლებს ზემოთ, ბარძაყებში ქონდა გადაჭრილი.

ჩემი შეკრთომა არ გამოპარვია ბატონ კუზმას.

– რაო, ახალგაზრდა კაცო, შეგეშინდა უფეხო ინვალიდის? – ბოროტად ჩაიცინა მან, – ფეხები მე ფაშისტებთან ომში დავკარგე. ფეხები რაა, ბევრმა თავიც გასწირა რუსეთი-სათვის.

– საბჭოთა კავშირისათვის. – შევუსწორე.

– არა! მე ვიცი რასაც ვლაპარაკობ!.. რუსეთისათვის“ – აუნია ხმას კუზმამ.

მე თანდათან მოვედი აზრზე:

– კარგი, მაგრამ ამ ომში მრავალი არარუსიც დაიღუპა. ისინიც რუსეთისათვის იბრძოდნენ?

– რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირი – ეს რუსეთია, ნუთუ აქამდე ეს ვერ შეიგნეთ, ახალგაზრდა კაცო?!

ჩემ წინ პირზავარდნილი რუსი შოვინისტი ბრძანდებოდა. ასეთებთან ლაპარაკს საერთოდ ვერიდებოდი. ერთ პარტიას როგორმე ვითამაშებ, – გავიფიქრე, – მერე კი, კუზმაა თუ კირილიჩი, კისერიც მოუტეხია, ახლოსაც არ გავეკარები. ამ გადაწყვეტილებით შევუდექი ჭადრაკის თამაშს.

პირველი პარტია კუზმამ წააგო. იგი განრისხდა.

– აქ მე ვერავინ მიგებს, თქვენ სერიოზულ მოწინაალმდეგედ არ მიგიჩნიეთ და ამიტომ წავაგე. შემდეგ დაამატა, – მე თქვენ ფორას, ეტლს მოგცემთ და ისე მოგიგებთ!

– ფორას სიამოვნებით მივიღებ, მაგრამ მოწყალეო ხელმწიფევ, ჯერ თანაბარი ძალების პირობებში მომიგეთ, ფორაზე შემდეგ ვილაპარაკოთ! – გავკენწლე განრისხებული მოწინაალმდეგის თავმოყვარეობა და სრულიად დამავიწყდა, რომ ამ უხეშ კაცთან ერთი პარტიის თამაშის მეტს არ ვაპირებდი.

მეორე პარტია კუზმამ რაღაც ათიოდე სვლაში წააგო. ვი-

გრძენი, რომ მოწინააღმდეგესთან შედარებით ძლიერად ვთა-  
მაშობდი და ირონიულად შევეკითხე დაბნეულ მეტოქეს:

- ბატონო კუზმა, კიდევ ფიქრობთ ფორა მომცეთ?
- მოითმინეთ, მოითმინეთ ახალგაზრდავ, გვინახავს  
თქვენნაირები! მე თქვენ მესამე პარტიაში კისერს მოგიგრებთ  
ლენოჩქას თანდასწრებით.

კუზმა კირილიჩმა მესამე პარტიაც წააგო და კიდევ სხვა  
სამი მომდევნო პარტიაც მიაყოლა.

- დღეისათვის კმარა! ვითამაშეთ, დრო გავატარეთ.  
გმადლობთ, შემდეგისთვის გადავდოთ ჩვენი პაექრობა. დარ-  
წმუნებული ვარ, მომავალში უკეთ ითამაშებთ! დღეს თქვენ  
ფორმაში არ ბრძანდებოდით. ახლა მე მეჩქარება (არსადაც  
არ მეჩქარებოდა), გამოვეთხოვე ცოლ-ქმარს და სასწრაფოდ  
გავშორდი მათ. კუზმას ხმა არ ამოუღია.

- გიორგი, ერთი წუთით! – მომესმა ლენას ხმა. მე შევჩერ-  
დი. ლენა მომიახლოვდა და დაბალი ხმით შემეხვენა:

- გთხოვთ, ხვალ აქ პირველ საათზე მოპრძანდით!..  
თქვენ ვერ წარმოიდგენთ... ჩემი ქმარი ნამდვილ ჯოჯოხეთს  
მომიწყობს, თუ არ მოხვალთ... ხომ მოხვალთ? – ლენა შეწუხ-  
ებული თვალებით თითქმის მევედრებოდა.

- მოვალ, მაგრამ თქვენს მეუღლეს ყველა პარტიას მო-  
ვუგებ, – წავიტრაბახე, – იგი ამას იმსახურებს. კუზმა თურმე  
სხვებს ჭკუას ასწავლის. ახლა კი ჯერი დადგა ისწავლოს ჭკუ-  
აც და ჭადრაკის თამაშიც.

- ეჰ, ეგ რომ ჭკუას ისწავლის... – ჩაიქნია ხელი ლენამ, –  
ე.ი. მოპრძანდებით?

- უეჭველად! ხვალამდე ზღვამ თუ არ დამახრჩო. – და-  
ვამშვიდე ლამაზი ქალი.

ჭადრაკს, დიდი ხნის წინ, საშუალო სკოლაში სწავლის პე-  
რიოდში, საკმაოდ კარგად ვთამაშობდი. მქონდა პირველი თან-

როგო და საქალაქო ჩემპიონატებშიც არა ერთხელ დამიკავებია საპრიზო ადგილები. ეს იყო წარსულში. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, ჭადრაკს ჩამოვშორდი და მოყვარულის დონეზე დავრჩი. პროფესიონალები სუსტ მოჭადრაკედ მიმიჩნევდნენ, სამაგიეროდ, მოყვარულებს ძლიერ მოჭადრაკედ მივაჩნდი, რაც სავსებით აკმაყოფილებდა ჩემ თავმოყვარეობას. ადრეც, როდესაც ჭადრაკს სერიოზულად ვეკიდებოდი, ჩემთვის უცხო იყო მონინაალმდეგისადმი მტრული დამოკიდებულება, რაც აგრერიგად გავრცელებულია თანამედროვე ჭადრაკში; მაგრამ კუზმა კირილიჩის მიმართ, რაღაც აპათიურად განვეწყე, – სპორტულმა უინმა ამიტაცა... მე თვითონ მიკვირდა ჩემი ალტ-კინება... კუზმადან წამოსულმა სოჭის ქუჩებში გვიან დაღამებამდე ვიხეტიალე.

მეორე დღეს, ათი საათი იქნებოდა, რომ ავდექი. ვისაუზმე. გამახსენდა ჩემი პირობა, ლენას ვხლებოდი პირველ საათზე და რაღაც უსიამოვნო გრძნობამ ამიტანა. ტირში შევედი. რამდენიმე ხანი იქ დავყავი. თოფის სროლით შევიქციე თავი. შემდეგ ნავი დავიქირავე და ზღვაზე გავისეირნე. რადიორუპორით გამაფრთხილეს:

– ნავი ნომერი შვიდი ზონას გაცდა!

ტივტივებს გავხედე. ზონას მართლაც საკმაოდ გავცილებოდი. ნავი მოვაბრუნე, ნაპირს მივუახლოვდი, ნიჩბებს ხელი შევუშვი და პლაზი შევათვალიერე. გუშინ გაცნობილი ოჯახი ზღვის ნაპირზე იმყოფებოდა. დავინახე, როგორ შეაცურა ლენამ მეუღლე ზღვაში. ლენა ქმრის გვერდით გულალმა გაწვა წყლის ზედაპირზე. ყველაფრიდან ჩანდა, რომ იგი ცურვის ხელოვნებას ზედმიწევნით იყო დაუფლებული. გოგონამ რაღაც ილეთების კეთება წამოიწყო. ჩაყვინთავდა, შემდეგ წყლის ზედაპირზე წამოიმართებოდა მთელი ტანით. ხან თავქვე დაეკიდებოდა და ზღვის ზედაპირზე ფეხებს მომხიბვლელად აქნევდა. რამდენ-

ჯერმე კუზმასთან მიცურდა და გაეთამაშა. მესმოდა კუზმას შეძახილი: – ლენოჩა, გეყოფა!.. ლენა ოინბაზობას თავს არ ანებებდა. გაცელებული გოგონა მეუღლესთან შედარებით ძალიან ახალგაზრდად გამოიყურებოდა. კუზმა კირილიჩი მას მამად უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ქმრად.

– ბუნებაში ყველაფერი ხდება. – გავიფიქრე და ნავი მოვაშორე წყალში ლალად მოთამაშე ლამაზ ქალს, რომელსაც არც კი შევუმჩნევივარ.

პირველ საათზე პირობისამებრ მეუღლეებს მივაკითხე. კუზმა ჭადრაკის დაფას დაჟყურებდა. ლენამ ღიმილით დამიქნია თავი. იგი, ზღვიდან ახლად ამოსული, ტახტზე გაწოლილიყო და მზეს ეფიცხებოდა.

– თქვენ სიტყვის კაცი ყოფილხართ! მე ეს ძალიან მომწონს. – დაიგუგუნა კუზმა კირილიჩმა.

– მე თქვენ არაფერს შეგპირებივართ, ბატონო კუზმა, მე თქვენს მეუღლეს დავუთქვი, პირველ საათზე ვხლებოდი. ვფიქრობ, სიტყვა არ გამიტეხავს, – წარმოვთქვი ღიმილით.

– ჩემი მეუღლე და მე განუყრელები ვართ. მისდამი სიტყვის შესრულება ჩემი პატივისცემაც არის. – მომიგო მან.

– დიდად მოხარული ვარ, თუ ეს ასეა. ამავე დროს, საფიქრებელია, რომ თქვენ მე, როგორც მოჭადრაკეს, სათანადოდ მაფასებთ! გუშინ მე დაუმარცხებელი ჩემპიონი გავანადგურე ჭადრაკში! 6:0 პატარა საქმე ხომ არ არის? – გავიძუმრე.

– ვნახოთ, თუ დღესაც ასევე წარმატებით ითამაშებთ! გუშინ ფორმაში არ გახლდით, თქვენ ამით ისარგებლეთ! ეს უსინდისობაა! დღეს მე შენ სტალინგრადს მოგიწყობ!.. ლენოჩა იქნება ამის მოწმე... – და მოულოდნელად შემეკითხა – თქვენ რა, ქართველი ხართ?

– ქართველი ვარ. – ვუპასუხე. ლენა გულისყურით უსმენდა ჩვენ საუბარს.

- ქართული იცით? – მე გამეცინა.
- სწორი იქნებოდით, რომ გეკითხათ, რუსული თუ ვიცი. რუსულის ცოდნაში ვერც ტურგენევს, ვერც ლესკოვს ვერ შევეძრები. რომ არაფერი ვთქვათ პუშკინსა და ესენინზე.
- ესენინის კითხვას ვერ მოგიწონებთ, ამხანაგო!.. – განაცხადა კუზმამ და განაგრძო, – რაც შეეხება თქვენს მიერ რუსულად ლაპარაკს, იგი სრულიად საკმარისია, რომ ქართული დაივინებო!

საჭადრაკო სვლა გავაკეთე და გაკვირვებულმა შევხედე ჩემს მოწინააღმდეგეს.

- ვითომ რატომ უნდა დავივინებო ქართული?
- არ არის საჭირო და იმიტომ! მოკლედ მომიჭრა კუზმამ.
- ვისთვის არ არის საჭირო?.. თქვენთვის? მერედა ვინ გაძალებთ ქართულად საუბარს? ხოლო ჩემთვის რა არის საჭირო და რა არა, თქვენ არავინ გეკითხებათ! – წარმოვთქვი გაჯავრებულმა.

– აღბათ მეკითხება!.. ოხ, თქვენთან უაზრო ლაპარაკს შევყევი და შეცდომა დავუშვი. – ამოიხრა კუზმამ. მისი პოზიცია ჭადრაკში სრულიად უიმედოდ გამოიყურებოდა. მან ხელი გადაუსვა ჭადრაკის დაფას, ფიგურები გადაყარა და გაღიზიანებული, ხმამაღალი ხმით დამინებო ახსნა:

- თქვენ ქართველები სამი მილიონი ძლივს იქნებით. ვის სჭირდება თქვენი ქართული?.. აი ჩვენ, რუსები 250 მილიონზე მეტნი ვართ. ეს ენა მსოფლიო ენაა და მასზე მაღე მთელი მსოფლიო ილაპარაკებს!!!

– რატომ ილაპარაკებს მსოფლიო მარტო რუსულად, გამარკვიეთ ერთი, ბატონო კუზმა! – ვიკითხე დამცინავად.

- იმიტომ, რომ სულელო, ჩვენ 250 მილიონი ვართ, თქვენ 3 მილიონი! სად ორნახევარი მილიონი და სად 260 მილიონი. – ასწია კუზმამ რუსული მოსახლეობის რიცხვი და შესაბამისად

შეამცირა ქართველობა. – ნუთუ ეს უბრალო რამ არ გაგეგებათ? – ცხარობდა კუზმა და გამალებით აწყობდა საჭადრაკო დაფაზე ფიგურებს.

– კიდევ გინდათ წააგოთ? – შევეკითხე გაცხარებულ კუზმას.

– წაგებით ქართველებმა წააგეს! მალე მათი სახსენებელიც აღარ დარჩება დედამიწის ზურგზე. – ბობოქრობდა ჩემი მონინააღმდეგე, – ბუნების კანონია, რაც ადრე დაივიწყებ ქართულს და შეისწავლი რუსულს, ეს მარტო შენი კი არა, შენი შვილების პერსპექტივაცაა! – დაამთავრა აზრი ბატონმა კუზმამ და შემეკითხა:

– ცოლ-შვილი გყავთ?

– არა, არა მყავს. მე არ მსურს, ჩემი შვილები ქართულად არ ლაპარაკობდნენ. – ჩავილაპარაკე ჩემთვის. კუზმა კირილიჩი კი ხაზგასმული სერიოზულობით მარიგებდა:

– მაშ ასე, რუსეთი დიდია და იქ მცხოვრები სხვა ხალხები ვალდებული არიან დაივიწყონ სასაცილო, ეგრეთწოდებული მშობლიური ენა. დროა შეუდგნენ რუსულის, ამ დიადი ენის ღრმად შესწავლას.

კუზმას არც საჭადრაკო სვლების გაკეთება ავიწყდებოდა და ხანდახან წამოიძახებდა:

– ეშმაკმა წაიღოს, ისევ შეცდომა დავუშვი! ეს რა მომდის, ეს რა მემართება!

ბატონო გროსმაისტერო, მე მაგ საკითხის ირგვლივ მი-ფიქრია და სათანადო დასკვნაც გავაკეთე. აი, რა, – თქვენ რუსები ჩვენზე, ქართველებზე 150 მილიონით, თუ როგორც თქვენ მიმტკიცებთ, 260 მილიონით მეტნი ხართ! ეს ძალიან ცოტაა. ჩინელები თქვენთან შედარებით მილიარდით მეტია. ამიტომ უპრიანია, ახლავე დაივიწყოთ მშობლიური რუსული და ჩინურად დაიწყოთ საუბარი! მომავალი, თქვენი თეორიის

თანახმად, ხომ დიდებს ეკუთვნით? მალე ჩინური ენა მსოფლიო ენა იქნება, სხვა ენები გაქრებიან. ამიტომ მე ვერ მივიღებ თქვენს რეკომენდაციას რუსული ენის ცოდნის აუცილებლობაზე. დღეიდან ჩინური ენის შესწავლაზე მომიხდება ზრუნვა თქვენთან ერთად... ისე, მაგ თეორიების მაგივრად, ჭადრაკის თამაში შეგესწავლათ, უკეთესი იქნებოდა! ჭადრაკს ფეხები არ სჭირდება. ჭადრაკს თავი სჭირდება და არაფერია გასაკვირი, რომ თქვენ ასე სუსტად თამაშობთ!

სწრაფად წამოვდექი. არც გამოვმშვიდობებივარ, ისე გავეცალე კუზმა კირილიჩს და მის მომხიბვლელ მეუღლეს. დავინახე, რა ნაღვლიანი თვალები გამომაყოლა ლენოჩკამ, მაგრამ ახლა ნამდვილად განრისხებული ვიყავი.

სოჭში კიდევ ორიოდე კვირა დაგრჩი. არც არავისთან გამიჩალებია ნაცნობობა, არც არავის ველაპარაკებოდი. ვკითხულობდი წიგნებს, უურნალ-გაზეთებს. ჩემს ირგვლივ მყოფ პირებთან შეხვედრებს აშკარად გავურბოდი. მალე ისინი ყურადღებას აღარ მაქცევდნენ. აღარც ჩემი მათ-თვის გაუგებარი ცხოვრების წესი უკვირდათ. კუზმა და მისი ლამაზი მეუღლე დავიწყებას მივეცი; რუსეთში მრავლად შეხვდებით კუზმა კირილიჩის მსგავს პირებს... გარკვეული ხნის განმავლობაში რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, რომ ინვალიდთან მომივიდა შეკამათება... მალე ეს ინციდენტი მეხსიერებიდან ამოვიგდე, მაგრამ სოჭიდან წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე, მაინც მომიხდა კუზმა კირილიჩთან შეხვედრა.

სანატორიუმის ხეივანში სკამზე ვიჯექი და გაზეთს ვათვალიერებდი. უეცრად, ჩემ წინ ქალი გაჩერდა. თავი ავწიე. ლენოჩკა დაუინებით მომჩერებოდა. მოკლედ, ტანზე შემოტმასნილი კაბა მთლიანად წარმოაჩენდა მისი მოხდენილი სხეულის ნაკვთებს.

– ლენოჩკა?.. თქვენ ჩემთან?.. მე ხომ საკმაოდ უზრდელად მოგეძეცით!..

ლენა გვერდით მომიჯდა. მე მისი ხელი ავიღე და მოკრძალებით დავიწყე:

– მაშინ არ მეყო ვაჟუაცობა ბოდიში მომეხადა თქვენთვის ჩემი უმსგავსო საქციელის გამო... მაპატიეთ, რომ თქვენი ოჯახის სიმყუდროვეში შემოვიჭერი და წყენა მოგაყენეთ! გთხოვთ, ჩემი ეს სიტყვები გადასცეთ თქვენს განათლებულ მეუღლეს, რომლის ნახვას არ ვისურვებდი.

ლენას ხელი შევუშვი. მან მომხიბლავი ღიმილით შემომხედა და გულიდან ამოსული ხმით მითხრა:

– თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რარიგ მომწონხართ... არა, სხვაგვარად ნუ გამიგებთ... მე მთელი არსებით მომწონს თქვენი შეხედულებები და შეურიგებლობა ისეთ ადამიანთან, როგორიც ჩემი ქმარია... როგორც უნდა გაგიკვირდეთ, ერთ-ხელ კიდევ გთხოვთ წამომყვეთ კუზმა კირილიჩთან!.. ამ-ჯერად ჩემს ბინაზე... ღვთის გულისათვის, უარი არ მითხრათ! იმ დღეს, გაჯავრებულმა რომ დაგვტოვეთ, კუზმა კირილიჩმა ინერვიულა. მერე ავად გამიხდა. ძალიან ცუდად იყო. ბოდავდა. ძილში სულ ჩინეთს ახსენებდა. ახლა ცოტა გამოიხედა და და შემეხვეწა, იქნებ მომიძებნო ის ახალგაზრდა კაცი, მე რომ მეპაექრებოდაო. ორი დღე საშველი არ მომცა... ხომ წამოხვალთ? მე ვიცოდი, სად ისვენებდით. თქვენი მოძებნა სრულიად არ გამჭირვებია, რადგან, როგორც მითხრეს, ამ სანატორიუმში თქვენ ერთადერთი ქართველი დამსვენებელი ბრძანდებით, თურმე არავის ელაპარაკებით!..

ლენამ გაიღიმა:

– კუზმას წაეჩუბეთ კიდეც და ჩემს თხოვნასაც ყურადღებით ეკიდებით. როგორც ჩანს, აქ სოჭში გამონაკლისს ჩვენი ოჯახისათვის აკეთებთ!

ლენამ თავი ჩამომადო მხარზე და ჩემ ხელს ნაზად შეეხო.

– კარგი, წამოვალ, მაგრამ ჭადრაკს არ ვითამაშებ!

ლენოჩამ ხელზე ხელი მომიჭირა:

– არც არის საჭირო, ოღონდ ახლავე წავიდეთ.

კუზმა კირილიჩი ლოგინში იწვა.

– აი, მოგიყვანე, საყვარელო, შენი ოპონენტი! – შეეხმიანა სიცილით ლენა მეუღლეს და საწოლში წამოჯდომაში შეეშველა.

კუზმამ დარცხვენით შემომხედა და სვენებ-სვენებით წარმოთქვა:

– უნდა შევრიგდეთ!.. მე მაშინ ბევრი ისეთი რამ გითხარით, რასაც თვითონაც არ ვიზიარებ. მაპატიეთ! თუ რუსს რუსეთი უნდა უყვარდეს, ქართველს რატომ არ უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა? ანდა ესენინი რა ჩემი საქილიკოა? მაგრამ გთხოვთ, თავიდან ამოიგდოთ ის, რაც მე მაშინ მითხარით, ჩინეთს დარჩება მთელი სამყაროო... ეს არ არის სწორი!

– რა თქმა უნდა, – ჩავერთე კუზმას მონოლოგში, – ეს ხუმრობა იყო... დედამიწის სილამაზეს მისი მრავალფეროვნება განაპირობებს, სადაც დიდებიც და პატარებიც ჰარმონიულად არიან ჩაწერილი. ეს კი დიდის ან პატარის გაქრობას ენინალმდეგება. სხვაგვარად ჰარმონია დაირღვევა! განა ტყის სილამაზე მისი მრავალფეროვნებით არ არის მომხიბვლელი? რა იქნებოდა ტყე, თუ იქ მარტო დათვები იქნებოდნენ?

კუზმას გაეცინა.

– ეჰ, ვაღიარებ, თქვენ ენამახვილი ბრძანდებით! უდავოა, ტყეში მარტო დათვების ყოფნა დიდად დააზარალებდა არა მარტო ტყეს, არამედ დათვებსაც.

მე გაკვირვებული, თანაც სიამოვნებით ვუსმენდი კუზმა კირილიჩის ფერისცვალებას. ამ დროს მან რაღაც დაგუდული ხმით წარმოთქვა:

– მე მყავდა ერთი ქართველი ფრონტელი მეგობარი, ზაზა  
გეგია... იცით, რა ბიჭი იყო? ნამდვილი არწივი!.. ჭიდაობაში  
პირველი მთელ პოლკში... საოცრად საყვარელი ახალგაზრდა,  
თუმცა ზუსტად შენნაირი აზრები ედო თავში, საქართველოზე  
ცუდის თქმას ვერავინ გაუბედავდა... დედის გინებაზე ხომ  
ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენს ოცეულში დედას ვერავინ შე-  
აგინებდა, ოცეულის მეთაურიც კი... ეს მისი ბრალია, მე რომ  
ვიტანჯები... მან მათრია თავისი ზურგით რამდენიმე კილო-  
მეტრი, სასიკვდილოდ დაჭრილი. ნეტავი არ ვეთრიე... ამ სიმ-  
ნარეს ავცდებოდი... ჩემი ლენოჩკაც გავტანჯე, სიცოცხლე  
მოვუშხამე... ეჰ, ზაზა, ზაზა... – თავი ჩაქინდრა კუზმამ, – იგი  
იმ დღეს დაიღუპა, მე რომ გადამარჩინა...

შემდეგ ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

– ლმერთო, რა დავაშავე, ლმერთო, რატომ ვიტანჯები  
ასე!..

ლენას გავხედე, რომელსაც თვალები ცრემლით ევსებო-  
და. მეც რაღაც ბურთივით მომაწვა ყელში.

უცებ კუზმა კირილიჩმა თავი ასწია და ხელი გამომიწოდა:

– შევრიგდით, არა?!..

## პროვინციული მოაზროვნები

მოსკოვში რესტორნები შვიდ საათზე იწყებენ სისხლსავსე ცხოვრებას, რომელიც 10-11 საათისთვის აღწევს აპოგეას და როგორც წესი, ღამის პირველ საათზე ამთავრებენ კიდეც მუშაობას.

დილის 11 საათი იქნებოდა, როდესაც მე და ჩემმა მეგობარმა სასტუმრო „ლენინგრადსკაიას“ რესტორნის დაცარიელებულ დარბაზში შევაბიჯეთ, რათა ნაბახუსევზე წვნიანი კერძი მიგვერთვა, თორემ სასტუმროს ყველა სართულზე მშვენიერი ბუფეტი მუშაობს, სადაც საუზმისათვის თითქმის ყველაფერია გათვალისწინებული. ვიდრე მაგიდასთან ადგილებს დავიკავებდით, მოგვიახლოვდა ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა-ოფიციანტი და თავაზიანად მიგვითითა ერთ-ერთი მაგიდისკენ:

- გთხოვთ, აქ დაიკავოთ ადგილები, მე მოგემსახურებით! ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვქონდა. მითითებულ მაგიდას მივუსხედით.
- რას ინებებთ? – შეგვეკითხა ოფიციანტი და ბლოკნოტი მოიმარჯვა.

– ორი ბორშჩი, ორი ლანგეტი, ოთხასი გრამი არაყი „სტოლიჩნაია“, ორი კოკა-კოლა... – შევჩერდი და ოფიციანტს შევეკითხე, – კიდევ რას შემოგვთავაზებთ? – და ვიდრე პასუხს გაგვცემდა, დავასწარი:

- ჰო, მართლა, ყავა და ნაყინი თუ იქნება ნამცხვართან ერთად?
- იქნება, ყველაფერი იქნება! – გაგვილიმა კოხტა გოგონამ და გაგვცილდა. თვალი გავაყოლე. ოფიციანტმა კარგებთან მდგომ ვიღაც ახალგაზრდა კაცს ჩვენი მაგიდისკენ მიუთითა და სამზარეულოსაკენ მიმავალი თვალს მიეფარა.

სიმპათიური გარეგნობის ვაჟი მოგვიახლოვდა და თავაზიანად მოგვმართა:

– იცით რა? წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ამ მაგიდასთან დავიკავო თავისუფალი ადგილი?

– პირიქით! – შეეპასუხა ჯუკა (ჩემ მეგობარს ჯუკა ქვია), – ძალიან დაგვწყდებოდა გული, ჩვენი კომპანიისათვის აგერიდებინათ თავი და სხვებს შეერთებოდით! – (დარბაზში ჩვენს მეტი არავინ იმყოფებოდა).

ახლადმოსულმა თავისი თავი წარმოგვიდგინა:

– სერგეი ნიკოლაევიჩი, მუსიკოსი.

ჩვენც წარვუდგინეთ ჩვენს მაგიდასთან შემომატებულს ჩვენ-ჩვენი თავი. ერთი სიტყვით, გაცნობა შედგა.

მალე ოფიციანტმა სუფრაზე ბორშჩი და არაყი დაგვიდგა, თვითონ კი კოკა-კოლას ბოთლებს დაუწყო გახსნა. შემდეგ გოგონა მიუბრუნდა სერგეის, რომელიც მენიუს ათვალიერებდა:

– თქვენ რას მიბრძანებთ?

სერგეიმ რაღაცებზე მიუთითა. ოფიციანტმა ჩაიწერა დაკვეთა, სასიამოვნო სადილობა გვისურვა და ვიდრე გაგვმორდებოდა, დაგვაიმედა:

– ლანგეტი ათ წუთში იქნება, ყავას და ნაყინს ბოლოს მოგართმევთ.

– ხვრიპე ახლა ბორშჩი და წრუპე არაყი! არ დამიჯერებიძია, თორემ ამას ჩვენი ბუფეტი არ სჯობდა? – ჩაიბუზღუნა ჯუკამ, რომელიც ბორშჩის ხვრეპის პერსპექტივას აშკარად სკეპტიკურად უყურებდა. ფაქტიურად, მე ავიჩემე რესტორანი, რაზეც უხალისოდ დამთანხმდა მეგობარი.

– რა დალევს ამდენ არაყს!.. – წამომცდა. გრაფინში არაყი დიდ დოზად გამოიყურებოდა.

– ძალიან კარგად დალევ! – განაცხადა ჯუკამ, – შეუკვეთე? კეთილი ინებე და უჩვენე დალმართი! რა თქმა უნდა,

მეც შეგეშველები. – და დაამატა, – ეს ყმაწვილიც დავიხმაროთ!.. რას იტყვი შენ?

ვიდრე რამეს ვიტყოდი, ჯუკამ სერგეის არაყი ჩაუსხა სირჩაში.

– Дуй (Шეუბერე)! – Міміаრта ман мініонбეллс.

– А зачем? – Гаукувиорда сеरгეის.

– ზაჩემ და რადგან მოგვიჯექი, კეთილი ინებე და ჩვენი გასაჭირო გაიზიარე. – გაიცინა ჯუკამ.

სერგეიმ მიიღო ჩვენი გამოწვევა. ერთი კი წარმოთქვა „ო“ და სულმოუთქმელად გადაჰკრა არაყი. პურის გარდა, სერგეი-სათვის არაფერი იყო სუფრაზე არყის მისაყოლებელი. ჩემი მეგობარი არ დაიბნა:

– После первого не закусываем, не так ли?

სერგეიმ გაიღიმა.

– Мე მაგალითად, არც მეორეს მივატან რამეს!

– შენ აგაშენა ღმერთმა! – გაიხარა ჯუკამ, – სულ ჩემნაირი არ ყოფილხარ? – გააბა მან ლაქლაქი სერგეისთან.

სასაუბრო რუსულს ჩემი მეგობარი კარგად ფლობდა. მას ხარჯოვში ჰქონდა დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი. ოღონდ ეს იყო, რომ რუსულად გამოკვეთილი ქართული აქცენტით ლაპარაკობდა.

ჩვენი თანამესუფრე ნამდვილად სიმპათიური ახალგაზრდა გახლდათ, მაგრამ თვალები ჰქონდა სევდიანი, რაც არ გამორჩა ჯუკას:

– სერიოჟა ძველო (ჯუკასთვის სერგეი უკვე სერიოჟა იყო), მოსკოვი დიდიც არის და მხიარულიც. რას ნაღვლობ, რომ 1980 წლისათვის კომუნიზმის აშენებას ვერ ვასწრებთ. სამაგიეროდ, გვაქვს განვითარებული სოციალიზმი და გვექნება ოლიმპიური თამაშები... არა, ისე კია გულდასაწყვეტი კომუნიზმის აშენებას რომ ვერ ვასწრებთ დათქმულ დროს!!! ეს

ჩემი და შენი ბრალი არ არის. ჩვენ კი ვეცადეთ, რაც შეგვეძლო, თავი არ დაგვიზოგავს, მაგრამ ამან (ჩემზე მიუთითა) შეირცხვინა თავი, გეგმებს ვერ ასრულებდა და ჩააგდო კომუნიზმის მშენებლობის დიადი პროგრამა.

– მორჩი ახლა ლაყბობას! – ქართულად ვუთხარი ჯუკას, – თუ ეს ბიჭი იმნაირი იქნა, მიგაბრძანებენ სადაც ადგილია და კარგად გალაყბებენ კომუნიზმის მშენებლობაზე.

– მოწმედ არ დამიდგები? – გაიღრიჭა ჩემი ძმაკაცი, – ისე, ამ ქვეყნად არაფერი გაგეგება. ადამიანების გამოცნობაში ნამდვილი ბითური ხარ! როგორ შეიძლება ასეთი კეთილი გამომეტყველების კაცი სუკის მუშაკი იყოს. მე მათ ერთი შეხედვით ვცნობ. მათი თავხედური გამომეტყველება და ლაპარაკის ტონი, როგორ შეიძლება თვალსა და ყურში არ გეცეს? და სერგეის მიმართა:

– არ არა?

სერგეიმ ჩვენი ქართული ლაპარაკის, რასაკვირველია, ვერაფერი გაიგო, მაგრამ ჯუკას მაინც თავაზიანად დაეთანხმა:

– ვნახეთ ამას?

ჩვენი ახლადგაცნობილი ყმაწვილი კაცი „იცით რა“-ს ხშირად და ზოგჯერ უადგილოდ ხმარობდა.

– მაინც ეს ჯობია, – გავითქინე, – ზოგიერთმა რუსმა რომ იცის, თითოეული წინადადების თავსა და ბოლომი დედას რომ შემოგაგინებს.

– თქვენ ქართველები ხართ? – შეგვეკითხა სერგეი, – მე მაშინვე მივხვდი. სამხედრო სამსახურის დროს ქართველებთან ვმეგობრობდი. კარგი ბიჭები იყვნენ, თავს არავის დააჩაგვრინებდნენ, ერთმანეთს მხარში ედგნენ. ჩხუბითაც მაგრად ჩხუბობდნენ. – გაიღიმა სერგეიმ და თავისი ამბავიც მიაყოლა:

– იცით რა? მე მოსკოველი გახლავართ. ჩემი მამა, ჩემი ბაბუაც და მგონი, მისი მამაც მოსკოველები იყვნენ.

ამ დროს ჩვენმა ოფიციანტმა ლანგეტებიც დადო სუ-ფრაზე და სერგეის შეკვეთაც, სადაც ჩემი ყურადღება დიდი ფორმატის არაყმა მიიპყრო.

– ახალგაზრდავ, თქვენ უნდა დაცალოთ ეს ბოთლი? – ვიკითხე გაკვირვებით.

– იცით რა? თქვენი დახმარებით მგონი ამას მოვახერხებ! – წარმოთქვა სერგეიმ და სევდიანი თვალები ჭერს მიაპყრო.

სუფრასთან სიჩუმე ჩამოვარდა. ჯუკა, რომელიც ბორშჩს არ გაკარებია, ლანგეტს ეცა და გემრიელად ილუქმებოდა. მე კერძს დაანა-ჩანგლით ვუტრიალებდი. სერგეიმ წამოიწყო:

– იცით რა? მე რამდენიმე წლის წინ მოვრჩი სამხედრო სამსახურს.

– ძალიან კარგი. – ჩავერთე სერგეის დაუფიქრებლად.

მე მოსკოვის კონსერვატორია მაქვს დამთავრებული ჰობოის განხრით. ახალ არბატზე ახალ გახსნილ რესტორანში ვუკრავ. შემოსავალი მყოფნის.

– მერე მაგას რა სჯობია! ფულს რომ შოულობ, მაგას დარდობ? – ვიკითხე. მან ყურადღება არ მომაქცია და განაგრძო:

– ცოლი შევირთე ცოტა ხნის წინ.

– თქვენი და თქვენი მეუღლის ახლადშექმნილი ოჯახის სადლეგრძელოს სიამოვნებით შევსვამ! – წარმოთქვა ჯუკამ,

– მაგრამ ქორწილში რომ არ დაგვპატიუე, ამაზე რას იტყვი? სერიოუკა, ამას შენგან არ მოველოდით არც მე და არც ეს. – ხელი მოათითა ჩემკენ, – მაინც ვსვამ თქვენი ოჯახის სადლეგრძელოს! – მომიჭახუნა ჭიქა და ორივემ გადავკარით არაყი სულმოუთქმელად.

– დამაცადეთ, ღვთის გულისათვის, მათქმევინეთ რაც მანუხებს! – ამოიკვნესა სერგეიმ. ჩვენ დავინტერესდით და გავისუსეთ.

– მაშ ასე, ცოლი შევირთე, მაგრამ მსასიხარულო არაფერია. ჩემი ცოლი ლამაზი გოგონაა. 19 წელი ახლახან შეუს-

რულდა... იცით რა? მე საკუთარი სამოთახიანი ბინა მაქვს დატოვებული მამისაგან. ცოლის შერთვამდე მარტო ვცხოვ-რობდი. ახლა ცოლთან ერთად ვართ იმ ბინაში. სამუშაოს გამო, რესტორანში ღამის პირველ საათამდე მიხდება ყოფნა. ვბრუნდები სახლში და ჩემ მეუღლესთან ყოველთვის უცხო მამაკაცი მხვდება ხოლმე.

თავი ჩავლუნე.

– მერე? – ჩამესმა ჯუკას რეპლიკა.

– რა მერე, – ამოიოხრა სერგეიმ, – იცით რა? ვეჩხუბები ჩემ მეუღლეს, – ამას რატომ ჩადიხარ? ის კი აქეთ მედავება, ყვირის, რომ მე ჩამორჩენილი შეხედულებების, პროვინციუ-ლად მოაზროვნე ადამიანი ვარ! რომ არ მესმის თანამედროვე ცივილიზებული ნორმებით ცხოვრება. – სერგეიმ პაუზა გაა-კეთა და შემდეგ ჩაილაპარაკა:

– თქვენ რას იტყვით? ნუთუ ჩემი ცოლი მართალია? თქვენ რას დაარქემევდით მის მოქმედებას?

– У нас это блюдством называется, – წამომცდა მოუფიქრე-ბლად და შეშფოთებულმა თავი ავწიე. მზად ვიყავი სიმპათი-ური ახალგაზრდა კაცისათვის ბოდიში მომეხადა ჩემი წამოყ-რანტალების გამო.

ბოდიში არ დამჭირდა... სერგეის სახეს რაღაც კმაყო-ფილების ელფერმა გადაუარა. ნალვლიანი თვალები გაუბრნ-ყინდა და აღტაცებით წამოიძახა:

– Как раз этого она не понимает!

– Кое-что мне тоже трудно понять, мой друг!.. – ახითხითდა ჩემი მეგობარი. სერგეი აყვა ჯუკას ხითხითს და მეც გამეცინა.

ლამაზმა ოფიციანტმა, რომელმაც ყავა, ნამცხვარი და ნაყინი დაგვიდგა სუფრაზე, გაკვირვებულმა გადმოგვხედა, ნეტა რა აცინებთო.

მართლაც და, ამ ამბავში სასაცილო თითქოს არაფერია...

## გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი

კაბინეტში პირადი მდივანი შემოვიდა და შეშფოთებულმა შემატყობინა: გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტს სურს თქვენი ნახვა!

— შემოვიდეს! — ვთქვი და შესახვედრად მოვემზადე... — ნეტავ რა უნდა?.. რა საკითხზე არის ჩამოსული?.. — გამიელვა თავში. კარებში ფეხი შემოდგა სერიოზული გამომეტყველების მამაკაცმა, რომელმაც ჩემ სალამს საკმაოდ ცივად უპასუხა და თანაც რაღაც გამომწვევი რიხით განმიცხადა: — გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი გახლავართ — ლევ არკადის ძე დიაჩიკოვი. აი, ჩემი პირადობის მოწმობა.

მე თავაზიანად ავარიდე მოწმობას თვალი: — სასიამოვნოა თქვენთან შეხვედრა. გთხოვთ მითხრათ, რით შემიძლია გემ-სახუროთ? — პირდაპირ მივადექი საქმეს.

— რამდენად სასიამოვნო იქნება თქვენთვის ჩემი ვიზიტი, მალე გამოჩენდება. იგი უკავშირდება პანსიონატ-პოლიკლინიკის მშენებლობის საკითხს, რომელიც თქვენი მსგავსი მშენებლების წყალობით, თითქმის ოცდახუთი წელია ჭიანურდება.

— ლევ არკადის ძევ, ახლა სწორედ პანსიონატ-პოლიკლინიკის მშენებლობაზე ვაპირებ წასვლას... იქ ძალიან სერიოზული და სახიფათო ხასიათის სამუშაოები მიმდინარეობს. ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ თქვენც ჩემთან ერთად წამობრძანდებით და ობიექტზე გავაგრძელებთ საუბარს ამ ყბა-დაღებული მშენებლობის ირგვლივ.

— ეს მართლაც კარგი იქნება. — მითხრა კორესპონდენტმა. გზაზე სტუმარს ვკითხე როდის ჩამობრძანდით-მეთქი. აღმოჩენდა, რომ იმ დილით ჩამოსულიყო და დაბანაკებულიყო სანატორიუმში, რომელიც მაღალი რანგის ჩინოვნიკებს ემსა-

ხურებოდა. დრო არ დაუკარგავს და ოპერატიულად შესდგო-  
მია საქმეს.

ლევ არკადი ძეს დავათვალიერებინე ობიექტი. მიმდინარე  
სამუშაოები მართლაც რთული და სერიოზულად სარისკო იყო.  
პროექტის გადაკეთებამ შესაცვლელი გახადა უკვე აშენებული  
კედლები მესამე სართულზე, რაც დიდ სირთულეებს უკავ-  
შირდებოდა. სამუშაოების მწარმოებელს რამდენიმე დავალება  
მივეცი. განსაკუთრებით უსაფრთხოების ზომებზე გავამახ-  
ვილე ყურადღება.

კორესპონდენტს ავუხსენი, რამ განაპირობა აშენებული  
კედლების დემონტაჟისა და ხელახლა აშენების აუცილებლო-  
ბა. ვუთხარი, რომ მოსკოვიდან ჩამოსულმა „ხელმძღვანელმა  
ამხანაგებმა“ კატეგორიულად მოითხოვეს პროექტის გადაკეთ-  
ება, პანსიონატისთვის ინდივიდუალური სველი წერტილების  
მოწყობა, რაც მთელი პროექტის შეცვლასა და უკვე შესრუ-  
ლებული სამშენებლო სამუშაოების თითქმის 60%-ის გადაკე-  
თებასთან იყო დაკავშირებული.

— ლევ არკადის ძევ! — მივმართე სატუმარს, როცა ის ჩას-  
წვდა საქმის არსს — აი, თქვენ მე რჩევებს მაძლევთ. მითხა-  
რით, გეთაყვა, რა სპეციალობის ბრძანდებით?

- უურნალისტი ვარ. — მომიგო მოკლედ.
- მეც ასე ვფიქრობდი, — გავიღიმე.
- რატომ?

— იმიტომ, რომ მხოლოდ უურნალისტს შეუძლია შენიშ-  
ვნები, დარიგებები და მითითებები მისცეს კაცს, რომელსაც,  
ხუთი წელი მაინც იქნება, ამ საქმესთან აქვს კავშირი. წინას-  
წარ შემიძლია გითხრათ, რას წარმოადგენს ეს დარიგებები: რომ  
საჭიროა მუშაოთა კლასის დარაზმვა, რომ საჭიროა დავა-  
მუშავოთ და მივიღოთ შემხვედრი გეგმები, კონცენტრირება  
მოვახდინოთ საკვანძო საკითხებზე და ა.შ. ჩვენ, მშენებლებს,

რასაკვირველია, შეგვიძლია მივიღოთ თქვენი შენიშვნებიც და მითითებებიც, მაგრამ თუ მშენებლობისთვის საჭირო საკითხები დროულად არ იქნება გადაწყვეტილი მატერიალურად, „შემხვედრ გეგმებს“ უეჭველად ჩავარდნა ემუქრება.

— ახლა კი გთხოვთ, ჩემთან ერთად წამოპრანდეთ! მთელი დღეა ლუკმა არ ჩამსვლია პირში. თუ თქვენთვის მისაღები იქნება, ერთად ვისადიღოთ... სუფრასთან გადავწყვიტოთ საკითხები.

— მე არ ვსვამ! — მკვახედ მიპასუხა ლევ არკადის ძემ.

— სპირტიან სასმელებს არც მე გეახლებით, მაგრამ რძეს ხომ მიირთმევთ?

— კარგი, ვისადიღოთ ერთად. მაგრამ მე ქალი მახლავს, ჩემი მდივანი. მასთან გავიაროთ და წამოვიყვანოთ.

— კარგი აზრია. ქალბატონი საჭიროა, რათა ჩვენი დებატები დელიკატურ ზღვარს არ გასცდეს.

კორესპონდენტის სახეზე ღიმილი შევნიშნე.

— იცით რა? მე თქვენ მომენტონეთ! თქვენთან ერთად სიამოვნებით დავყოფდი რამდენიმე ხანს, მითუმეტეს, სუფრასთან.

და პირველად დამანახა კეთილი სახე, რომელსაც აქამდე გულდასმით მალავდა.

მძღოლს ვთხოვე ცკ-ს სანატორიუმისკენ აეღო გეზი. გოგონა სანატორიუმის ხეივანში იჯდა. ლევ არკადის ძის დანახვისას ჩვენსკენ წამოვიდა. კორესპონდენტმა გამაცნო თავისი მდივანი. გოგონამ ღიმილით გამომიწოდა ხელი:

— ტატიანა ბორისოვნა.

— „Она звалась Татьяной“... პუშკინს ალბათ თქვენ ყავდით წარმოდგენილი, როცა ტატიანა ლარინას სახეს ქმნიდა, — ვისუმრე მე.

— რა თქმა უნდა, თქვენ ხუმრობთ! პუშკინმა ძალიან დიდი ხნის წინ დაწერა „ევგენი ონეგინი“. მაშინ ტანიას დიდი წინაპ-

რებიც არ იქნებოდნენ ამქვეყნად. მაგრამ, როგორც უნდა გაგიკირდეთ, ჩვენი ტანიაც ლარინაა.

რესტორანში ცალკე კუპე დავიკავეთ. ოფიციანტი, რომელსაც მთელი წყალტუბო „ქიშმიშიას“ ეძახდა, შევასახელე თავი გამოიწინა მოსკოველ სტუმრებთან. მთავარი ინჟინერი ბაზარში გავგზავნე ახალი საზამთროსა და ნესვის მოსატანად. ამავე დროს, ვთხოვე ვარდები და მიხაკები ეყიდა გოგონასთვის.

გულითადი საუბრის წარსამართად კიდევ რაღაც იყო საჭირო. ვეძებდი თემას, რომელიც სტუმრებს დააინტერესებდა. რამდენიმე სასმისის შემდეგ, როცა გოგონას ყვავილები მივართვი, ვიგრძენი, რომ ლევ არკადის ძე საუბარში შევიყოლიე. კორესპონდენტი, თავისი პოლიტიკური მრწამისით, გაქანებული რუსი დიდმპყრობელური შოვინისტი აღმოჩნდა. დებატები შედგა. სტუმარი თავს მესხმოდა. მე საკმაოდ წარმატებით ვიცავდი თავს. მან ღვარდლიანად განაცხადა, ქართველი ხალხი უკულტუროა, თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირში გამრავლების მხრივ ბოლო ადგილზე იმყოფებაო... მე ისე ვუპასუხე, რომ ოპონენტმა მხრები აიჩინა. განვუმარტე: თუ გამრავლებით აფასებთ ერის კულტურას, მაშინ რუსეთი ჩვენზე უკულტურო ყოფილა, რადგან, გამრავლების თვალსაზრისით, იგი საქართველოსაც ჩამორჩება. ისე კი, ამ ცოტა ხნის წინ, საერთაშორისო ფორუმზე სკოპლეში გარკვევით დააფიქსირეს: მსოფლიოში განსაკუთრებით მრავლდებიან ჩამორჩენილი ქვეყნები ცენტრალურ აფრიკაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ცივილიზებული ქვეყნები ევროპაში სწორედ დემოგრაფიული სიძნელეებით არიან შეშფოთებულნი.

ლევ არკადის ძემ ვერც „პიროვნების კულტის“ – სტალინის ირგვლივ მიაღწია წარმატებას. როცა ბელადის ქართველობაზე

ჩამოვარდა საუბარი, კორესპონდენტს მოკლედ შევახსენე ლენინის სიტყვები: „ჩვენი პარტიისათვის ძალზე საშიში მტერია ველიკორუსული შოვინიზმი, რომელიც განსაკუთრებით ცუდად იჩენს თავს არარუს ელემენტებში. მხედველობაში მყავს ძერუინსკი და სტალინი“. ჯერ ველიკორუსული შოვინიზმი რა არის და მისი ცუდად გამოჩენა რაღა იქნება?! – დავასრულე კამათი ამ საკითხის ირგვლივ.

ჩვენ საუბარს გულდასმით ისმენდა ტატიანა ბორისოვნა. მე მას ხუმრობით გადავულაპარაკე:

- ქალბატონო, თქვენ ხომ ჩვენი პაექრობის არბიტრი ბრძანდებით. აბა, თქვენი შეფასებები მიკერძოების გარეშე!
- 3 : 0 თქვენს სასარგებლოდ! – ღიმილით ჩაილაპარაკა ქალმა.

კორესპონდენტი კი არ ცხრებოდა:

– ჯერ ნაადრევია საბოლოო შედეგებზე საუბარი... ჯერ პატივცემულმა სამმართველოს უფროსმა ამიხსნას, რატომ ცხოვრობს ქართველი გლეხი რუს „მუჟიკზე“ გაცილებით უკეთესად.

– თუ დრო გექნებათ, ხვალ ჩემ სოფელში წაგიყვანთ, ბიძაჩემის მეურნეობას დაგათვალიერებინებთ და პასუხიც ეს იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამიჭირდება მხოლოდ ლაპარაკით შევძლო თქვენი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება.

– აი, პასუხი! – წამოიძახა ტატიანამ – ჩვენ ხვალ მოვდივართ თქვენთან სოფელში. ლევ არკადის ძევ, მეთანხმებით?

– რასაკვირველია, გაიღიმა ლიოვამ. – ჩვენი პაექრობის შედეგი ხომ მთლიანად ხვალინდელ დღეზეა დამოკიდებული.

ვიგრძენი, რომ საუბარმა ნამდვილად გულითადი ხასიათი მიიღო. სტუმრები დაინტერესდნენ, მე რუსული სკოლა ხომ არ მქონდა დამთავრებული, ან ოდესმე ჰუმანიტარული განხრით

ხომ არ მიმიღია უმაღლესი განათლება და ა.შ. საუბარში ტა-ტიანაც აქტიურად იყო ჩართული. როცა სუფრიდან წამოვდექით, უკვე ახლობლებად ვგრძნობდით თავს.

შევთანხმდით: მეორე დღეს დილის 6 საათზე მათთან გა-მოვცხადდებოდი და წავიდოდით სოფლად.

დილით, როცა სანატორიუმში მივედი, სტუმრები უკვე მელოდნენ.

– ნუთუ დავაგვიანე? – ვიკითხე გაკვირვებულმა.

– ნუ ღელავთ! ზუსტად მოხვედით... მე და ლიოვა ცოტა ადრე ავდექით, რათა წყალტუბოს ლამაზი ადგილები მოგვენახულებინა. ძალიან მოგვეწონა თქვენი კურორტი. მწვანეშია ჩაფლული, რაც აღტაცებას იწვევს.

– წყალტუბოს სილამაზის შესახებ გზაზე ვისაუბროთ. ახლა კი, გთხოვთ, მანქანაში ჩასხედით! დროზე უნდა მივი-დეთ, თორემ თუ მასპინძლებმა გაგვასწრეს სამუშაოდ, მერე ძნელი იქნება მათი მოხელთება...

მანქანა დავძარი.

სოფელი, სადაც მოსკოველები მიმყავდა, მთაგორიანი ად-გილია. სოფელ ამაღლებიდან გზა მეტად მიხვეულ-მოხვეულია და მთებს შორის არის მოქცეული. ტანია ზვიადი პანორამის ნახვისგან გამოწვეულ აღტაცებას ვერ მალავდა და ხმამაღლა იმეორებდა: „Просто прелесть! Просто великолепно!“

მალე მამიდაჩემის სახლს მივადექით. ბიძაჩემი – სიკო-ვიჩი (როგორც მას მთელი სოფელი ეძახდა) სამუშაოდ იყო გამზადებული. რომ დამინახა, თვალები გაუბრნყინდა და ხელგაშლილი გამოემართა ჩემსკენ:

– შენ აგაშენა ღმერთმა! დროზე მომისწარი. არაფრით არ მინდოდა ამ დილით ვენახში მუშაობა, მაგრამ მამიდაშენს ელაპარაკა რიყის ქვა... კაცს დასვენება თუ უნდა, ვერ წარ-მოუდგენია.

— კი, კი... წამოწექი და შინ მოგართმევენ ჭირნახულს. ისე აგიდგა გვერდები! ზურა, შვილო, რომელ კეთილ ანგელოზს მივაწერო შენი გამოჩენა?! — ამ სიტყვებით მომეხვია მამი-დაჩემი და ჩემ დას, ნანას მიუპრუნდა: — ნახე, როგორ დავა-ჟეაცებულა შენი ძამიკო!

— სიკოვიჩ, მოსკოველი სტუმრები მახლავს თან, ქარ-თულმა სოფელმა დააინტერესა ისინი. აბა, თქვენ იცით! მან-ქანაში კალათი დევს თქვენთვის. კიდევ ხილი და სიკოვიჩის საყვარელი ტორტი. მამიდა, ნანუშკი, ეს გოგონა დააბინავეთ!

— არაფერზე ინერციულო, გენაცვალე, ყველაფერი რიგზე იქნება! — ხელი მომხვია ნანამ და ლოყაზე მაკოცა.

სტუმრებს მივუბრუნდი:

— გთხოვთ მაპატიოთ, თითქმის წელიწადია სოფელში არ ვყოფილვარ... ჩემიანებს მივესიყვარულე და უყურადღებოდ დამრჩით. ტანია, გეთაყვა, შევრიგდით?!

— ჯერ უნდა დავემდუროთ ერთმანეთს, შემდგომ რომ შევრიგდეთ... შენი შეხვედრა შენიანებთან ჩვენთვის შთამბეჭ-დავია. დადგმულ სპექტაკლს გავს. ამ მთებში ასეთი შინაგანი კულტურის გამოვლინება თითქმის წარმოუდგენელია. მაგრამ იგი ხომ საკუთარი თვალით ვიხილე. ლიოვა დაბნეულია. ასეთ შეხვედრას არ მოველოდით.

სიკოვიჩმა მკითხა:

— სტუმრებს რა სურთ? რა ეინტერესებათ, არ მეტყვი?

— ჯერ დავაბინავოთ. შემდეგ დავათვალიერებინოთ ვე-ნახი, ჭურ-მარანი და ვაზიაროთ ჩვენი სუფრის მადლს.

ბიძაჩემმა ბარს დაავლო ხელი და ჭურებს მიადგა.

მოსკოველები მოწესრიგდნენ. ტანიამ ჩემი დის ოთახში ისურვა დაბინავება. ლევ არკადის ძე კი ცალკე ოთახში მოვაწყეთ.

მარანთან მოვიყარეთ თავი. სიკოვიჩს სამი ქვევრისათვის მოეხადა თავი.

— აბა, ამოირჩიე რომელი ღვინო დავლიოთ. დააჭაშნიკეთ ჭურებიდან ეს კურთხეული სასმელი.

საპიდან ჭიქაში ჩამოვასხი ღვინო. სამივე ჭურის სითხე გავსინჯე და არჩევანი ერთ-ერთზე შევაჩირე.

— არ შემცდარხარ! — გაეცინა ბიძაჩემს. — ღვინოში ნამდვილად გაგეგება რაღაც. აბა, ჭიჭიკიას ასვი რაც გინდა, გეიგებს რამეს? (ჭიჭიკო გვერდით მცხოვრები მეზობელი გახლდათ, რომელიც თითქმის ოჯახის წევრად ითვლებოდა).

სტუმრებმა დაათვალიერეს ბიძაჩემის მართლაც რომ სანიმუშოდ მოვლილი ვენახი. ნახეს თხილის კორომი ვენახის ბოლოში, იქვე ხეხილის ბალი, სადაც მსხალი, ვაშლი, ქლიავი, კორკიმელი, აღუბალი — ზოგი მწიფობაში შედიოდა, ზოგიც უკვე დამწიფებულიყო. მოსკოველებს ბოსტანიც მოეწონათ. პომიდორი, ბადრიჯანი, სხვადასხვა ბოსტნეული მომხიბვლელად გამოიყურებოდა.

სტუმრებს ვუამბე ერთი სასაცილო ამბავი, რაც ბიძაჩემს შეემთხვა. შარშან თურმე ორას კილოგრამამდე პომიდორი მოუწევიათ. მამიდაჩემმა ერთი ამბავი დააწია მეუღლეს, რათა მას პროდუქტი ბაზარში გაეტანა, გაეყიდა და ოჯახში ფული შემოეტანა. პასუხად ბიძაჩემმა ასი მანეთი გადასცა და დააყოლა: — ჩემი წილი პომიდორის საფასური აგერ არის და აიღე! შენი წილი კი გინდა გაყიდე, გინდა წყალში გადაყარე, მე ბაზარში დახლთან დამდგომი არა ვარო.

ლიოვა არყადის ძე მთელი ამ ხნის განმავლობაში ბლოკნოტში იწერდა რაღაცებს. ვერ შეატყობით, რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ნანახმა. ტანია კი არ მაღავდა აღტაცებას და სიხარულით მეუბნებოდა: — ოჟ, რა კარგია! გმადლობ, ზურაბ... ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

ამასობაში სუფრაც გაიშალა აივანზე. თამადობას შევუდექი. რამდენიმე სადლეგრძელოს შემდეგ შევატყე, რომ კორე-

სპონდენტი შეთვრა. მიზეზი ის გახლდათ, რომ სიკოვიჩმა ჭაჭა შესთავაზა. ლევ არკადის ძეს სასმელი მოსწონებია და, მე რომ მეგონა, ლვინოს წყალს აყოლებდა, არაყს უყლუქუნებდა თურმე. ძნელია გაუძლო ასეთ დატვირთვას. ლიოვაც მალე ამქვეყნად აღარ იყო. რას ლაპარაკობდა, ვერ გაიგებდი. ერთი კი მკაფიოდ განაცხადა: უეჭველად მოამზადებდა საგაზეთო სტატიას ქართული მთიანი სოფლის შესახებ და ეს იქნებოდა სენსაცია...

ტატიანამ, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა, გადმომილაპარაკა:

— ლიოვა ცრუობს. ვერავითარ სტატიას ვერ გამოაქვეყნებს, თუ იქ რუსი არ იქნა წარმოდგენილი, როგორც ყველაფერ ამის შემოქმედი. აქ რუსი კი არა, მგონია, რუსულის მცოდნეც ძნელად მოიძებნება.

— ტანია, არ გეშინია შეფინა ყური რომ მოკრას იმას, რაც ახლა მითხარი?

— შიშით მაგას ეშინია ჩემი. ლევ არკადის ძე ხომ მამაჩემს ექვემდებარება სამსახურეობრივად. სინამდვილეში თავად ლიოვა მერიდება მე!

სუფრასთან გიტარა მოიტანეს. ტანია ჩინებულად უკრავდა. რამდენიმე სიმღერის შესრულების შემდეგ მე გამომინვია:

— აბა, თამადავ, გვაჩვენე მუსიკალური ტალანტი. სიამოვნებით მოვისმენ რაიმე ქართულს.

სიკოვიჩს გადავუდლაპარაკე და ოთახი მრავალუამიერის საამო ჰანგებმა აავსო. დიდი შემართებით ვასრულებდით უძველეს ქართულ მელოდიას, რომელმაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სტუმრებზე. მათ არ სჯეროდათ, რომ რასაც ვმღეროდით, ხალხური იყო. გალეშილი კორესპონდენტიც კი ვერ მალავდა აღტაცებას.

გიტარაზე მეც დავუკარი და ვიმღერე კიდეც. ტანიამ გამიცინა:

- შენ რა, ჩემს მოხიბვლას ცდილობ? არაფერი გამოგივა!!!
- ვიცი, ჩემო დედოფალო, ვიცი, რომ არაფერი გამომივა და ამიტომაც გიძლვნი ამ სიმღერას: „ამ ქვეყანაზე შენა ხარ ერთი, ქალი კი არა, ღმერთი ხარ, ღმერთი!..“
- სასიამოვნო მელოდიაა ბრწყინვალე შესრულებით, - ჩაიღულუნა ტანიამ, - ღვთის გულისათვის, მითარგმნეთ ტექსტი. მე ვუთარგმნე. ტანიამ თავი ჩაღუნა. შემდეგ კი ღიმილით ჩაილაპარაკა:
- საშიში პიროვნება ბრძანდებით ჩემისთანა შტერი გოგონებისათვის.

ლიოვას სუფრასთან ეძინა.

შებინდდა. სუფრა აიშალა. დაიკოს ვთხოვე საწოლი აივანზე გაეშალათ ჩემთვის. ტანიამაც აივანზე ისურვა ძილი. სიკოვიჩმა და ჭიჭიკომ ტანიას საწოლი ოთახიდან გამოიტანეს და აივნის ბოლოში დადგეს.

- ზურაბ, არ გამიცივდე! ხომ იცი, საპრასიაში ღამით როგორი საშინელი სიცივე იცის; აი, შალის გადასაფარებელი. თუ დაგჭირდა, საბანზე დაიხურე!

- სიკოვიჩ, სჯობს სტუმარ გოგონას მიხედო, ის არ გამიცივო.

- სტუმარს მე კი არა, შენ მიხედე! თუ დასჭირდა, ფეხებთან თბილი გადასაფარებელია და ის გადააფარე. - ჩაიცინა სიკოვიჩმა, საბანი ამომიკეცა და აივნიდან ფეხაკრეფით გავიდა.

ჩამეძინა. უცებ ვიგრძენი, რომ საბანი გადამხადეს და სიცივისაგან აკანკალებული გოგონა ჩამეხუტა.

- მიშველე - ჩურჩულებდა ტანია - ვიყინები...
- რა მოგივიდა? - წამოვიძახე დაფეთებულმა.
- შხაპი მივიღე, ცივი შხაპი... და გავიყინე.

თავში დამკრა: ეს მე ვაჩვენე სტუმრებს ეზოში ნალიასთან სიკოვიჩის მოწყობილი საშხაპე და ვიხუმრე – თქვენს ცივილიზებულ აბანოზე ნაკლები არ არის სოფლის პირობებში-მეთქი.

ქალს სწორედ იქ გადაუვლია წყალი და გათოშილა.

– Ox, დურა! – წარმოვთქვი და აცახცახებული ქალი ჩავიხუტე, – ნუ გეშინია, გენაცვალე, ახლავე გაგათბობ. ისეთ მასაჟს გაგიკეთებ, თავი სიზმარში გეგონოს!..

მასაჟის პროცედურას შევუდები. ქალი მალე შეთბა, მთლიანად მოეშვა და ჩამჩურჩულა:

– ამას არასოდეს დაგივიწყებ!

– არც მე ვაპირებ რამის დავიწყებას. ისე კი, სიკოვიჩის დიდი მადლობელი ვარ; მან მოაწყო აბანო, რომელმაც შენი თავი მაჩუქა.

– აბანომ კი არა, მე გაჩუქე, მე! – ჩაიკისკისა მოსკოველმა, რომელსაც უკვე გაუარა სიცივისაგან გამოწვეულმა ნერვიულმა დაძაბულობამ.

გვერდით მეწვა შიშველი, ვწებით სავსე გოგონა, რომელიც მთელი არსებით მოიწევდა ჩემსკენ.

ირიჟრაჟა თუ არა, ტანიას ვუთხარი:

– დროა თქვენს საწოლში გადაბრძანდეთ, ქალბატონო! უხერხულია ასე გვნახონ მასპინძლებმა, მით უფრო თქვენმა შეფამა!..

– იცი რა? – სიტყვა გამაწყვეტინა ტანიამ, – არავის ეკითხება ჩემი პირადი საქმეები, თუ გატაცებები. ჩემი ბედნიერი წუთები არავის განსასჯელი არ არის. ისე კი, ზურა, გთხოვ, შენ გადადი ჩემ ლოგინში. მე აქ დავრჩები. მინდა ვინებივრო საწოლში, რომელსაც შენი ტანის სურნელი ასდის.

მე ტანიასთვის გამზადებულ საწოლს მივაშურე და გავუტიე საძილეთში.

დილაადრიან ბიძაჩემი დამადგა თავზე.

— ადექი! ჭიჭიკიამ ხაში დაამზადა. უკეთესს რას შექამ! სტუმრები შენ გაალვიძე.

ხაში მართლაც მშვენიერი გახლდათ, მოსკოველებს ძალიან მოეწონათ. მალე კუპატები, შემწვარი ვარიები, კეცის მჭადები და ხაჭაპურები შემოგვამატეს. სუფრა ღრეობის ხა-სიათს მიიღებდა, კორესპონდენტს კატეგორიულად რომ არ განეცხადებინა:

— სამწუხაროდ, მეტი ხნით გაჩერება არ შემიძლია, ახლავე წყალტუბოში უნდა წავიდეთ. რაიკომის მდივანი მელოდება.

სტუმრები გულთბილად დაემშვიდობნენ მასპინძლებს. ჩემმა დამ პატარა შეკვრა ჩურჩხელები, ტკბილი კვერი, თხილი და მსხალი ჩადო მანქანაში.

მოსკოველები სანატორიუმში მივიყვანე. გამოთხოვებისას ლევ არკადის ძემ ხელი მაგრად ჩამომართვა:

— ჩვენ სასწრაფოდ უნდა წავიდეთ თბილისში. ალბათ ვე-ლარ გნახავთ. მადლობელი ვარ ყველაფრისთვის. მადლობელი ვარ იმისთვის, რომ გამაცანით მშრომელი ქართველი გლეხი. მეტსაც გეტყვით, — თქვენი დამსახურებაა ქართულ ყოფაზე აზრი რომ შევიცვალე. ჩვენი შეცდომა კი არა, უბედურებაა, რომ არ ვიცნობთ ქართველებს. მათზე ცუდი წარმოდგენა გვაქვს. გუშინ მანახეთ ის, რასაც არასოდეს დავიჯერებდი. ვერ დავიჯერებდი ქართველი გლეხის იმ დიდ ბუნებას, რომელიც, როგორც ჩანს, მემკვიდრეობით გადაეცა ბიძათქვენს.

— ლევ არკადის ძევ, თემას რომ არ ავცდეთ, გეტყვით: პანსიონატ-პოლიკლინიკას, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რვა თვეში ჩავაბარებთ.

კორესპონდენტმა კეთილად გამიღიმა:

— ალბათ სიტყვას შეასრულებთ!

ტანია ჩემთან მოვიდა და გადამკოცნა:

– დაუვიწყარია ყველაფერი, რაც ვიხილე და განვიცადე. გმადლობ, მეგობარო! თუ ბედმა ინება, შეიძლება კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს, თუმცა მე ამას აღარ ვისურვებდი.

ცხვირსახოცით თვალები ამოიწმინდა და ლევ არკადის ძისკენ გაეშურა, რომელიც წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივანს ესაუბრებოდა.

– სად გყავდა, ბიჭო, წაყვანილები ეს მოსკოველები? – ჩამილაპარაკა მდივანმა.

– მგონი უკმაყოფილონი არ უნდა იყვნენ, – მივუგე.

მეორე დღეს რაიკომში გამომიძახეს. მდივნის კაბინეტში შესვლისთანავე მაჯახეს:

– ისეთი რა უქენი მოსკოველებს, რომ თბილისამდე მთელი გზა შეწიე მესაუბრებოდნენ. აღტაცებული იყვნენ. მითხრეს, ბედნიერი კაცი ყოფილხარ, თუ ასეთი ადამიანები მუშაობენ თქვენს გვერდითო.

– მე არაფერი მიქნია, – ჩავილაპარაკე, – ქართული სოფელი და ქართველი გლეხი ვაჩვენე... ძალიან სასიამოვნო იქნებოდა თქვენი ყოფნა ჩვენთან, მაგრამ, როგორც მითხრეს, წყალტუბოში არ ბრძანდებოდით. ბათუმში ყოფილხართ თათბირზე.

– ჰო, ბათუმში ვიყავი, – ამოიოხრა მდივანმა, – ეს თათბირები დააქცევენ ქვეყანას!..

მცირე პაუზის შემდეგ კი მიაყოლა:

– ხომ გაგაფრთხილეს? 4 საათზე აქტივის თათბირს ვატარებ. არ დააკლდე!

## პანკეტი

ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებამ, რომელიც ქუთაისში დიდი ქარხნის მშენებლობას კურირებდა, ქუთაისის მიმდებარე რაიონებში რამდენიმე საწარმო გახსნა, სადაც გაერთიანების ქარხნებისათვის საჭირო დეტალებს ამზადებდნენ. ასეთი მცირე საწარმო დაარსდა მაიაკოვსკის რაიონის ერთ-ერთ სოფელშიც. აქ თითქმის ასორმოცდაათამ-დე ადგილობრივი მკვიდრი დასაქმდა.

საწარმოს, თავისთავად ცხადია, ყავდა დირექცია, ფუნ-ქციონირებდა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირუ-ლი ორგანიზაციები, რომელთაც ყოველწლიურად გეგმიურად და კომპლექსურად ამონმებდნენ ლენინგრადიდან ჩამოსუ-ლი რევიზორები. უნდა აღინიშნოს, რომ რევიზორები დიდი ხალისით მოემართებოდნენ სამხრეთში, სადაც მათ ელოდათ საქართველოს ლამაზი ბუნება, მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დათვალიერება და მთავარი – ბანკეტები, რაც, არც თუ იშ-ვიათად, შურს აღძრავდა ზოგიერთ შემმოწმებელში.

ერთ-ერთი ასეთი ღონისძიების დროს, ჩემდა გასაკვირად, ლენინგრადიდან ჩამოსულებს შორის ვიზილე გაერთიანების პარტბიუროს მდივანი, გაერთიანების ერთ-ერთი ქარხნის დი-რექტორი და მთავარი ინჟინერი, გენერალური დირექტორის ორი მოადგილე, განყოფილების გამგეები და ასე შემდეგ. ასეთი მაღალი რანგის სტუმრობა მცირე საწარმოებისთვის ნამდვილად დიდ პატივისცემად უნდა ჩათვლილიყო.

დატრიალდა პატარა საწარმოს დირექტორი, თავი არ დაუზოგავს: ერთი კვირის განმავლობაში ლენინგრადელები-სთვის არ დაუკლიათ არც სადილ-ვახშამი, არც გასეირნებები და ბოლოს ბრწყინვალე გამოსათხოვარი ბანკეტიც გაიმართა.

თამადობა მე მომანდეს (ბევრი ვიუარე, მაგრამ არაფერი გა-  
მომივიდა) და სტუმრებიც მიუსხდნენ სუფრას.

ვიდრე თამადობას შევუდგებოდი, ჩვენ რევიზორებს  
ავუხსენი, თუ რას წარმოადგენდა ქართული სუფრის თამა-  
და, რა როლი ეკისრებოდა მას. გავაცანი ქართული სუფრის  
რიტუალური ელემენტარული წესები – როგორ წარმოეთქვათ  
სადღეგრძელო და შეესვათ ლვინო. საუბარი დამთავრებული  
არ მქონდა, რომ გაერთიანების პარტბიუროს მდივანმა იგორ  
ლვოვიჩმა მთხოვა მისთვის სიტყვის უფლება მიმეცა.

– იგორ ლვოვიჩ, – მივმართე ხუმრობით, – მე არ შემიძლია  
პარტბიუროს მდივნის, ე.ი. პარტიის წინადადების იგნორირე-  
ბა. პარტია ხომ, კონსტიტუციის თანახმად, მმართველი ძალაა.  
ამიტომ დავარღვევ ქართული სუფრის ტრადიციას. თქვენ გე-  
ძლევათ პირველი სადღეგრძელოს წარმოთქმის უფლება.

– ამხანაგებო, – დაიწყო პარტბიუროს მდივანმა და მივხ-  
ვდი, რომ სადღეგრძელოს კი არა, რაღაც უაზრობის თქმას  
აპირებდა. – ძალზე ვნანობ, რომ ლენინგრადიდან ვიდეოკა-  
მერა არ წამოვიდე. ამ სუფრას გადავიღებდი და ვაჩვენებდი  
ლენინგრადის მუშათა კლასს, როგორ ცხოვრობენ ჩვენს ხარ-  
ჯზე ისეთი ქართველი დირექტორები, როგორიც ამ მცირე სა-  
წარმოს ყავს და ვისთანაც ამჟამად ვიმყოფებით. აი, საბან-  
კეტო მაგიდა, სადაც საბრალო რუსი მუშისა და გლეხის მიერ  
შექმნილი უხვი პროდუქტია წარმოდგენილი, მათი ოფლით და  
შრომით წარმოებული. მას კი დაპატრონებიან არა შემქმნელე-  
ბი, არამედ ისეთი წურბელები, როგორიც ამ სანარმოს დირექ-  
ტორია – იგორ ლვოვიჩმა ხელი გაიშვირა სანარმოს ხელმძ-  
ღვანელ ავთანდილ ქარცივაძისაკენ, რომელიც გაფითრებული  
იდგა კედელთან. დავინახე როგორ დაასხა მას შუბლზე ჭირის  
ოფლმა.

მეტის მოთმენა ალარ შეიძლებოდა. პარტბიუროს მდივანს სიტყვა გავაწყვეტინე.

– იგორ ლვოვიჩ, აი, როგორი კონფუზი ხდება ქართულ სუფრასთან, როცა თამადა უხეშ შეცდომას უშვებს. ბატონები, მე ვალიარებ ჩემ შეცდომას. უფლება არ მქონდა უდროო დროს მიმეცა სიტყვა პატივცემული მდივნისთვის, თუმცა ვერც წარმოვიდგენდი, რომ იგორ ლვოვიჩი ასეთი ხასიათის განცხადებას გააკეთებდა... მაგრამ რადგან დაისვა კითხვები მეტად საჩითხებზე, მათ პასუხი უნდა გაეცეს. საკუთარ თავზე ვიღებ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

– იგორ ლვოვიჩ, გეთაყვა, მაჩვენეთ თქვენი ხელები.

პარტბიუროს მდივანმა ხელები გაშალა და ფაფუკი თითები და ქათქათა ხელისგულები დაგვანახა. იქვე ავთანდილს მიკუბრუნდი:

– ავთო, გთხოვთ, თქვენი ხელებიც მაჩვენოთ!

მან თავისი უშველებელი დაკოურილი ხელები (ჩვენ რომ ტორებს ვეძახით) გამიშალა ცხვირწინ.

– ამხანაგო მდივანო, აი, ამ დაკოურილმა თითებმა შექმნეს ეს სუფრა! თქვენნაირი ხელების პატრონებს კი 1917 წელს და შემდეგაც კედელთან აყენებდნენ და ისე უსწორდებოდნენ პიტრის მუშები...

– მეგობრებო, – მივუბრუნდი სუფრასთან მსხდომთ, – უნდა მაპატიოთ, მაგრამ იძულებული ვარ, ვიდრე ბანკეტს წავუძღვებოდე, გაჩვენოთ ამ სუფრაზე წარმოდგენილი ხორაგის წყარო. გთხოვთ გამომყვეთ. ავთანდილი თავის საკუთრებაში მყოფ მეურნეობას დაგვათვალიერებინებს.

სტუმრებმა მხარი დამიჭირეს. ავთანდილი დაწინაურდა. შეგვიყვანა ვენახში, სადაც მაცდური მტევნები მწიფობაში შედიოდა. სტუმრებს ვუხსნიდი, რა ძნელი იყო ვაზის მოვლა. თითოეულ ვაზთან მეურნე კაცი ალბათ ოცდაათჯერ მაინც

უნდა მისულიყო. ვაჩვენე მათ ბოსტანი, სადაც პომიდორი, ბადრიჯანი, კიტრი და უამრავი სხვადასხვა სახის მწვანილი მოჰყავდათ. დაათვალიერეს საქათმეც, საღორეც, ბოსელიც. იხილეს ჭურ-მარანიც, რაზეც აღტაცება ვერ დამალეს. მსმენელებს ასევე ვუხსნიდი როგორი შრომა არის საჭირო, რომ მოსავალი მოიყვანო და დააბინავო. ამიტომ ქართველი კაცი სოფლის მეურნეობის პროდუქტს ჭირნახულს ეძახის.

– მე არ ვიცი სიტყვა „ჭირნახულის“ რუსული შესატყვისი, შინაარსობრივად კი შეიძლება ასე ვთარგმნოთ – „Сельскохозяйственный продукт добытым адским трудом“. მაგრამ ეს უკვე წინადადებაა და არა სიტყვა. – დავასრულე ჩემი ლექცია.

– ახლა კი დროა სუფრას დავუბრუნდეთ.

ოთახში დავბრუნდით და სუფრას მივუსხედით.

წამოვდექი და პარტბიუროს მდივანს მივმართე:

– იგორ ლვოვიჩ, სუფრაზე წარმოდგენილი კერძებიდან დამისახელეთ თუნდაც ერთი, რომელიც რუსი მუშის, ან გლეხის მიერ არის შექმნილი! არ გთხოვთ ახლავე გამცეთ პასუხი. ახლა ამის დრო არ არის. მე უნდა შევუდგე ჩემი მოვალეობის შესრულებას. ქალბატონებო და ბატონებო, ბოდიშს გიხდით მოულოდნელი, თუმცა, როგორც ჩანს, ძალიან საჭირო გასეირნებისთვის.

ამ დროს ფეხზე წამოდგა გენერალური დირექტორის მოადგილე როტენბერგი და ისე, რომ ჩემთვის არაფერი უკითხავს, პარტბიუროს მდივანს მკვახედ მიმართა:

– ღორი ხარ, რაც ახლაც დადასტურდა! თქვენ კი, თამა-დავ, დიდ მადლობას გიხდით მისი გაშიშვლებისთვის.

– გთხოვთ, თავი შეიკავოთ მკაცრი გამოთქმებისაგან და ვადლეგრძელოთ ამ ოჯახის მეთაურები – ჩვენი კეთილი მასპინძლები – ავთანდილი და მისი მეუღლე, ქალბატონი ელენე...

ბანკეტი ბრწყინვალედ წარიმართა. სუფრას, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. ენად გავიკრიფე, რათა გამე-ქარწყლებინა უსიამოვნო განწყობილება, რაც ინციდენტს მოყვა. არ დამიკლია ლექსების კითხვა პუშკინიდან ესენინამ-დე. პიანინოსაც მივუჯექი. მთელმა სუფრამ ერთად ვიმღერეთ „Подмосковные вечера“.

საქმე იმანაც გამიადვილა, რომ სუფრასთან მყოფმა ახალ-გაზრდა ქალმა ამიბა მხარი. იგი სუფრის მშვენება გახლდათ. ბრწყინვალედ კითხულობდა გოგოლის პასაუებს „მკვდარი სულებიდან“, კარგად უკრავდა პიანინოსა და გიტარაზე.

ავთოს ვკითხე ვინ იყო ეს გოგონა. მან ხელი ჩაიქნია:

– იგორ ლვოვიჩმა ჩამოიყვანა. იცი რისთვის? აბა, თუ მიხვდები!

მე თავი ავარიდე უხერხულ საუბარს და გოგონას მივმართე:

– ოქსანა, შეგიძლიათ ჩემი თხოვნა შეასრულოთ? დაუკარით ჩაიკოვსკის „ოქტომბერი“ „წელიწადის დროებიდან“.

– ახლავე.

ოთახი ლვთიურმა ჰანგებმა დაიპყრო. პიანისტის ოსტატობას აღტაცებული ტაშით შეხვდნენ.

– მე თქვენ ტაშს არ დაგიკრავთ, – ვუთხარი გოგონას, – თუ ნებას მომცემთ, დაგიკოცნით თითებს, რომელთაც ეს ნეტარი წუთები გვაჩუქეს. და მაინც... ჩემთან რომ გადმოჯე-ქით, თქვენი იგორი არ იეჭვიანებს? რატომ მიატოვეთ?

– ჩემი იგორი ისეა გალეშილი, რომ ამქვეყნად აღარ არის, – გაიღიმა ოქსანამ. თქვენ რომ ერთ ჭიქას შესვამდით, ეგ სამსაც აყოლებდა. რას ლაპარაკობს, ეშმაკი ვერ გაიგებს. მე დამჩქმიტა, დამალილავა. ეშმაკმა წაილოს მაგის თავი! ამაღამ მასთან არ დავრჩები.

ავთოს დავუძახე და ვთხოვე მიეხედა იგორ ლვოვიჩისათვის.

ბანკეტი დასასრულს მიუახლოვდა. პირველი საათი იქნებოდა, როცა დავიშალეთ. ჩემი უიგული დავქოქე და ქუთაისისკენ ავიღე კურსი. აჯაამეთის ტყეში რაღაც უსიამოვნო განცდამ ამიტანა. მანქანა გავაჩერე. უკანა სავარძლიდან ადამიანის სუნთქვა მომესმა. სალონი გავანათე და შევკრთი...

— ოქსანა?! — წარმოვთქვი უაზროდ.

## რევიზორის გაუღლის რჩევა

– ზურაბ აკაკიევიჩ! ტრესტის მმართველმა დაგირეკათ ხუთიოდე წუთის წინ. – მითხოვა პირადმა მდივანმა, როგორც კი ფეხი შევდგი კაბინეტში.

– ხომ არ უთქვამს რა სურს?

– არა... მოსვლისთანავე დამირეკოსო.

– კარგი, – ჩავილაპარაკე და ტრესტის მმართველის ტელეფონის ნომერი ავკრიფე.

– ზურაბ, ახლავე მოდი!.. შემოწმებაზე არიან საკავშირო სამინისტროდან. შენთან ერთ-ერთი განყოფილების უფროსი მოდის... გელოდები! – მომესმა ყურმილში მმართველის ხმა.

– იაკოვლევიჩ, ტრესტში მივდივარ! – გავძახე მძღოლს. ვასიამ ქუთაისისკენ დაძრა „მოსკვიჩი“.

რა დროს რევიზიაა?! ნეტავ, ვინ ოხერია, ამ გაგანია მუშაობის დროს კაცს რომ მოაცდენს... ჯანდაბას მაგის თავი! მომიხდება კორექტივების შეტანა ჩემი სამუშაო კვირის განრიგში. – ამერია ფიქრები.

რევიზორი სიმპათიური ახალგაზრდა აღმოჩნდა.

– ვალერი მიხაილოვიჩ ხომენკო, ვიცნობდეთ ერთმანეთს!

– თავაზიანად გამომიწოდა ხელი.

– ბატონო ანდრო, სტუმარი წყალტუბოში ხომ არ დავაბინავო?

– არ არის საჭირო, სასტუმრო „ქუთაისში“ მოვაწყეთ! ჩემი დავალებაა, ყურადღება მიაქციო! ჩვენგან ცუდი მასალები არ უნდა წაილოს!.. აბა შენ იცი!

– არის! ცუდი მასალები არ უნდა წაილოს! ბრძანება შესრულებული იქნება!

სტუმარს მივუბრუნდი:

– დროა საქმეს შევუდგეთ... „მილოსტი პროსიმ!“ ჩემთან, წყალტუბოში.

სამმართველოში რევიზორს მთავარი ინჟინრის კაბინეტი დავუთმე (მთავარი ინჟინერი შვებულებაში იყო და დღე-დღეზე ველოდი მის დაპრუნებას). განყოფილების უფროსები გავა-ფრთხილე, ყურადღებით მოკიდებოდნენ საკავშირო სამინის-ტროს მაღალი რანგის მოხელის დავალებებს.

რაღა დაგიმალოთ, სტუმარი დიდად არ ჩაღრმავებია სამ-მართველოს სამეურნეო ცხოვრების ლაბირინთებს. მეორე დღეს მე და ვალერი მიხაილოვიჩმა უკვე გამოვნახეთ საერ-თო ენა. რევიზორმაც საბუთებში კირკიტს ჩემთან ერთად მშენებლობებზე და რესტორნებში სიარული არჩია. ვალერი მიხაილოვიჩი განსაკუთრებით დაინტერესდა ხუროთმოძღვრე-ბის ისტორიული ძეგლებით. საბედნიეროდ, ქართული ბუნე-ბა და არქიტექტურული შედევრები ყოველთვის იმსახურებს ნებისმიერი სტუმრის ყურადღებას. მოსკოველი ნანახმა აღა-ფრთოვანა. ბაგრატისა და გელათის არსებობას ვერასდროს წარმოიდგენდა, საკუთარი თვალით რომ არ ეხილა.

ვალერი მიხაილოვიჩი შინაც მყავდა სტუმრად. აღტაცე-ბული დარჩა სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებით. რამდენ-ჯერმე სინანულით ჩაილაპარაკა, „ნეტავ ლენოჩკა აქ მყოლო-და...“

რევიზორს დაუსრულებლად შეეძლო საუბარი საყვარელი მეუღლის შესახებ. მიამბო, რომ ლენა, ძალიან ახალგაზრდა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატია. მუშაობს სრულიად გასაიდუმლოებულ სარაკეტო მშენებლობის დარგში. ვალერის მიმზიდველი გოგონა მეგობრის დაბადების დღეზე გაუცნია. მოხიბლულია მისი გარეგნობით და განათლებით. მალე მათ ლამაზი ოჯახი შეუქმნიათ; თუმცა ცოლ-ქმარი მძიმედ განი-ცდიდა იმას, რომ ჯერ-ჯერობით შვილი არ ჰყავდათ.

მეოთხე დღეს ვალერი მიხაილოვიჩმა ჩემთან მუშაობა დაასრულა და ოქმი წამიკითხა.

კმაყოფილი დავრჩი, ტრესტის მმართველის დავალება შესრულებული იყო. ხალისით მოვუწერე ხელი ოქმზე, მან კი გულდაწყვეტით მითხრა:

– სიამოვნებით დავრჩებოდი კიდევ რამდენიმე დღით შენთან, მაგრამ სამინისტროდან გამომიძახეს. მოსკოვში ვბრუნდები. ხვალ ორ საათზე მივთრინავ... შემდეგ როგორდაც დარცხვენით შემომხედა და განაგრძო, – ზურა, ბრატიშვა... რაღაც უნდა გთხოვო. ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს, რომ განუხებ, მაგრამ ახლა გვიანაა სინანული. ამას არაფერი ეშველება...

– მითხარით, რა გსურთ! სიტყვას გაძლევთ, თქვენს თხოვნას ავასრულებ, თუ იგი ჩემ ძალ-ლონეს არ აღემატება.

ახლად შეძენილმა „ბრატიშვა-ძამიკომ“ შვებით ამოისუნთქა.

– ერევანში მივლინებით მყოფი ჩემი მეუღლე ხვალ ან ზეგ ჩამოვა აქ. მე, აღბათ, უკვე წასული ვიქნები მოსკოვში. გუშინწინ ვესაუბრე ლენას ტელეფონით. შევთანხმდით, ქუთაისში შევხვდებოდით ერთმანეთს. შენი მისამართიც მივე-ცი. ახლა რა გამოდის? მოსკოვიდან გამომიძახეს და მე აქ ვეღარ დავხვდები. ლენას სურდა ენახა ყველაფერი, რამაც მე განმაცვიფრა... უხერხული ხომ არ იქნება შენი ოჯახისათვის, ორი ან სამი დღით თქვენთან რომ დარჩეს სტუმრად?

გამეცინა:

– არა მგონია, თქვენს მეუღლეს იმდენი ჭამა-სმა შეეძლოს, რომ ჩემი ოჯახის ბიუჯეტზე უარყოფითად იმოქმედოს. არც ღამის გათევაა პრობლემა. მნიშვნელობა არა აქვს, სად მოისურვებს, ჩემთან სახლში დედაჩემის გვერდით, თუ სას-

ტუმროში. პირობას გაძლევ, დედაჩემი ყველაფერს იღონებს, რომ სტუმარმა თავისუფლად იგრძნოს თავი.

– კარგი, მეგობარო... მშვიდად გავემგზავრები. – ამოი-ოხრა ვალერი მიხაილოვიჩმა.

რევიზორი სასტუმროში მივაცილე და სახლისკენ გავეშურე.

– შენთან სტუმარია, – მითხრა დედამ, – ლამაზი გოგონაა. ამბობს ზურაბ აკაციევიჩის მეგობრის ცოლი ვარო. აბაზანაში შევიდა შხაპის მისალებად. ასე რომ, ტყუილად ემზადები წასასვლელად! დღეს ლიზისთვის არ გეცლება. გულწრფელად გითანაგრძნობ (დედას არ უყვარდა ჩემი მეგობარი ლიზი, რომელიც რუსულ ენაში მამეცადინებდა. გულახდილად რომ ვთქვა, თავისუფალ დროს ხშირად მასთან ვატარებდი და არც თუ იშვიათად, ღამითაც ვრჩებოდი, რაზეც დედაჩემი მებუზლუნებოდა, დაგტოვებს მაგ ქალი უცოლოდო).

– როდის ჩამოვიდა სტუმარი?

– სამი საათი იქნება. თანამედროვე გოგონაა, სწრაფად გამიშინაურდა.

– რას იზამ... ლიზი მოიცდის... მაგრამ ჩემმა სტუმარმა შეიძლება ქმართან წასვლა მოისურვოს და მეც გამათავისუფლოს.

მძღოლს მივუბრუნდი:

– იაკოვლევიჩ, დღეს თავისუფალი ხარ...

– ხვალ დილით შვიდ საათზე სად მოგაკითხოთ?

დედამ დამცინავად გადმომხედა:

– იცის ვასიამ შენი სასიყვარულო ოინები, რაც საბოლოოდ კარგს არაფერს მოგიტანს! საცემი ხარ, მაგრამ როგორ გცემო სამმართველოს უფროსი კაცი. მეზობლები რას იტყვიან. – დაიწყო დედამ ჩვეულებრივი ნოტაციები.

– უმჯობესია ვახშამზე იფიქროთ, ნინა მიხაილოვნა, თორემ მოგვეჭრება სტუმართან თავი.

სავარძელში ჩავეშვი.

ესდა მაკლია, შენ მასწავლო სტუმრის მიღება! – შემომიტია დედამ და სუფრის განყობას შეუდგა.

ცოტა ხნის შემდეგ კი ოთახში შემოუძლვა ახალგაზრდა გოგონას, რომელსაც ერთი შეხედვით, ოცდახუთ წელზე მეტს ვერ მისცემდი.

– გაიცანით, ჩემი უფროსი ვაჟიშვილი! – მიმართა მას დედამ, – მგონი თქვენი მეუღლის მეგობარია.

უცნობმა ქალმა ლიმილით გამომიწოდა ხელი.

– ელენა კარპოვა... ჩემი ქმარი აღფრთოვანებული მესაუბრა თქვენზე. მოხარული ვარ, რომ გაგიცანით!

– არ არის გამორიცხული, რომ ნანახი ბევრად უარესია, ვიდრე წარმოგედგინათ, მაგრამ გულწრფელად გეტყვით, თქვენ ბევრად აჭარბებთ ჩემს მოლოდინს.

ახლად ნაბანავებ ქალს ლოყები შეფაკლოდა და თვალები უბრწყინავდა.

– რა ლამაზია ეს სასიკვდილე. – ქართულად ჩაილაპარაკა დედამ.

– ძალიან ლამაზია. – დავეთანხმე.

სუფრას მივუსხედით და მაშინვე წამოვიწყე:

– ელენა კარპოვნა, თქვენი ვალერი სასწრაფოდ გამოიძახა სამინისტრომ. ხვალ ორ საათზე მიფრინავს მოსკოვში. ხომ არ ინებებთ ღამე მეუღლესთან, ოჯახურ სიმყუდროვეში გაატაროთ?

ლენამ გაკვირვებით შემოხედა:

– მართლა?! სამწუხაროა... მე ორიოდე დღით ვაპირებდი დარჩენას. მინდოდა ყველაფერი მენახა აქ.

– ვალერიმ მთხოვა გამენია თქვენთვის მასპინძლობა. თუ ჩემ სახლს გააბედნიერებთ თქვენი სტუმრობით და ნინა

მიხაილოვნას საზოგადოებაში არ მოიწყენთ, მე ვიქნები თქვენი მეგზური!

– მოვიფიქრებ... გთხოვთ, მიმიყვანოთ ჩემ მეუღლესთან, მას მოველაპარაკები.

– დაგელოდებით, თუმცა იმედი არ მაქვს ამაღამ მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად მოიცალოთ.

ლენამ უკმაყოფილო გამომეტყველება მიიღო. მივხვდი, ჩემმა უკბილო ხუმრობამ მასზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. სანამ რამეს მიპასუხებდა, დავასწარი:

– უნდა მაპატიოთ ჩემი სალდაფონური მახვილსიტყვაობა. ვალერი მიხაილოვიჩის მეუღლე, რატომლაც ძალიან ახლობელ ადამიანად მივიჩნიე და არ მივაქციე ყურადღება იმას, რომ ელენა კარპოვნას სულ ნახევარი საათია, რაც ვიცნობ... „როცა გულწრფელად ინანიებენ, მიეტევებათ!“ – გვასწავლიან საღვთო წიგნები... ასე არ არის?

ქალმა ყური აავლო ჩემ ტირადას.

– როდის წამიყვანთ ჩემ მეუღლესთან?

– როგორც კი ვახშამს მოვრჩებით. ნუთუ თქვენ დედაჩე-მის გაკეთებულ მურაბებს არ გასინჯავთ? ეს ხომ დიასახლი-სის შეურაცხყოფა იქნება, რასაც თქვენ არ ჩაიდენთ!

ლენას გაეღიმა:

– ნინა მიხაილოვნამ უკვე მაზიარა თავის კულინარულ შემოქმედებას. ჩაიც მასვა, ნამცხვრებიც გამომიტანა და თავიც შემაყვარა. თქვენ უნდა იამაყოთ დედით!

– ვერ გეტყვით, რომ ნინა მიხაილოვნათი ვამაყობ, მა-გრამ სიყვარულით ძალიან მიყვარს, იგი ამას იმსახურებს. აბა, წავიდეთ!

მეორე დღეს, 12 საათზე სასტუმროში ვეახელი ჩემ სტუმ-რებს .

– ჩვენ შევთანხმდით, – დაიწყო ვალერიმ, – ლენოჩა თქვენთან დარჩება. ძალიან მოეწონა დედათქვენი. ზურა, ყვე-

ლაფერი ანახე, ლენოჩკა სიძველეების დიდი მოყვარულია. ამავე დროს, გთხოვ, გააცნო შენი ლიზიც. დარწმუნებული ვარ, ერთმანეთი მოეწონებათ.

კოპიტნარის აეროდრომიდან გამობრუნებულმა ლენას მიღმართე, –

– ძმადნაფიცის მეუღლევ! მე თქვენს განკარგულებაში ვარ!

ქალმა მრავლისმთქმელი გამომეტყველება მიიღო:

– თქვენ ბევრს მოითხოვთ ჩემგან, „ძმადნაფიცს“ სამწუხარო დასასრული აქვს. განა თქვენ ლავალიერი ბრძანდებით, ან იქნებ ფიქრობთ, რომ მე ვარ მარივით კეკლუცი.

– მე თქვენგან, მოწყალეო ქალბატონო, არაფერსაც არ მოვითხოვ. რაც შეეხება ჩემ გამოხტომას, გთხოვთ, მას ყურადღება არ მიაქციოთ, არ მეგონა ბალზაკს ასე ღრმად თუ აცნობიერებდით.

– ვითომ რატომ?

– როგორც ჩემმა მეგობარმა გადმომცა, თქვენ ტექნიკურ საკითხებში ხართ ჩაფლული. მცირე დრო უნდა გრჩებოდეთ მხატვრული ლიტერატურისათვის.

– თქვენი მდგომარეობიდან გამომდინარე, არც თქვენ უნდა გრჩებოდეთ კლასგარეშე ლიტერატურისათვის დრო. – ჩაიცინა ქალმა.

– მოდი, შევცვალოთ საუბრის თემა. მე შემოგთავაზებთ იმას, რასაც თქვენ ოპონირებას არ გაუწევთ. ახლა წამობრძანდით ჩემთან. დედაჩემი შეეცდება, შესაძლებლობის ფარგლებში, კომფორტულად იგრძნოთ თავი. სამუშაო დღის ბოლოს გამოგივლით. გაჩვენებთ მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეთა მიჯნაზე აგებულ ტაძარს. იქაურობას ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს ეძახიან დღეს, მაგრამ ეს ნანგრევებიც შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. დღეისათვის ამით დავკ-

მაყოფილდეთ. მომავალ ტურისტულ მარშრუტებსაც თქვენთან შევათანხმებ. თანახმა ხართ?

ლენამ თავი დამიქნია და ღიმილით მითხრა:

– გუშინ ამ დროს საერთოდ არ გიცნობდით, დღეს კი თქვენ წარმართავთ ჩემი ცხოვრების, თუნდაც რამდენიმე საათს... საინტერესოა წუთისოფლის ონები.

– ეგ, ჩემო კარგო, ფილოსოფიის საგანია. მე შორსა ვარ მაგ მეცნიერებისაგან... ჩვენი რუსთაველი კი, აი, რას ამბობს „ვაჲ, სოფელო რაშიგან ხარ..“ – „ძმადნაფიცის ცოლს“ რუსულად წავუკითხე „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი.

ლენამ შემომხედა, ჩაფიქრდა და მკითხა:

– შეგიძლიათ „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანი მიშოვოთ?

– მე გაჩუქებთ თარგმანებში საუკეთესოს, „ვეფხისტყაოსნის“ ნუცუბიძისეულ თარგმანს. იცით? ძველად ჩვენში, როდესაც ქალს ათხოვებდნენ, „ვეფხისტყაოსანს“ მზითევში ატანდნენ. მე ამ წიგნს, როგორც ძმა, მზითვად მოგიძლვნით!

– სიამოგნებით მივიღებ თქვენს საჩუქარს! – ჩაილაპარაკა ქალმა.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, სახლში რომ მივედი. ლენოჩამ მისაყვედურა დაგვიანებისათვის.

– ლენოჩა, უნდა მაპატიო! ლიზის შევუარე, მანქანაში ზის... ხომ იცი ქალების ამბავი, ვიდრე მოწესრიგდებოდა, აუარებელი დრო გავიდა და აი, შენი რისხვაც დავიმსახურე!..

– გაპატიებ, რადგან შენი გულის დედოფლის გაცნობა შემომთავაზე. – გაიცინა ეშიანმა ქალმა. – ოღონდ იცოდე, სარძლო შენი შესაფერისი თუ არ იქნება, ნინა მიხაილოვნაზე მეტად გაგიჯავრდები!

– არავითარ სარძლოსთან საქმე არ გექნებათ. ლიზი ჩემი მეგობარია, რომელიც უანგაროდ მიტარებს რუსული ენის

გაკვეთილებს, ამიტომ ვერაფერსაც ვერ გამიჯავრდებით. თუმცა ბედნიერი ვიქნებოდი, თუ თქვენ ჩემი ბედი დაგაინტერესებდათ.

— ეგ უკვე საჭირო არ იყო. — თქვა ლენამ და უკმაყოფილოდ შემომხედა. იქვე დაამატა, — წავიდეთ! ვნახავ, რა გემოვნებისაც ბრძანდებით... რას წარმოადგენს თქვენი რჩეული.

მანქანაში ლიზი ლენას გვერდით დაჯდა უკანა სავარძელზე. ქალებს ერთი შეხედვით მოეწონათ ერთმანეთი.

— გული არ დაგწყდეს, რომ შენგან ლენასთან გადავინაცვლე! — გამეხუმრა ლიზი.

— ეს დროებით, ვიდრე მე და ლიზი კარგად გავიცნობთ ერთმანეთს. — დაამატა ლენამ.

მანქანა ტაძრის ეზოს ჭიშკართან დავაყენე. ქალებს ტაძრისკენ გავუძეხი და დავიწყე ახსნა-განმარტებები ამ ძეგლის ირგვლივ. არ გამომრჩენია მეთქვა, რომ გუმბათი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოინგრა რუსული არტილერიის ყუმბარების წყალობით. სტუმარს ციხის გალავნიდან დავანახე ადგილი, საიდანაც გენერალმა ტოტლებენმა ცეცხლი გაუხსნა ტაძარს და მნიშვნელოვნად დააზიანა.

უქიმერიონის გადასახედიდან გელათი მოჩანს. ლენამ იკითხა:

— იმ ეკლესიას მოვინაზულებთ?

— გელათში ღვთისმსახურება აღარ მიმდინარეობს, იქ ახლა მუზეუმია. თუ მოისურვებთ, ხვალ წავიდეთ. გზაზე მოწამეთაშიც შევიაროთ. მოწამეთა მოქმედი ეკლესიაა.

ქალები სიხარულით დაეთანხმნენ ჩემ წინადადებას.

— ახლა წმინდა გიორგის ეკლესიაში შევიდეთ, აქვეა. ავანთოთ სანთლები და ექსკურსიაც ამით დავამთავროთ!..

ლიზიმ ეშმაკურად შემომხედა.

– ვფიქრობ, ისეთი არაფერი შეგვიცოდავს, რომ ღმერთი ჩვენი მონანიებით და ლოცვებით შევაწუხოთ.

– აი, ათეზმის კიდევ ერთი მსხვერპლი. – ვთქვი და ლიზის მივუბრუნდი, – ის მაინც გვითხარი, მშვენიერო ქალბატონო, რას გვთავაზობთ ჩემი წინადადების სანაცვლოდ?

– დალამებამდე ორი საათი მაინც იქნება. წავიყვანოთ სტუმარი გეგუთში და მეფეთა სასახლის ნანგრევები დავათვალიერებინოთ. შემდეგ კი რესტორან „ვენეციაში“ დაგვპატიჟე, არაფერი გიჭირს... რას იტყვი ვაჟბატონო, ცუდი წინადადებაა?

– მშვენიერი წინადადებაა, მაგრამ გეგუთის სასახლე ჩვენ არც თუ კარგად გვაქვს დაცდილი. გახსოვს, ერთხელ ღამის დარაჯმა რა დღე გვაყარა?

– ის დარაჯი ჩემით მოხიბლული დარჩა, შენ კი წითელი თუმნიანი აგწაპნა, ესეც გაიხსენე!.. – ჩაიცინა ლიზიმ და ლენას უამბო ერთი წლის წინანდელი თავგადასავალი. მაშინ მოხუცი ღამის დარაჯი სანადირო თოფით ცდილობდა დავეპატიმრებინეთ, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისა და წესების დამრღვევნი. მოხუცი ადვილად მოსასყიდი აღმოჩნდა, თუმნიანმა შეხედულება შეაცვლევინა. სანადირო თოფი მანქანას მიაყუდა, შიგ ჩაგვიჯდა, უამრავი რამ გვიამბო და ქათინაურებიც მომიძღვნა.

ლენამ ბევრი იცინა, ბოლოს ინატრა კიდეც:

– ნეტავ ის მოხუცი დაგვხვდებოდეს...  
– მაშინ ზურას ორი თუმნის გადახდა მოუწევს. – იხუმრა ჩემმა მეგობარმა, – დარაჯი თითო ქალში თითო თუმანს თხოულობს.

გეგუთის რეზიდენცია მეთორმეტე საუკუნეში უნდა იყოს აგებული. იგი თურმე მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ინარჩუნებდა პირვანდელ სახეს, მაგრამ შემდეგ ადგილობრივმა

მოსახლეობამ უპატრონოდ დარჩენილი სასახლე აგურ-აგურ დაშალა. გარდა ამისა, ამ მიდამოებს რამდენიმე წლის გან-მავლობაში სამხედროები იყენებდნენ პოლიგონად. ასე რომ, ადვილი წარმოსადგენია სურათი, რომელიც ლენამ იხილა.

ლენამ გულდასმით დაათვალიერა ნანგრევები, რომე-ლილაც ფრესკის ნარჩენებსაც მიაგნო და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ძეგლს არავინ პატრონობდა, რათა ის მაინც გადაერჩინათ, რამაც დღემდე მოალწია.

რესტორან „ვენეციაში“ შევედით. ნაცნობი ოფიციანტი თავისუფალი ფაცხისკენ გაგვიძლვა. ლენა მოხიბლა ქართული სუფრის მრავალფეროვნებამ. განსაკუთრებით კეცებზე შემწ-ვარი სოკო და შიგნეულის კუპატი მოეწონა.

— თქვენ აქ სამოთხეში ცხოვრობთ.  
— იმ განსხვავებით, ქალბატონო, რომ ბიბლიური სამოთხე ღმერთის მიერ იყო შექმნილი, აქაურობის შემოქმედი კი ქართველი ხალხია. — განვუმარტე მოსკოველ სტუმარს.

სუფრა მხიარულად წარიმართა. ლენა ბრწყინვალედ კითხულობდა ბლოკს, მაიაკოვსკის, პასტერნაკს. იცოდა უა-მრავი ანეკდოტი. ისე ყვებოდა მათ, რომ სიცილით ვიგუდე-ბოდით. მოსკოველ გოგონას თანდათან ხალისი ემატებოდა, მაგრამ რამდენადაც ეშხიანი ხდებოდა სტუმარი, იმდენად უგუნებოდ გამოიყურებოდა ლიზი.

ქალებმა სმაში ტოლი არ დამიდეს. ორი ბოთლი შამპა-ნური და ერთი ბოთლი კონიანი „ენისელი“ ჩემთან ერთად გამოწრუპეს.

— აბა, ახლა შინისაკენ! — განვაცხადე, — თორემ ისე დათვრებით, ორი წითელი თუმნიანიც არ მეყოფა თქვენს დასახს-ნელად. აქ უეჭველად დებოშს ატეხთ.

ლენამ მთხოვა, ცოტა ხნით კიდევ დავრჩეთო, მაგრამ ამ-ჯერად ზედმეტად სიმკაცრე გამოვიჩინე. ოფიციანტს ანგარი-ში გავუსწორე და ქალები ძალით ჩავსვი მანქანაში.

ლიზი სახლში მივიყვანე.

- კარგად ბრძანდებოდეთ! – მოგვმართა ცივად და საკ-მაოდ უხეშად მოაჯახუნა მანქანის კარი.
- შენი მეგობარი მგონი ეჭვიანობს. – ჩაიცინა ლენამ, როდესაც მანქანა დავძარი.

პასუხს თავი ავარიდე.

შინ დედამ შემომიტია:

- დაათვრე ქალი, შე შეჩვენებულო?
- დავათვრე კი არა... – ჩავილაპარაკე ჩემთვის. ლენამ ჩაიზე უარი განაცხადა და დასაძინებლად გაეშურა.

ლიზიმ დარეკა.

- ხვალ არ მეცლება. – მომესმა ყურმილში მისი ხმა, – სტუმარს შენ თვითონ აჩვენე გელათი და მოწამეთა. თავადაც ხომ ეს გინდოდა.
- მორჩი სისულელეს, შენთან მოვდივარ...
- არ გაბედო!.. ამაღამ შენთვის არ მცალია, სტუმარი მყავს.
- გისურვებ წარმატებას... შენ სტუმარს ჩემი მოკითხვა გადაეცი!. – ყურმილი დავდე.

დილით, საუზმის შემდეგ, მანქანის საჭეს მივუჯექი და ლენა მოწამეთაში, შემდეგ კი გელათში ავიყვანე. მოსკოვე-ლი გოგონა აღტაცებას ვერ მალავდა. წამდაუწუმ გაიძახოდა: „Просто прелестъ, просто великолепно!“ გელათის მისასვლელ-თან მდებარე რესტორნითაც მოიხიბლა. ეს იყო მხოლოდ, რომ რესტორანის დატოვებისას მაგიდიდან რისი აღებაც შეიძლებოდა, ყველაფერი ჩაილაგა ჩანთაში. ოფიციანტი გაოცე-ბით მისჩერებოდა ლამაზ ქალს, რომელიც პირწმინდად ასუ-ფთავებდა სუფრას.

- ნუ მიაქცევ ყურადღებას! – ვუთხარი მიმტანს ქართუ-ლად, – რამდენია დანახარჯი?

ანგარიში გავასწორე. ლენა გვერდით მომიჯდა და სახლამდე გაუთავებლად მესაუბრა თავის შთაბეჭდილებებზე. შემდეგ ნაღვლიანად ამოიხსრა:

– რა ცუდია ვალერკა რომ არ არის ჩვენთან.

– თქვენი ვალერკაც ზუსტად ასე სწუხდა, როდესაც თქვენ აქ არ ბრძანდებოდით... ხვალისთვის რა გსურთ, ნიკორწმინდა თუ ზუგდიდი? დარწმუნებული ვარ ორივე მოგეწონებათ, მაგრამ რადგან სხვადასხვა მხარეს მდებარეობენ, ერთ დღეში ორივეს დათვალიერება წარმოუდგენელია.

სტუმარი დუმდა.

ლენა, ხომ არ ისურვებთ ნახოთ შავი ზღვა, ბათუმი – საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი, ქობულეთის პლაზი, შეიძლება მზის აბაზანებიც მიიღოთ... რას იტყვით?.. მე შემიძლია სხვა მარშრუტებიც შემოგთავაზოთ.

მცირე ფიქრის შემდეგ ლენოჩკამ მითხვა:

– არც ბათუმში ვყოფილვარ ოდესმე და არც შავ ზღვაში ჩამიდგამს ფეხი.

– მაშასადამე, ხვალ აჭარაში მივემგზავრებით. დილით შვიდი საათისათვის მზად უნდა იყოთ.

სახლში დედამ მითხვა,

– ლიზიმ დარეკა, გთხოვა ტელეფონით შეეხმიანო.

ყურმილში ლიზის ხმა მომესმა,

– გისმენთ!

– სტუმარი აღარ გყავთ, – ჩემთან საუბარი რომ ინებეთ?

– შენც მორჩი სისულელეებს!.. ზურა, უნდა მაპატიო, რაც ჩავიდინე. პირდაპირ გეტყვი, მაგ ქალის დანახვაც კი არ მინდა... მიფრთხილდეს, თუ სადმე დავიმარტოხელე, თმებიდან გავცლი... როდის მიეთრევა აქედან? – აღელვებული ლიზი თავს ვეღარ იმორჩილებდა.

— ლიზი, მე შენ ასეთს არ გიცნობდი... რა მოგდის? როდის გითქვამს ვინმეზე „თმებიდან გავცლი“, ან „როდის მიეთრევა“... გეყოფა... ხვალ სტუმარი ბათუმში მიმყავს, წამოხვალ?

— არა, არ წამოვალ. ხელს არ შეგიშლი იხილო შიშველი აფროდიტე ბათუმის პლიაზზე. თანაც „მესამე ზედმეტის“ როლი არც ისე მხიბლავს...

— დილით, რვა საათზე შენს სახლთან დავაყენებ მანქანას. დაგიცდი ხუთ წუთს. სხვათა შორის, ჩემი სტუმარი ზეგ, ორ-შაბათს მიფრინავს მოსკოვში.

ყურმილი დავდე.

დედამ ადრე გაგვიმზადა საუზმე. ზუსტად დილის რვა საათზე „უიგული“ ლიზის სახლის პატარა აივნის წინ დავა-მუხრუჭე.

— სიგარეტს ვიყიდი — ვთქვი და ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მაღაზიაში შევედი. გამყიდველს სიგარეტის რამდენი-მე კოლოფი და შოკოლადის სამი დიდი ფილა გამოვართვი. მაღაზიდან გამოვედი. ლიზის ფანჯარას ავხედე. დავინახე, როგორ სწრაფად ამოეფარა ლიზი ფარდას... აუჩქარებლად გადავჭერი ქუჩა, საჭეს მივუჯექი და ლენას შოკოლადები გა-ვუწოდე.

— შოკოლადს ყვავილები მირჩევნია. — წამოიწყო ლენამ და უცებ წამოიძახა, — არა, არ მირჩევნია! შოკოლადები ძალიან მიყვარს! გმადლობთ, მეგობარო! — თავი მხარზე მომაყრდნო და მკლავზე ხელი მომიჭირა. — ახლა კი მთელი სვლით წინ, ბათუმისაკენ!

თერთმეტი საათი იქნებოდა, ბათუმში რომ ჩავედით. მან-ქანა ჩემი დეიდაშვილის ეზოში დავაყენე.

— ზურაბს გაუმარჯოს, ზურაბს! — აყვირდა დეიდაშვილის ქმარი, — ცოლი ხომ არ მოგიყვანია?.. მაგ გოგო არაა ხელიდან გასაშვები! აი დედასა, ცოტა ახალგაზრდა ვიყო, მივატოვებდი

შენ დეიდაშვილს და მაგ ანგელოზს აგართმევდი უთუოდ...

მასპინძლებს ლენა წარვუდგინე და იქვე გავაფრთხილე, რომ არაფერზე შეწუხებულიყვნენ.

– საღამოს რვა საათზე ქუთაისში უნდა დავბრუნდეთ. მანამდე ბათუმის დათვალიერებით ვიქნებით გართული. სუფრასთან გასატარებელი დრო აღარ გვექნება. – ავუხსენი ჩემ სიძეს, მხიარულ გურულს, რომელმაც დაცინვით მიპასუხა:

– აბა, რაი კაცო!.. გაიარ-გამოიარეთ, რვა საათამდე რა მოხდება, ვინ რა იცის!

დეიდაშვილის თორმეტი წლის ვაჟი, გივი გამოგვყვა და მთელი დღე გვერდიდან არ მოგვშორებია.

ჩვენ ბათუმის ბულვარი მოვინახულეთ, პლაზზე გავე-დით. ზღვის სანაპირო დამსვენებლებით იყო გადატვირთული. ლენამ სწრაფად გაიხადა და ზღვაში შეცურა, გივიც მიყვა. მე წამოვნექი. სიამოვნებით შევყურებდი როგორ თამაშობდნენ ზღვაში გივი და ჩემი სტუმარი.

– ზურა ბიძია! ლენა ძალიან ლამაზია, მთელი პლაზი მას უჭვრიტინებს. – მითხრა გივიკომ.

– მეც სიამოვნებით ვუჭვრიტინებ მაგ ქალს, მაგრამ სტუმარს ვერ შეეხები, არ შეიძლება... ასეთი გვაქვს ჯიში და ჯილაგი, ჩემო გივიკო! – თავზე ხელი გადავუსვი ბავშვს, რომელიც ყურადღებით მისმენდა.

– რას იზამ, თუ ასეთი ჯიში გვაქვს, ვერაფერს გახდები! – დაასკვნა მან. დავათვალიერეთ აკვარიუმი, დავესწარით დელფინების ატრაქციონს. შემდეგ გივი გაგვიძლვა სახაჭაპურეში, სადაც სახელგანთქმულ აჭარულ ხაჭაპურებს აცხობენ.

ადგილები დავიკავეთ. გივიკომ სახაჭაპურეს გამგე, თავი-სი მამიდა მოგვიყვანა. ქალბატონი ქეთინო სიხარულით მომე-საღმა, მიესიყვარულა ჩემ სტუმარს და ჩინებულადაც გაგვი-მასპინძლდა.

– საღამოს ჩემ ძმასთან ვიქწები. აბა დროებით, არ გემშვი-დობები! – მითხრა ქეთინომ.

– ცუდად არის საქმე, – ვუთხარი ჩემ სტუმარს, – ჩვენები ასე ადვილად ვერ გველევიან, ქეიფი არ აგვცდება.

ზღვისპირა პარკში ნავით გავისეირნეთ. ბოტანიკურ ბაღში შევყოვნდით და ქუთაისში დაბრუნების დროც მოახლოვდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემ სიძეს სუფრა გაეწყო, მეზობლებიც დაეპატიჟებინა.

– შენ არ მომიკვდე, აქედან პატივისცემის გარეშე არ გაგიშვა, მეზობლები რას იტყვიან, თავი გინდა მომქრა ხომ?!.. არ გამოვა მაი საქმე... პანა წევიხემსოთ, ორიოდე ჭიქა ღვინო გადავკრათ და მერე, შენ შენთვის და მე ჩემთვის... კარგად ვიყოთ ორივენი...

თორმეტი საათი სრულდებოდა, სუფრა რომ დავტოვეთ. მასპინძლებს სურდათ ღამე მათთან გაგვეთია. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, როგორც იქნა გავაგებინე ჩემ სიძეს, რომ მეორე დღეს სტუმარი მოსკოვში მიფრინავდა.

როგორც იტყვიან, „კარგად შეზარხოშებული“ ვიყავი. მოსკოველ სტუმარსაც ალკოჰოლის მოზრდილი დოზა ჰქონდა მიღებული.

– ფრთხილად იარე, – მთხოვა დეიდაშვილმა, – დარჩე-ნილიყავი კარგი იქნებოდა... ახლა მთელი ღამე უნდა ვინერვი-ულო, მაგრამ რაკი არ იშლი და მიდიხარ, ნელა იარე...

– ვიცი მაგის ამბავი, რაც უფრო ნასვამია, მით უფრო ნელა დაყავს მანქანა. – გამოეხმაურა ჩემი სიძე. გადაგვეკუნა, მშვიდობით მგზავრობა გვისურვა და თანაც დააყოლა, – ძამა, თუ ძაან გაგიჭირდეს, ძილი მოგერიოს, შეიყვანე მანქანა სადმე მოფარებულში და გამეიძინე მაგ ციცასთან. ვაი, რა გოგოა!!!

ქობულეთამდე ლენოჩიას ენა არ გაუჩერებია, თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა. შემდეგ თავი მომადო მხარზე დაძილბურანში ჩაილაპარაკა:

– სულელია შენი ლიზი! მადლობა გადაეცი ჩემგან. მან თავისია არყოფნით უდიდესი კმაყოფილება მომანიჭა – და გაუტია საძილეთში.

მახარაძეს (ოზურგეთს მაშინ ასე ეძახდნენ) გავცილდი. ვიგრძენი მეყვინთებოდა.

– ცუდად არის საქმე. – გამიელვა თავში, – რაღაც უნდა ვიღონო, რომ ძილს თავი წავართვა...

წყაროსთან შევჩერდი. წელს ზემოთ გავიხადე და ცივი წყლით ტანი დავიზილე, პირი დავიბანე, გამოვფხიზლდი. მანქანა მთელი სიჩქარით დავდარი. დაძაბული მსურდა ვყოფილიყავი, რათა არ ჩამძინებოდა...

სახლს რომ მივადექი, სამს გადაცილებული იყო. ლენა გავაღვიძე.

– დროა, ქალბატონო, ლოგინში მოისვენოთ...  
– ჩამოვედით?  
– დიახ, ჩამოვედით. გეყოთ უცხო მამაკაცის გვერდით ძილი... გადაბარგდით თქვენს საწოლში.

ლენამ ლოყაზე მაკოცა.  
– ეს სამი დღე დაუვინყარი იქნება ჩემთვის. გმადლობთ, მეგობარო!

დილის შვიდ საათზე სტუმარი გავაღვიძე:  
– სამსახურში მივდივარ. შენ შეგიძლია ლოგინში ინებივრო. ზუსტად თორმეტ საათზე მოვალ და აეროპორტში წაგიყვან!

– ზურა, წასვლამდე უეჭველად უნდა გადმოგცე ვალერის დანაბარები. ძალიან გთხოვ, აუცილებლად მნახე!

– შევთანხმდით, თორმეტ საათზე აქ ვიქნები. აბა, არ მოიწყინო...

– დედაშენის გვერდით რა მომაწყენს? – მომხიბვლელად გაიღიმა ლენამ.

„რა ლამაზია ეს სასიკვდილე!“ – გამახსენდა დედას სიტყვები. ქალის საწოლისკენ უნებურად გადავდგი ნაბიჯი. ქალმა შემომხედა.

ლმერთო, რა შემოხედვა იყო!.. სიყვარული, მოლოდინი, სინაზე, უდიდესი მოკრძალება და სინანული ერთბაშად გამოხატა „ძმადნაფიცის“ ცოლმა... ლამის დავბარბაცდი... თავი სწრაფად მოვთოკე, ოთახიდან გავედი, ეზო გადავიარე. ვიდრე ჭიშკარს გავაღებდი, უკან მოვიხედე. ლენა ფანჯარასთან იდგა.

– იაკოვლევიჩ, წავედით! – ჩავილაპარაკე.

ვასიამ ისე შემომხედა, რომ ვიგრძენი, ჩემი ხმის ცვლილებამ გააკვირვა და მანქანა უსიტყვოდ დაძრა ადგილიდან.

სახლში დროზე გამოვცხადდი. ვასია სახლში გავუშვი და საკუთარი „უიგული“ ავტოფარეხიდან გამოვიყვანე. დედა გულთბილად გამოეთხოვა სტუმარს. ლენა ჩაეხუტა:

– ნინა მიხაილოვნა, მე თქვენ ძალიან, ძალიან შეგიყვარეთ...

დედამ მურაბებით და ჩურჩხელებით სავსე ჩანთა გადასცა სტუმარს.

ვიდრე კოპიტნარისკენ წავიდოდი, ბალახვანში ყვავილებით სახელგანთქმულ ეზოს მივადექი. ლენა მანქანიდან გადმოვიყვანე და მასვე შევარჩევინე ყვავილები.

აეროპორტში გამოგვიცხადეს, რომ თვითმფრინავი ოდნავ იგვიანებდა. მე და ლენა, იქვე სკვერში, სკამზე ჩამოვჯექით.

– რატომ არ მეკითხები, რა სურდა შენთვის ეთქვა ჩემ მეუღლეს? – დაიწყო ლენამ.

– გისმენთ, ქალბატონო!..

– რუსს არასოდეს სცეთ ისეთი პატივი, როგორიც მე მომაგეთ!.. ვეთანხმები ვალერკას... რუსი ვერასდროს გაიგებს

შენ სიკეთეს. შენ არ იცნობ მათ... გულუხვობა რუსში შურს იწვევს და იგი უეჭველად შეეცდება რამე დაგიშავოს. აი, ჩვენი დარიგებაც და რჩევაც.

— ჭკუის სწავლებისათვის მადლობა მომიხსენებია, მაგრამ თქვენ განა რუსები არა ხართ?

— არა, ჩვენ უკრაინელები გახლავართ... ეს დიდი სხვაობაა. ჩვენთვის უცხო არ არის სიკეთე. არც სტუმარ-მასპინძლობის თქვენი ტრადიციებია გაუგებარი. როცა უკრაინაში მოგიხდებათ ყოფნა, ამაში ადვილად დარწმუნდებით.

— კარგი, მომავალში გავითვალისწინებ თქვენს დარიგებებს. — ჩემ ხმაში დამცინავმა კილომ გაიუღერა, რაც არ გამორჩენია მოსკოველ გოგონას.

— ჩვენ გაგაფრთხილეთ! როგორ მოიქცევით, როგორ იმოქმედებთ მომავალში, თქვენი ნებაა. მაგრამ მთავარი ეს სრულიადაც არ არის. მე მაქვს თხოვნა, რომელიც ვალერისთან არ შემითანხმებია. — ქალს სახეზე შეშფოთება გამოეხატა...

— გისმენთ, ყურადღებით გისმენთ!..

— ზურაბ, გთხოვ, ძალიან გთხოვ, არასოდეს მოექცე ქალს ისე, როგორც მე... არ გაიკვირვო, რასაც ახლა გეტყვი, — ქალმა თავი ჩაღუნა და ჩურჩულით წარმოსთქვა, — შენ თავი შემაყვარე და ვაი, რომ ეს სიყვარული ძალიან ძლიერია. იცი, პირველად რომ გნახე, გავიფიქრე, ამას ვაჩვენებ სეირს, თავს მაწონებს, მოვამლევინებ კეკლუცობას-მეთქი. ერთი დღეც არ იყო გასული, მე შეგიყვარე! ლიზი ამას მაშინვე მიხვდა. ქალურმა ალლომ არ უმტყუნა, დაინახა ჩემი გრძნობები და არც შემცდარა. დღეს ჩემთან რომ შემოხვედით დილით და თავზე დამადექით, ვიგრძენი, არც თქვენ უნდა იყოთ გულგრილი.

ლენა მომექრა. ჩემი ხელი გულში ჩაიხუტა და ჩაიღულუნა:

– მე შენ, ძვირფასო, სიკვდილამდე მემახსოვრები, მაგრამ ძვირფასო, შენც ხომ გიყვარვარ? ნუთუ არ გიყვარვარ?

– მიყვარხარ... საუბედუროდ გრძნობები არ გვემორჩილებიან, დაუკითხავად შემოიჭრებიან ჩვენში და სულიერ სამყაროს აგვიფორიაქებენ. გამიგეთ, ქალბატონო, მე იმდენად პატივმოყვარე ვარ, რომ შემიძლია საკუთარი ვნებების დათრგუნვა. პატიოსან კაცად მივიჩნევ თავს, თუმცა პატიოსნება ბოლომდე როდი მაქვს გათვითცნობიერებული... მეათე მცნებით უფალი შეგვაგონებს: „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“. რა პატიოსანი კაცი ვარ მაშინ, როდესაც შეგიყვარეთ და განგებას ვმადლობ, რომ გაგიცანით. სამი დღე უბედნიერესი კაცი ვიყავი და ეს ეპატიება სრულყოფილ არსებას? რადგან მაიძულებთ და ამის საბაბიც მომეცით, მეტსაც გეტყვით, წუხელ გზაზე, ჩემ თავთან დიდი ბრძოლა გადავიტანე... გავიმარჯვე, მაგრამ რა? მაშინ რატომ მტკივა გული? „მანაც იმრუშაო“ – არ ინდობს ჩემნაირებს სახარება...

– ნუ იცინით, ღვთის გულისათვის ნუ იცინით! – ცრემლები მოიწმინდა ლენამ, – შენ გგონია წუხელ შენს გვერდით მეძინა? სულელო! მთელი გზა ველოდებოდი შენს ალერს... მე შენ არასდროს შეგხვდები, ასე აჯობებს... არ მსურს საკუთარი ოცნებების მსხვრევა ვიხილო... ძალიან კარგი ხარ, მინდა ჩემს მეხსიერებაში ასეთი დარჩე. ქალმა ხელი მომხვია და ტუჩებზე დამეკონა.

აეროპორტის რადიომ მოსკოვში მიმავალი მგზავრები მოიხმო. დარბაზში შევედით. ლენა გამომემშვიდობა და თვითმფრინავის ტრაპისკენ გაეშურა. მე დიდხანს ვიდექი გაუნძრევლად. თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა.

- გეყო ერთ ადგილზე სარგადაყლაპულივით დგომა, დროა გონს მოხვიდეთ, ვაჟბატონო!.. – მომესმა ლიზის ხმა. იგი ჩემ გვერდით იდგა. მეგობარმა დამცინავი ტონით განა-გრძო, – გულის ამაჩუყებელი იყო თქვენი განშორება, ველარა-ვის ამჩნევდით... წამოდი ჩემთან, ვეცდები დარდი გაგიქარვო!
  - მაგის იმედი რომ არ მქონდეს, თავში ტყვიას დავიხ-ლიდი...

– ვაი შენს პატრონს, ქალი აქვითინებული გაუშვი მოსკო-ვში და შენ კი პამპულაობის ხასიათზე ხარ... თუმცა შეიძლება სწორედ ამიტომ მიყვარხარ, საძაგელო!...

ლიზი მანქანაში ჩამიჯდა. ხელი მომხვია და თავი მკერდზე მომაყრდნო.

– ისეთი ყვავილები ჩემთვის არასდროს მოგიძლვნია... რატომ?.. – იკითხა მინაზებული ხმით.

...ლენას აღარ შევხვედრივარ. არც მიძებნია. არც მისი მეუღლის რჩევა-დარიგებებისათვის მიმიქცევია ყურადღება, რისთვისაც, რა დასამალია, არაერთხელ ჩავვარდნილვარ ზოგჯერ სასაცილო, ზოგჯერ კი უხერხულ მდგომარეობაში...

# რუსული ფანომენის ქართული დასასრული

„რაღაა იგი სინათლე“...

ბატონ ბიძინა ივანიშვილის განცხადებამ – 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მისი მონაწილეობის შესახებ ქართული პოლიტიკური წრეების გამოცოცხლება გამოიწვია. ქართულმა პრესამ დიდი ადგილი დაუთმო ბატონი ბიძინას პიროვნებისა და საქმიანობის გაშუქებას, რასაც ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ქართული საზოგადოებრიობა; მათ შორის მეც, თქვენი მონა-მორჩილი. პრესა მეტად საინტერესო პუბლიკაციებს აქვეყნებდა ბატონი ბიძინას ბიზნეს-საქმიანობის შესახებ, რაც ჩემთვის ნაწილობრივ უკვე ცნობილი იყო, ნაწილობრივ კი ახალი აღმოჩენა გახდა. მედია-საშუალებებით გვამცნეს, რომ ბ. ივანიშვილს თავისი ექვსმილიარდიანი (შესაძლოა უფრო მეტი) კაპიტალი რუსეთში ჰქონდა დაგროვილი და შემოსავლის გარკვეულ ნაწილს საქართველოს კეთილდღეობას ახმარდა. აფინანსებდა სკოლებს, საბავშვო ბაღების, სამედიცინო დაწესებულებების, ეკლესიების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ხარჯებს, არ ივიწყებდა მშობლიურ კუთხეს – სოფელ ჭორვილას და მისი კეთილდღეობისათვის საკმაოდ დიდ თანხებს გამოყოფდა. ამავდროულად, ქართული ხელოვნებისა და სპორტის გამოჩენილ პირებს სოლიდურ ფულად დახმარებას უნიშნავდა. ყოველივე აღნიშნული ჩემთვის ცნობილი გახლდათ, მაგრამ სახტად დავრჩი, როცა შევიტყე, რომ ბატონი ბიძინა თურმე აფინანსებდა ქართულ არმიას და მთავრობის წევრებს.

გასაგები და მისასალმებელია, როდესაც მილიარდერი ქართველი ხალხის საამაყო შვილებს, როგორებიც არიან რობერტ სტურუა და ნონა გაფრინდაშვილი – ეხმარება, რომ მათ

შიმშილით სული არ ამოხდეთ, მაგრამ მთავრობის წევრების დაფინანსება უხერხულად გამოიყურება. უკეთესი ხომ არ იქნებოდა (ჩემი მოსაზრებით) ეს სახსრები ლტოლვილებისათვის, ან გაჭირვებული ოჯახებისათვის გადაეცა?

პრესა დიდი მონდომებით წარმოაჩენდა ქართულ პოლიტიკაში ახლად გამოჩენილის დადებით მხარეს, მაგრამ მე მაინც მოუთმენლად ველოდი მიღიარდერის შეხვედრას პრესის წარმომადგენლებთან, რაც საცნაურს გახდიდა საზოგადოებისათვის ბატონი ბიძინას ორიენტაციას საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ამ შეხვედრის დროს უნდა გამოჩენილიყო ქვეყნის პოლიტიკური მართვისა და საარჩევნო მარათონის წარმართვის მისეული ტაქტიკაც. ინტერესს იწვევდა აგრეთვე, რა აზრისა იყო იგი ქუჩის აქციების ირგვლივ გაჩაღებული აურზაურის შესახებ.

პრესის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელიც ფართოდ იქნა გაშუქებული, ბატონმა ბიძინამ, ჩემდა გასაკვირად, მხარი დაუჭირა რუსეთის მმართველი ელიტის მტკიცებას – აგვისტოს ომის გამჩაღებელი საქართველო ყოფილა და „საწყალი“ რუსეთი იძულებული გამხდარა თავი დაეცვა აგრესორისაგან. ამ მოსაზრებას, როგორც ბ. ივანიშვილის თავდადებული მეხოტებები აცხადებენ (ასეთები ჩემ მეგობართა წრეშიც მოიძებნება) თურმე ზურგს უმაგრებს ტალიავინის კომისიის დასკვნა (ტალიავინის კომისიის ნაშრომს არ ვიცნობ).

ტალიავინის, ბატონი ბიძინასა და რუსების დიდი პატივისცემის მიუხედავად, ჩემთვის, ვის თვალწინაც გათამაშდა აგვისტოს ომის პერიპეტიებიცა და ტრაგედიაც, აბსოლუტურად მიუღებელია მსგავსი მოსაზრება. ბატონ ბიძინას შეეძლო ჩასულიყო გორში და ენახა როდის მიიყვანეს საავადმყოფოში პირველი დაჭრილები; შეეძლო რუსეთის სამშვიდობო ძალების

სარდლის განცხადების გადამოწმება, სადაც ის იუნიური და, რომ ოსური (მარტო ოსური?) ბანდების საარტილერიო თავ-დასხმების შეჩერება მის ძალებს აღემატებოდა. რთული არ იყო აგრეთვე, მოეძებნა საქართველოს მთავრობის თხოვნა ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელიც გადაეცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, და ენახა ცინიკური პასუხი – თითქოს მის ავტომობილს საბურავი დაეშვა და ამიტომ არ შეეძლო გავლენა მოეხდინა ოსეთის პირველი პირის მოქმედებაზე, რომელიც დღე-დღეზე ბორჯომის აღებასაც გეგმავდა თურმე.

საბედნიეროდ, რუსული პროპაგანდისტული მანქანის და ბ. ივანიშვილის მოსაზრებები, გამაგრებული ტალიავინის კომისიის დასკვნითაც კი, არ იქნა გაზიარებული ცივილიზებული სამყაროს მიერ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა რუსეთი ოკუპანტად აღიარეს მაშინ, როცა „ომის გამჩაღებელ“ საქართველოს ოთხმილიარდიანი დახმარება გამოეყო. ამას ემატება ისიც, რომ რუსეთის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი არ მალავდნენ და სიამაყით აცხადებდნენ: ომი იმიტომ გავაჩალეთ, საქართველოსთვის ნატოსკენ მიმავალი გზა გადაგვეკეტაო. რალაა საკამათო?..

იმავე შეხვედრაზე ბატონმა ბიძინამ არაერთი სენსაციური განცხადება გააკეთა. ამტკიცებდა, რომ არჩევნებში უთუოდ გაიმარჯვებდა ორი მესამედის (თუ მეტის) უპირატესობით, რასაც მხოლოდ რუსულ ფრთიან გამონათქვამს თუ დავუპირისპირებთ: „Не говори «гоп» пока не перепрыгнешь“. ამასთან, გვარწმუნებდა – მომავალ არჩევნებში მიხეილ სააკაშვილს საკუთარი დედაც არ მისცემს ხმასო, თითქოს ქ-ნ გიული ალასანიას შვილი ისე შესძულებია, რომ ხმას დაამადლის და ამ ხმას მილიარდერს მიჰყიდის. ნუთუ მას ჰგონია, რადგან ლუარსაბ თათქარიძე ლვიძლება ძმამ ხუთ თუმნად არა,

მაგრამ ათ თუმნად კი გაყიდა, ქალბატონი გიულიც გაყიდის ღვიძლ შვილს... თუნდაც მილიონად?

ახალბედა პოლიტიკოსი საქართველოში ისეთი დემოკრატის დამყარებას დაგვპირდა, რომ ევროპაც კი გაოცდება თურმე. უნებურად მახსენდება ოტო ფონ ბისმარკის სიტყვები – „არჩევნების წინ ადამიანები საშინლად ცრუობენ,“ – და მიჭირს შევეკამათო დიდ გერმანელ პოლიტიკოსს.

ბატონ ბიძინას რუსეთი გაცილებით უფრო დემოკრატიულ ქვეყნად წარმოუდგენია, ვიდრე საქართველო, ხოლო ბატონ პუტინს ლამის დემოკრატიის სიმბოლოდ გვისახვს, რაც დემოკრატიის ცნებისადმი მის დამოკიდებულებას ცხადყოფს. მსგავსი მოსაზრებების მიღმა იკვეთება ბატონისადმი ყმის დამოკიდებულება, რომლის დროსაც ყმა მონდომებით ცდილობს ბატონის კითილგანწყობის დამსახურებას. ვშიშობ, ბატონ ბიძინასთან აღნიშნულ საკითხზე კამათი წყლის ნაყვას დაემსგავსება და თუ სიმართლე თქვი, დათა თუთაშხიაზე ნაკლები არ დაგემართება მისი ყმებისაგან – როგორ გაბედე მამა-მარჩენალზე აუგის თქმაო. ნუ მიწყენენ ბატონ ბიძინას მომხრეები ასეთ შედარებას. იხილეთ გაზეთ „კვირის პალიტრის“ №14, გვ. 33, სადაც თავად მათი ლიდერი აცხადებს – საქართველოში მე ვარ ერთადერთი თავისუფალი ადამიანიო. არათავისუფალ ადამიანად ბატონი ბიძინა მე ვერ მიგულისხმებდა. იგი მე არ მიცნობს. როგორც ჩანს, არათავისუფლად, ანუ მონებად, თავის გარშემო შეკრებილ ოპოზიციურ ძალებს მიიჩნევს და მათ აზრს დიდ ყურადღებასაც არ აქცევს.

აბა, რომელი საღად მოაზროვნე ადამიანი იტყვის – რუსეთს ოკუპანტად ნუ მივიჩნევთო. ახლა, როცა საქართველოს მმართველმა წრეებმა ბოლოსდაბოლოს მიაღწიეს ცივილიზებული სამყაროს მიერ რუსეთის ოკუპანტად აღიარებას, ქართველებმა უნდა ვთქვათ უარი რუსეთის აგრესორად

გამოცხადებაზე? განა რუსეთს არა აქვს ოკუპირებული ქართული ტერიტორია? ან რომელი ქართველი პატრიოტი დათანხმდება აფხაზეთისა და ოსეთის რეუიმების ცნობას რუსეთის საამებლად? ყოველივე ეს, ბატონობიძინა, თქვენი „შულავერის კომიტეტისათვის“, რა თქმა უნდა, მისაღებია, მაგრამ ქართველი პატრიოტისათვის სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკურ არენაზე ახალი ორჯონიკიძის გამოჩენა.

ლმერთმა ინებოს, თქვენი საქმიანობა მომავალში გახდეს ჩემი თქვენდამი დამოკიდებულების ცვლილების საფუძველი. ლმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ თქვენი მიღიარდები ისე, რომ ზიანი არ მიაყენოთ ჩვენ სამშობლოს, ჩემ და თქვენ ქვეყანასა და ხალხს. ამავე დროს, ვისურვებდი უფრო კარგად გაგეაზრებინათ ნიკოლოზ ბარათაშვილიც და ილია ჭავჭავაძეც რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით (ფრონიდის ირგვლივ კი, ვფიქრობ, არავინ შეგევამათებათ. როგორც გსურთ, ისე წარმოადგინეთ იგი!).

ბატონობიძინა, გამაკვირვა თქვენმა გადაწყვეტილებამ – თქვენს გაერთიანებას, თუ პარტიას გსურთ „ქართული ოცნება“ დაარქვათ. შეიძლება ქართველის ოცნება იყოს ერთი პარტიის მიზნები, თუნდაც ეს პარტია მმართველ ძალას წარმოადგენდეს?! გარდა ამისა, თუ დავუკვირდებით, დავრწმუნდებით, რომ ეს გამოთქმა ერთი ქართველი პოეტისგან გაქვთ ნასესხები. გაიხსენეთ: როდესაც საბჭოთა საქართველოს ჰიმნს აკონინებდა, ეს პოეტი, რომელსაც იუმორი არ აკლდა, ნამდვილად ჰიმნში რთავდა ასეთ სტრიქონებს: „შენი ოცნება (ე.ი. ქართული ოცნება) ასრულდა, რისთვისაც სისხლი ღვარეო“, ან „მოძმე ერების ოჯახში დამკვიდრდი, გაიხარეო“, „საბჭოთა დროშა დაგნათის მზესავით მოელვარეო“. „ქართული ოცნება“ და იმ პოეტის „ოცნება“ ძალიან გვანან ერთმანეთს, რადგან მოძმე ერების კავშირის აღდგენაზე დღეს ბატონი პუტინი და

მისი რაზმი თუ ოცნებობს, რასაც თქვენი „ქართული ოცნებაც“ აქტიურად უჭერს მხარს.

მსგავსი „მარგალიტები“ უსასრულოდ შეიძლება გავიხსენოთ თქვენი გამოსვლებიდან, თუმცა, ვფიქრობ, ესეც სავსებით საკმარისია, რათა დავინახოთ ადამიანი, რომელიც ერთგულად ემსახურება მისი სიმდიდრის წყაროს – რუსეთის ინტერესებს. ასეთი ერთგულება, რა თქმა უნდა, თქვენ სახელს ღირსებას თუ მატებს და არ აკნინებს, ჩვენთვის მისაღებს რომ წარმოადგენდეს. მაგრამ რას ვიზამთ... ასეთი ყოფილა ცხოვრება. ბატონო მილიარდერო! ჩვენს უახლოეს ისტორიაში გვყოლია ქართველი სტალინი, ორჯონიკიძე, მახარაძე, ცოლქმარი ორახელაშვილები, მდივანი, ბერია... აღარ ღირს მათი ჩამოთვლა. ისინი მაშინაც ბევრნი იყვნენ და, სამწუხაროდ, დღესაც არიან, თუმცა ისიც კარგად გვახსოვს, როგორ დაასრულეს მათ თავიანთი უბადრუკი სიცოცხლე. ბედი მდევარი ყველას მიწვდება; ზოგს ადრე, ზოგს გვიან და სათანადო განაჩენიც გამოუტანა საქართველოს მტრებს. ბედის ირონიას ის წარმოადგენს, რომ განაჩენი თავადვე აღასრულეს თავიანთი სისხლიანი ხელებით. ეს არ დაიგინებოთ!

ბატონო მილიარდერო! თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ გძულდეთ საქართველოს პრეზიდენტი ისე, როგორც რუს დერჟავნიკებს სძულთ იგი, მაგრამ როდესაც ამერიკას ევედრებით, – საქართველოს დახმარებას ნუ გაუწევთ და გარიყეთო... რა დავარქვათ ასეთ საქციელს?..

P.S. ბატონო ბიძინა! რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრე, გწამდეთ, დიდმა გულისტკივილმა მაიძულა. მე, რომელიც არცერთ პარტიას არ ვეკუთვნი, რადგან დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი პარტია ბანდისათვის დამახასიათებელ ელემენტებსაც ატარებს, ბევრსაც ვიცინებდი, სატირალი რომ არ იყოს

ამდენი პარტიის არსებობა საქართველოში. მეტსაც ვიტყვი: არჩევნებში პარტიები კი არა, პიროვნებები უნდა იყრიდნენ კენჭს. ელექტორატი კონკრეტულ პირს უნდა აძლევდეს ხმას და არა რაღაც დაჯგუფებას, რომელიც თავის თავს პარტიას უწოდებს, მით უმეტეს, როდესაც ამ პარტიის არც წესდებას და არც პროგრამას არ იცნობს ამომრჩევლების 95%-ზე მეტი. თუმცა ეს სხვა თემაა.

ჩემი გულისტკივილი იმითა გამოწვეული, რომ საქართველოში პარტიები ისე იქცევიან, თითქოს შეერთებულ შტატებში, ან ევროპის ისეთ ქვეყანაში ცხოვრობდნენ, სადაც საგარეო საფრთხე ნულს უტოლდება. ჩვენ კი, თუ კარგად გავიაზრებთ, საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით ჩრდილოელ მეზობელთან და თუ იგი ჯერ-ჯერობით ვერ ბედავს თავდასხმას, უგუნური უნდა იყო, ვერ ხვდებოდე, რას უწევენ ანგარიშს რუსული აგრესიული წრეები. მე კი მსურს ჩვენი ბედი მარტო დასავლეთის კეთილგანწყობაზე კი არ იყოს დამოკიდებული, არამედ რუსეთი ანგარიშს გვიწევდეს და მიუღწეველ ოცნებად მიიჩნევდეს საქართველოს დაპყრობას. ეს კი მხოლოდ ქართული ძალების სრული კონსოლიდაციით იქნება შესაძლებელი. თუ აგრესორი ერთ მუჭად შეკრულს დაგვინახავს, დარწმუნებული ვარ, ჩვენთან მტრობის ხალისი დაეკარგება. ასეთი ელემენტარული ჭეშმარიტება ვერ შეუგნია არაერთ ბედოვლათ ქართველ პოლიტიკოსს.

ღმერთმა ნუ ქნას გავიმეოროთ ნ. ბარათაშვილის ოხვრით წარმოთქმული: „ჩვენმა უხეირობამ დაგვღუპა. ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!..“ ამის საშიშროება კი არსებობს და სწორედ მის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს ყველა ქართველი. მათ შორის ერთ-ერთ მონინავე რიგში თქვენც უნდა მოიაზრებოდეთ, ბატონობ ბიძინა, თუ სამტროდ არა ხართ შემოგზავნილი.

ბატონობ ჩემო, ნუთუ ასე ძნელია მიმართოთ საქართველოს

პრეზიდენტს, – მიშა, მე შენ არ მიყვარხარ, მაგრამ მიყვარს ჩემი სამშობლო! ეს სიყვარული მაიძულებს საქართველოს გადარჩენის მიზნით ჩემი თანამშრომლობა შემოგთავაზოთ! მოდით, ჩვენი საქმიანობით დავანახოთ ხალხს „ვის უფრო მეტად უყვარს მამული“.

სამწუხაროდ, ჩვენ ქვეყანას ალბათ კვლავ მოუწევს სხვადა-სხვა სახის ომის გადატანა დამოუკიდებლობისათვის უთანასწორო ბრძოლაში. ამ ომებში, ოჟ, როგორ სჭირდებით, ბატონო ჩემო, ჩვენს ქვეყანას, როგორ სჭირდებით!.. ამიტომ ჩემთვის, რიგითი ამომრჩევლისათვის, სრულიადაც არ არის სულერთი ბიძინა და მიშა ითანამშრომლებენ (ხაზს ვუსვამ სიტყვა თანამშრომლობას) საქართველოს საკეთილდღეოდ, თუ დაპირისპირებული იქნებიან მტრების სასიხარულოდ და ქვეყნის საუბე-დუროდ.

ნუთუ თქვენ ეს არ გესმით?!

2012 წლის აპრილი.

# სარჩევი

Записки бездельника Ники	3
ალბათ...	19
მესამე რანგის კაპიტანი	52
ბალალაიკა	69
თავგადასავლებიანი ექსკურსია	78
საჭადრაკო დებატები	82
პროვინციული მოაზროვნები	94
გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი	100
ბანკეტი	113
რევიზორის მეუღლის რჩევა	119
რუსული ფენომენის ქართული დასასრული	
„რალაა იგი სინათლე“...	140

გამომცემლობა  
„საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი“

თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, 7

კომპიუტერული უზრუნველყოფა პ. ქორქია